

ჯილოცვა
ქრისტეს შობა

სარჩევი

ქრისტეს შობა

როდის დაიბადა უფალი იესო ქრისტე? ---------- 4

და მაინც, როდის დაიბადა იესო ქრისტე? ---------- 8

როდის დაიწყო წლების ათვლა ქრისტეს შობიდან? ------ 9

უწმიდესთან

შეხვედრა უწმიდესთან ---------- 10

როგორ აღნიშნავენ ქრისტეს შობას

საბერძნეთში ---------- 11

ქრისტეს შობა

შობის მოლოდინში ანუ იერუსალიმში განცდილი სიხარული ---- 12

ინტერვიუ

მიტროპოლიტი გერასიმე: „უნდა შევეცადოთ დაძაბული ურთიერთობა ქრისტიანულ ურთიერთობაში გადავიყვანოთ" ---------- 15

ინტელექტუალური თამაში

ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას ---------- 17

ტკივილი

აფხაზეთო - დედავ! ---------- 18

მე თქვენთან მინდა! ---------- 20

ემიგრანტის ჩანაწერები

ქართველი უცხო მიწაზე ---------- 22

პრობლემა

წართმეული ბავშვობა ---------- 24

კომპიუტერული თამაშები მოზარდებში ---------- 26

მთა, მთაზე მაღლა

ექსტრემალები ---------- 28

SOS!! ნარკომანია

„ნარკომანია სენია, ნარკომანია სირცხვილია..." ---------- 29

სარჩევი

ლიტერატურული კონკურსი

ფერისცვალება ---------- 31

მონასტერი

ერთი დღე მონასტერში ---------- 33

ქადაგება

წმიდა იოანე ოქროპირის სწავლება სიმდაბლისათვის ----- 36

როგორ აღნიშნავენ ქრისტეს შობას

კვიპროსში ---------- 38

ომის ეძო

ხსნა ღვთის ხელშია ---------- 39

ახალგორი - კიდევ ერთი ტკივილი ---------- 40

მიტროპოლიტი ისაია: როცა მძარცველები შემოვიდნენ,

მე და მამა ანტონი ბალს ვაფარებდით თავს ---------- 42

ზამირა ლომსაძე: მეუფე ისაია იქ მიდიოდა,

სადაც ყველაზე მეტად უჭირდათ ---------- 44

თბილისის არქიტექტურა

ქაშუეთის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესია ---------- 46

როგორ აღნიშნავენ ქრისტეს შობას

იაპონიასა და ინდონეზიაში ---------- 47

ახალგაზრდათა შემოქმედება

ღმერთო... ---------- 48

ოპტიმისტი და პესიმისტი ---------- 49

როგორ აღნიშნავენ ქრისტეს შობას

აფრიკაში ---------- 50

მგზავრის წერილები

მოგზაურობა ტაო-ყლარჯეთში ---------- 51

სპორტი

ქართული სპორტი 2008 წელი ---------- 51

ხვა დიდი დღესასწაულებისგან განსხვავებით, რომლებიც ასახავენ უფალ იესო ქრისტეს ცხოვრებასთან დაკავშირებულ ღირსშესანიშნავ მოვლენებს, ქრისტეს შობის დღესასწაულის აღნიშვნა ქრისტიანებმა შედარებით გვიან დაიწყეს. მაგალითად, ზუსტადაა ცნობილი, რომ მაცხოვრის აღდგომის აღნიშვნას თავად ქრისტეს მოციქულებმა დაუდეს სათავე. პირველი ქრისტიანები დღესასწაულობდნენ, აგრეთვე, უფლის ამაღლებას, ნათლისღებას, სულთმოფენობას. ქრისტეს შობის შესახებ პირველი ცნობა კი მოგვიანებით, III საუკუნეში გვხვდება. რატომ არ აღინიშნებოდა ეს დღესასწაული პირველ საუკუნეებში? რატომ არ მიუთითებენ ქრისტეს შობის ზუსტ თარიღს მახარებლები? ლუკა მახარებელი ხომ მრავალ უტყუარ თარიღს გვაწვდის, რატომ არ აღნიშნავს იგი ქრისტეს დაბადების თარიღს, მაშინ, როდესაც დაწვრილებით მოგვითხრობს ქრისტეს შობასთან დაკავშირებულ ამბებს? რით აიხსნება ეს „დავიწყება“? თითქმის ყოველი ადამიანისთვის, დაბადების დღე ხომ ერთ-ერთი ყველაზე ღირშესანიშნავი თარიღია. მაშ, რატომ არ აღინიშნებოდა კაცობრიობის მხსნელის ამქვეყნად შობის დღე?

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად, პირველ რიგში, უნდა გავითვალისწინოთ ის ისტორიულ-კულტურული გარემო, რომელშიც დაიბადა და იცხოვრა იესო ქრისტემ. ამასთანავე, ყურადსაღებია ვითარება, რომელშიც მიმდინარეობდა ქრისტიანობის ქადაგება I-II ს-ში.

იუდევლებსა და წარმართებს განსხვავებული დამოკიდებულება ჰქონდათ დაბადების დღისადმი. წარმართები დიდ ზეიმს მართავდნენ ხოლმე ახალი ადამიანის გაჩენასთან დაკავშირებით, ებრაელები კი საერ-

თოდ არ აღნიშნავდნენ ამ დღეს. ბიბლიაში სულ სამჯერ გვხვდება ცნობები დაბადების დღის აღნიშვნის შესახებ. პირველად — ეგვიპტის ფარაონთან დაკავშირებით, მეორედ — სირიის მმართველ ანტიოქესთან მიმართებაში, მესამედ კი — ჰეროდე-ანტიპას დაბადების დღესთან დაკავშირებით, რომელიც, წმ. იოანე ნათლისმცემლის თავის მოკვეთით დასრულდა.

ნუთუ ებრაელები იმდენად გულგრილნი იყვნენ თავისი შვილების მიმართ, რომ არაფრად თვლიდნენ მათ დაბადებას? პირიქით! სწორედ ებრაელები, სხვა ძველ ხალხთაგან გამორჩეულად სათუთი გრძნობით უდგებოდნენ შვილების დაბადებას. ძველი აღთქმის მთავარი არსი ხომ ღმრთისაგან აღთქმული მესია-მაცხოვრის მოლოდინია. ნებისმიერი ებრაელი ქალიშვილი განიხილებოდა, როგორც მესიის პოტენციური დედა. 14 წელს მიღწეული ყველა გოგონა აუცილებლად თხოვდებოდა. უბედურად ითვლებოდა ქალი, რომელსაც არ შეეძლო შვილის დაბადება. როცა ოჯახში ბავშვი გაჩნდებოდა, განადიდებდნენ არა თავად ყრმის დაბადების ამბავს, არამედ ღმერთს, რომელმაც მისცა მას სიცოცხლე. სწორედ ასეთ შინაარსს შეიცავდა ყველა რელიგიური წესი, რომელიც ახლადდაბადებულზე მისი ცხოვრების პირველი 40 დღის განმავლობაში სრულდებოდა.

მაშ, რატომ არ შეიძლებოდა აღენიშნათ დაბადების დღე და ამავე დროს ედიდებინათ ღმერთი? მიზეზი ამისა ის იყო, რომ ებრაელები დაბადების დღეს ადამიანის ტანჯვისა და ცოდვების მორევში ჩაძირვის დასაწყისად მიიჩნევდნენ და, შესაბამისად, დაბადების დღის ზეიმით აღნიშვნას საჭიროდ არ თვლიდნენ.

მახარებლები ებრაელები იყვნენ, რომლებიც ბავშვობიდან ისრაელის კულტურული და რელიგიური ტრადიციების გარემოში იზრდებოდნენ. ამით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ წმიდა წერილში არ არის მითითებული ქრისტეს შობის ზუსტი თარიღი. ქრისტიანობის გავრცელების არეალიც, თავდაპირველად, განთესვაში მყოფ ებრაელებს შეიცავდა. ამიტომაც არაა გასაკვირი, რომ თავდაპირველად ქრისტეს შობა არ შედიოდა პირველი ქრისტიანული დღესასწაულების სიაში.

თუმცა, რა თქმა უნდა, ეს არ იყო ერთადერთი მიზეზი. ქრისტიანებს პირველ რიგში აინტერესებდათ არა თავად ფაქტი ქრისტეს შობისა, არამედ ქრისტეს აღდგომა. მოციქულთა ქადაგება ხომ უმთავრესად ქრისტეს აღდგომის ქადაგებაა.

მესამე საუკუნის დასაწყისში წმ. კლიმენტი ალექსანდრიელი აღნიშნავს, რომ იცნობს ადამიანებს, რომლებიც გულმოდგინედ ცდილობენ იესო ქრისტეს დაბადების არა მხოლოდ წლის, არამედ დღის დადგენასაც.

რა მოხდა? რამ გამოიწვია ეს ინტერესი ამ თარიღის დადგენისადმი? შეიძლება უცნაური იყოს, მაგრამ ამას სრულიად ბანალური მიზეზი ჰქონდა. მეორე საუკუნეში ეკლესიურ წრეებში ცრუსწავლებათა გავრცელება შეინიშნება, რომელთა საერთო სახელწოდებაა — გნოსტიკური სწავლებანი (ბერძ. „გნოსის“ — ცოდნა). ეს იყო ქრისტიანობის, წარმართობისა და ბერძნული ფილოსოფიის შეერთების მცდელობა.

გნოსტიკოსებს, ყოფილ წარმართებს, მიაჩნდათ, რომ ისინი ქრისტიანობის მიღების შემდეგ, სულაც არ იყვნენ ვალდებულნი მიეტოვებინათ თავისი ადრინდელი შეხედულებანი. პირიქით, ცდილობდნენ ამ თეორიების გამოყენებით განემარტათ ქრისტიანობა „უფრო მაღალ და სრულყოფილ ჭრილში“. აქედან მოდის ამ სწავლებათა მიმდევრების პრეტენზია, თითქოს ისინი ფლობენ ჭეშმარიტ ცოდნას, ქრისტიანები კი პრიმიტიული უცოდინარები არიან.

ამ ნაირ-ნაირ და ურთიერთგამომრიცხავ სისტემათა კლასიფიცირება ძალზედ რთულია. მათი გამაერთიანებელი მხოლოდ ერთადერთია — იესო ქრისტეს პიროვნების მითოლოგიზაცია, უარყოფა იმისა, რომ ღმერთი რეალურად მოგვევლინა ადამიანად. ანუ, უარყოფილი იყო ქრისტიანობის მთავარი იდეა — იესო ქრისტეს პიროვნების უნიკალურობა, როგორც ხსნის ერთადერთი გზისა. გნოსტიკოსებთან პოლემიკის შედეგია დღესასწაულის დადგინება, რომელსაც ეწოდება — განცხ-

ადება (ბერძ. „ეპიფანია“) უფლისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი. უნდა აღინიშნოს, რომ საეკლესიო დღესასწაულები, სხვა დღესასწაულებისაგან (მაგალითად რევოლუციური) განსხვავებით არა მხოლოდ მოვლენის გახსენებაა, არამედ, უშუალოდ, მოვლენის განცდაა.

ამ თვალსაზრისით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქრისტეს შობას პირველი ქრისტიანებიც აღნიშნავდნენ, თუმცა მაშინ მათ არ აინტერესებდათ ამ მოვლენის ზუსტი თარიღი. მაგრამ შემდგომ, იმისათვის, რომ დაეცვათ ღმერთკაცის დაბადების რეალობის საზეიმო მნიშვნელობა, ამ დღესასწაულის განცდა, იმ ადამიანებისგან, ვინც არ ცნობდა ღმრთის განკაცებას, ეკლესიას მოუწია გაეხსენებინა ქრისტეს შობის თარიღი. თავდაპირველად ეს დღესასწაული აერთიანებდა ორ ღირსშესანიშნავ მოვლენას — ქრისტეს შობასა და ნათლისღებას. როგორც წმიდა ეკლესიის ერთ-ერთი მამა იერონიმე სტრიდონელი აღნიშნავდა: „თავისი შობის დროს ძე ღმრთისა სამყაროს ფარულად მოევლინა, ნათლისღებისას კი — ცხადად“. ღმრთის განცხადების დღესასწაული იულიუსის კალენდრით 6 იანვარს აღინიშნება.

პოლემიკის ვითარებაში ნელ-ნელა ჩამოყალიბდა ამ დღესასწაულის ღვთისმსახურების წესი, რომელიც ცხადჰყოფდა დოგმატს, რომ ღმერთი რეალურად განკაცდა, ანუ ის რეალურად, და არა მოჩვენებითად, მოგვევლინა ნამდვილ ადამიანად.

IV ს-ში რომის ეკლესიაში შობის დღესასწაული ნათლისღებისგან განაცალკევეს და მისი აღნიშვნა 25 დეკემბერს (იულიუსის კალენდრით) დაადგინეს, 6 იანვარი კი კვლავ ნათლისღების დღედ — ღმრთის განცხადების დღედ დარჩა.

ოდნავ მოგვიანებით ამ ორი დღესასწაულის განცალკევებით აღნიშვნა აღმოსავლეთის ეკლესიამაც დაიწყო. ეს გადაწყვეტილება საბოლოოდ დააკანონა II მსოფლიო კრებამ 381 წელს.

მაგრამ რატომ აღინიშნება ქრისტეს შობა მაინცდამაინც 25 დეკემბერს? ერთის მხრივ, შეიძლება შეიქმნას შეხედულება, რომ ეს მხოლოდდამხოლოდ პოლიტიკური მიზეზებით მოხდა. მართლაც, დეკემბრის ბოლოს, წელიწადში ყველაზე მოკლე დღის შემდეგ, დღე იწყებს მატებას. ამ დროს რომაელები აღასრულებდნენ სატურნალიებს — ღვთაება სატურნისადმი მიძღვნილ ზეიმს. მას უწოდებდნენ „უძლეველი მზის დაბადების დღეს“ — Dies Natalis Solis Invicti. ამავე დღეებში რომის იმპერიაში აღინიშნებოდა მზის ღვთაება მიტრას დაბადება.

IV საუკუნის დასაწყისში მას შემდეგ, რაც იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა, ბოლო მოუღო ქრისტიანთა დევნას, ეკლესიამ ეს დღეები განკაცებული ღმერთის საქადაგებლად გამოიყენა. ქრისტეს შობის საგალობლებში შეინიშნება კიდევაც ეს პოლემიკა მზის ღვთაების წარმართულ კულტებთან. მაგალითად ამ საგალობლებში ქრისტეს ეწოდება „ჭეშმარიტი მზე“, ან „სიმართლის მზე“, რომელმაც თავისი შობით ნათელი მოჰფინა ხანგრძლივი წარმართობის ზამთარში მყოფ ადამიანებს. მზის წარმართული ღვთაებების დაბადების დღესასწაულებთან ქრისტეს შობის დღესასწაულის აღნიშვნის დამთხვევის მთავარი მიზეზი იყო არა სწრაფვა წარმართობის გარეგნული პოლიტიკური დაძლევისაკენ, არამედ ქრისტიანთა მტკიცე რწმენა, რომ წარმართთა ყველა კეთილი სურვილის განხორციელება, რომელთა აღსრულებისთვის ისინი მიმართავდნენ სატურნს, მიტრას ან სხვას, შესაძლებელი იყო მხოლოდდამხოლოდ ქრისტე მაცხოვარის მეშვეობით.



თუ ყურადღებით წავიკითხავთ წმიდა წერილს, იქ მოვძებნით ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც შეიძლება საკმაოდ ზუსტად გამოვითვალოთ იესო ქრისტეს შობის თარიღი. და ეს თარიღი სწორედ 25 დეკემბერია (იულიუსის კალენდრით).

როგორ მოხერხდა ამ თარიღის გამოთვლა?

დავიწყოთ იმით, რომ სინას მთაზე, ათ მცნებასთან ერთად, ღმრთისაგან მოგვეცა მრავალი საღმრთო და სამოქალაქო კანონი, რაც აისახა მოსეს ხუთწიგნეულში. ერთ-ერთი შეეხებოდა აღთქმის კიდობანს, სადაც ინახებოდა ფილები ათი მცნებით. ამ კიდობანთან მუდმივად უნდა ყოფილიყვნენ მსახურები, რომლებსაც უნდა აღევლინათ დილის და საღამოს ღვთისმსახურება, შეესრულებინათ მსხვერპლშეწირვა, წაეკითხათ დადგენილი ლოცვები და ა.შ. ასე ჩამოყალიბდა ძველი აღთქმის სამღვდელო დასი და ღვთისმსახურება. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ძველი აღთქმის მღვდლობა მემკვიდრეობით ხასიათს ატარებდა და მხოლოდდამხოლოდ ლევის შტოს მიეკუთვნებოდა.

მეფე დავითმა დაყო ღვთისმსახურები 24 წყებად, რათა ყოველს შესძლებოდა მორიგეობით ტაძარში წირვა-ლოცვა. ყოველ წყებას ერგებოდა ორი კვირის მსახურება.

ლუკას სახარება ანგელოზის ხარებით იწყება, რომელმაც შეატყობინა ღვთისმსახურ ზაქარიას, რომ მის უშვილო ცოლს, ელისაბედს, ეყოლება ძე — იოანე, მომავალი უფლის ნათლისმცემელი. ზაქარია იყო აბიას წყებიდან, რომელსაც ერგო წილად მერვე ყოფილიყო ამ მორიგეობის რიგში (ნეშტ. 24; 10). იუდეველთა საღვთისმსახურო კალენდარი (მთვარის) იწყებოდა ნისანის თვიდან, რაც მზის კალენდრის მარტ-აპრილს შეესაბამება. მას მივუმატოთ ოთხი თვე და გამოვა, რომ ზაქარიამ დაიწყო მსახურე-

ბა აგვისტოში და იმყოფებოდა ტაძარში ორი კვირის განმავლობაში. შემდეგ სახარებაში წერია: „და შემდგომად დღეთა მათ მიუდგა ელისაბედ, ცოლი მისი“ (ლკ. 1; 24). ეს სიტყვები იმას ნიშნავს, რომ ზაქარიას სახლში დაბრუნებიდან იოანე ნათლისმცემლის ჩასახვამდე რაღაც დრო გავიდა, მაგრამ არც თუ ისე დიდი. ეკლესია იოანე ნათლისმცემლის ჩასახვის დღეს 23 სექტემბერს (იულიუსის კალენდრით) აღნიშნავს.

სახარებაში წერია, რომ ღვთისმშობლისადმი გაბრიელ მთავარანგელოზის ხარება მაცხოვრის შობის შესახებ იოანე ნათლისმცემლის ჩასახვიდან ექვსი თვის შემდეგ მოხდა. ეს არის 25 მარტი (იულიუსის კალენდრით) — ხარების დღესასწაული. ამ დღეს ცხრა თვეს თუ დავამატებთ, 25 დეკემბერს მივიღებთ, უფლის შობის დღეს.

ᲠᲝᲓᲘᲡ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲗᲕᲚᲐ ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡ ᲨᲝᲑᲘᲓᲐᲜ?

ᲐᲜᲢᲘᲙᲣᲠ რომის იმპერიაში წლების ათვლა რომის დაარსებიდან იწყებოდა. რაც შეეხება წლიურ ციკლს, იულიუს კეისრამდე ამ მხრივ სრული ქაოსი სუფევდა. ქ.შ.-მდე 45 წელს იულიუსმა ეგვიპტური კალენდრის საფუძველზე შედგენილი კალენდარი შემოიღო, რომელიც წელიწადში 365 დღეს შეიცავდა, ხოლო ოთხ წელიწადში ერთხელ 366. 525 წელს პაპმა იოანე I დაავალა ბერ დიონისე მცირეს შეედგინა ისეთი კალენდარი, რომელიც წლების ათვლას ქრისტეს შობიდან დაიწყებდა. დიონისეს გათვლებით ქრისტეს შობა უნდა მომხდარიყო 754 წელს რომის დაარსებიდან. მაგრამ, როგორც შემდგომში გაირკვა, სწავლული ბერი შეცდა და, აი, რატომ:

სახარებაშიც და არაქრისტიანულ წყაროებშიც არის რამდენიმე მინიშნება, რომელთა გამოყენებითაც შესაძლებელია უფრო ზუსტად გამოვთვალოთ იესო ქრისტეს შობის წელიწადი.

პირველ რიგში, ეს არის იუდეის მეფე ჰეროდე დიდის სიკვდილი. მახარებლები მოგვითხრობენ, რომ ქრისტეს შობა მის სიკვდილამდე მოხდა (ცოტა ხნით ადრე). ახლა მივმართოთ არაქრისტიანულ წყაროებს. იუდეველი ისტორიკოსის იოსებ ფლავიოსის თანახმად: 1. ჰეროდე მეფობდა 750 წლამდე რომის დაარსებიდან. 2. მის სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე მთვარის

დაბნელება მოხდა. 3. იუდეველებმა იმ წელს პასექი მისი სიკვდილის შემდეგ იზეიმეს.

მთვარის დაბნელება, მართლაც, მოხდა რომის დაარსებიდან 750 წლის 12/13 მარტს. პასექის პირველი დღე (ებრაელები პასექს 8 დღის განმავლობაში აღნიშნავენ) ამ წელს 11 აპრილს ემთხვევა. თუ დიონისეს გათვლებს დავეყრდნობით, გამოდის, რომ ქრისტე იშვა 4 წლით ადრე თავის შობამდე!? სწორედ ამ 4 წელიწადში შეცდა ბერი დიონისე. ანუ ახლა ჩვენ უნდა ვზეიმობდეთ 2009 წელს კი არა, არამედ 2013-ს.

მასალა მომზადებულია რ. მახანკოვის სტატიის „ერთი დაბადების დღის ისტორია“ მიხედვით (ჟურნ. „ფომა“ №6 (23), 2004).

ეპიტვალია უწმიდესთან

ჟურნალ „ახალგაზრდობის“ რედაქცია 20 ნოემბერს უწმიდესსა და უნეტერესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ილია II-ს შეხვდა. ჟურნალისთვის თვალის გადავლების შემდეგ, მისმა უწმიდესობამ, პირველ რიგში, გვირჩია ვაჩვენოთ მეტი პოზიტიური მხარე, რადგან ქართველი ხალხი აგვისტოს მოვლენების შედეგად, სულიერად, ისედაც დამძიმებულია. აგრეთვე, გვირჩია, ღრმად განვიხილოთ დღეს არსებული სიტუაცია. მან გაიხსენა გაეროს წარმომადგენლის დიტერ ბოდენის სიტყვები: „რაც დრო გადის, დასავლეთი უფროდაუფრო ეჩვევა იმ აზრს, რომ საქართველო დანაწევრებულია“. უწმიდესმა აღნიშნა, რომ სასწრაფოდ უნდა შემუშავდეს გეგმა, კონცეფცია, რომლითაც საქართველოს ტერიტორიულ აღდგენაზე ვიფიქრებთ.

უწმიდესმა გაიხსენა თავისი გერმანიაში მიღებული შთაბეჭდილებები. იქ სამუშაო დღე დილის 6 საათზე იწყება. ამ ქვეყანამ ორი მსოფლიო ომი გადაიტანა, ნანგრევებად იქცა, მაგრამ სწრაფი ტემპით შეძლო აღმშენებლობა. საქართველოს შემთხვევაშიც ასე უნდა მოხდეს, მთელი ძალისხმევით უნდა დადგეს ფეხზე.

საუბარი შეეხო, აგრეთვე, ფსიქოლოგიასა და ფილოსოფიას. აღმოჩნდა, რომ სტუდენტობის წლებში, მას ძალიან აინტერესებდა ეს საგნები. სწავლისაგან თავისუფალ დროს ცდილობდა ღრმად შეესწავლა ისინი. ამისთვის ხშირად სტუმრობდა ბიბლიოთეკას. უწმიდესმა, ასევე, ისაუბრა სამეცნიერო ნაშრომებზე, თუ როგორ უნდა დაიწეროს ისინი, როგორ უნდა ვიკითხოთ წიგნები და რამდენად აუცილებელია მართლწერის ცოდნა.

„ბევრი სწავლობს ფილოლოგიას და მძიმე სად იწერება, ის არ იცის. ზოგი წიგნებს შემოიწყობს და ყველას ერთად ფურცლავს. ეს არაა სწორი კითხვა. კითხვისას, ერთ წიგნს რომ აიღებ, ბოლომდე უნდა ჩაწვდე მას, რაც საჭიროა, ამოწერო მნიშვნელოვანი. სხვა დროს თვალს გადაავლებ ჩანაწერს და მეორედ ამ წიგ-

ნის წაკითხვა აღარ დაგჭირდება“ — აღნიშნა პატრიარქმა.

ჩვენთვის მეტად საყურადღებო იყო ეს დარიგებები.

უწმიდესს მოვახსენეთ ახალგაზრდული ცენტრის მიერ განათლების სამინისტროსთან ერთად დაგეგმილი ინტელექტუალური თამაშის „ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას“ შესახებ. მან მოიწონა იდეა, ამასთან აღნიშნა: „ერთია „ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას“ და მეორე — „ჩვენ ვსწავლობთ ცხოვრებას“. მან ისაუბრა თუ რა მნიშვნელოვანია ცხოვრების ცოდნა და გვირჩია ამ თემაზეც გაგვეკეთებინა ინტელექტუალური თამაში.



„ბევრი უნდა ისწავლოთ“ — ამ სიტყვებით დაასრულა პატრიარქმა საუბარი. უწმიდესმა ჟურნალზე ავტოგრაფიც დაგვიტოვა, დაგვასაჩუქრა და ბოლოს დაგვლოცა.

პატრიარქისაგან დადებითი ემოციებით სავსენი წამოვედით. ძალამომატებულები შევუდექით ჩვენს საქმეს.

უწმიდესის ლოცვა-კურთხევა გვეწეოდეს ახალგაზრდებს!

რედაქციისგან

რობორ აღნიშნავენ ქრისტეს შობას...

საბერძნეთში

საბერძნეთი ერთ-ერთი პირველია იმ ქვეყნებს შორის, სადაც თავდაპირველად გავრცელდა ქრისტიანობა. ის შეადგენდა ბიზანტიის იმპერიის გულს და ბერძნები დიდი ხნის მანძილზე მიიჩნევდნენ თავს მსოფლიო მართლმადიდებლობის ბურჯად. დღემდე მართლმადიდებლობა საბერძნეთის სახელმწიფო რელიგიაა.

საბერძნეთში შემორჩენილია საშობაო 40-დღიანი მარხვის ტრადიცია, თუმცა ბერძენთა უმრავლესობა მხოლოდ დღესასწაულის წინა კვირის განმავლობაში ინახავს მარხვას.

საშობაო წირვა-ლოცვის შემდეგ მორწმუნეები გამოდიან ეკლესიიდან და XIII საუკუნის სიმღერას მღერიან: „გიხაროდენ ზეცავ, კურთხეულო მიწავ — ქრისტე იშვა!“ ათენსა და სოფლებში ბავშვები დადიან სახლიდან სახლში საზეიმო გალობითა და სიმღერებით, პატარა თიხის დოლებისა და რკინის სამკუთხედების აკომპანიმენტის თანხლებით. ხანდახან მათ მორთული სათამაშო გემები უკავიათ ხელში, საბერძნეთის ზღვისპირა რაიონების კეთილდღეობის სიმბოლო. მათ უმასპინძლდებიან ხილითა და ტკბილეულით. შობის ღამეს საჩუქრებს საბერძნეთში წმიდა ნიკოლოზი კი არა, არამედ წმ. ბასილი დიდი არიგებს. 1 (ა.ს. 14) იანვარს ეკლესია წმ. ბასილი დიდის ხსენებას აღნიშნავს.

სადღესასწაულო სუფრისთვის, ჩვეულებრივ, გოჭს წვავენ და ქრისტეს პურებს აცხობენ. ზემოდან ამ პურებს აწერენ „იესო ქრისტე გამარჯვებული“. ამზადებენ, აგრეთვე, ტკბილეულს თაფლითა და კაკლით, „ტიგანიტებსა“ და „მელომანარომოებს“. აგრეთვე აცხობენ სპეციალურ კვერებს — „ვასილოპიტებს“.

ასლუსნადრომ

თვითმხილველის ნაამბობი

შობის მოლოდინში ანუ იერუსალიმში განცდილი სიხარული

ქრისტეშობიდან 2000 წლის იანვარი. უფრო ზუსტად, ქრისტეს ხორციელად შობის წინა ღამე, ანუ დრო, როდესაც ცისკრის გზაგასაყართან 6 იანვარს 7 იანვარი ცვლის. ის, რომ მე, ერთი ჩვეულებრივი ცოდვილი, უკაპიკო და უქონელი, ამ დროს, ბეთლემის საშობაო ბაზილიკის ეზოში საშობაო ღვთისმსახურებაზე დასწრების მსურველთა გრძელ რიგში ვიდექი, უდიდესი სასწაული იყო.

დიახ. უფლის მიერ მოვლენილი სასწაული და წყალობა, რადგან ვყოფილიყავი აქ როგორც ჟურნალისტი, ჩემი არავითარი საგანგებო ძალისხმევა (ხაზს ვუსვამ, რადგან, ბუნებრივია, მსურველი ბევრი ჩემი კოლეგა იყო), გარდა უდიდესი სურვილისა, არ ყოფილა.

დიდება უფალს! რადგან არაფერი ხდება ქვეყნად მის უნებურად!

მთელი დღე გადაუღებლივ წვიმდა. საღამოთი იკლო. თავსხმა არა, მაგრამ ჟინჟღლავდა. მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხიდან ჩამოსულთ მოეყარა აქ თავი. ვერ გეტყვით, რომელ საათზე მოვიდნენ აქ ისინი, რომლებიც რიგში პირველები იდგნენ და თორმეტ საათამდე, ანუ საშობაო წირვის დაწყებამდე ბაზილიკაში შესვლა გარანტირებული ჰქონდათ. ჩვენ, ქართველი ჟურნალისტებიც თუ დელეგაციის ის წევრები, რომლებმაც გადავწყვიტეთ, დილამდე არ მოგვეცადა (დილით შეგვეძლო, ოფიციალურ დელეგაციასთან ერთად ურიგოდ შევსულიყავით) და ქრისტეს შობის ტაძარი სწორედ შობის ღამეს მოგველოცა, წირვის დაწყებამდე ექვსი საათით ადრე მივედით. ზღვა ხალხის მხილველებმა კი იმის იმედი, რომ ტაძარში დილამდე შევაღწევდით, დავკარგეთ. ეს, უბრალოდ, შეუძლებელი იყო. ვერც გაძრომ-გამოძრომას მოახერხებდი. რიგს, წესრიგსა და უსაფრთხოებას ხელკეტიანი, ზორბა ზანგი პოლიციელები იცავდნენ. ზოგმა ხელი ჩაიქნია და დილამდე იქვე, მწვანეში ჩაფლულ ბაზილიკის ეზოში საშობაოდ გამართული კონცერტის მოსმენა გადაწყვიტა, ზოგიც სასტუმროში დაბრუნდა. მე დავრჩი, რადგან მჯეროდა, უფალი, რომლის ნებითაც იმ დღეს იქ ვიყავი, არ მიმატოვებდა. მე ხომ ძალიან, ძალიან მინდოდა, მისი შობის ადგილი მეხილა.

დრო სწრაფად გარბოდა, ხალხის ნაკადი ნელა მიიწევდა წინ. არა, ეს მე მეჩვენებოდა ასე, რადგან ტაძრის შესასვლელი კარი ჩემგან შორს, ძალიან შორს ჩანდა ჰორიზონტზე.

ისევ ჟინჟღლავდა... მე ჯიუტად ფეხს არ

ვიცვლიდი ადგილიდან, უკან გაბრუნებას ვგულისხმობ, თორემ კუს ნაბიჯებით რიგს მივდევდი. არავითარი ბედის სამდურავი, გულისწყრომა, თუ შფოთი. უფალს მინდობილი, რწმენას ვეჭიდებოდი.

თორმეტი საათის შესრულებას ორი სამოცი წუთიღა უკლდა და...

არ ვიცი, როგორ, არ ვიცი, რატომ. უეცრად ხალხი შეჯგუფდა. თითქოს ვიღაცის ძლიერმა ხელმა ისინი აქეთ-იქით მისწი-მოსწიაო და მე, რიგის მეათიათასე, თუ მემილიონე წევრი ტაძრის შესასვლელის გვერდით მხარეს აღმოვჩნდი.

დიდება უფალს!

დღემდე ვცდილობ, ჩავწვდე, თუ როგორ მოხდა ეს, მაგრამ ამაოდ... ვერაფერს ვიხსენებ. არადა, მაშინ, აშკარად, რაღაც ძალამ, როგოც პაიკს, ისე მომინაცვლა ადგილი. მაგრამ... კარამდე მისვლას ჩემს წინ ჩადგმული რკინის, გისოსებიანი თეჯირი ხერგავდა. თეჯირს იქით, ზემოთ რომ ვახსენე ის ზანგი იდგა და თვალებს აბრიალებდა. არავითარი გულისწყრომა და სამდურავი არ დამცდენია. ბედს დამორჩილებულმა ახლა იმაზე დავიწყე ფიქრი, თუ როგორ გავსულიყავი კვლავ ბოლოში, რომ ხალხში ისევ ჩემი რიგი დამეკავებინა. კვლავ ზეცისკენ მიპყრობილი მზერა და რწმენა უფლისა... და აი, არ ახანებს სასწაულიც: ეს დაბღვერილი ბრგე ზანგი რკინის ბარიერს ციმციმ მაღლა სწევს და ხელკეტით ტაძრის კარისკენ მიმანიშნებს: შედიო. გამატარა და თეჯირით ისევ გადაკეტა გზა. ტაძარში შესული მუხლებზე დავეცი და ცრემლებად დავიღვარე.

ჭეშმარიტად, დიდია უფლის ძალა, ის, რაც არ შეუძლია კაცს, ძალუძს ღმერთს!

ღვთისმსახურებამდე ორი საათით ადრე მე საშუალება მქონდა, მომელოცა ტაძრის ყოველი კუთხე.

სულში ჩაღრმავების ადგილად კი ის მღვიმე მივიჩნიე, სადაც იესო იშვა. რატომ? აქაურობა განსაკუთრებულ განწყობას გიქმნის და შენი სულიერი სამყაროს გადაჩხრეკვას გაიძულებს. იჩოქებ ცოდვილი ადამიანი იმ ბაგასთან, ახალშობილი იესო რომ ჩააწვინეს, მალულად გადასწევ ბრწყინვალე ფარჩას, ემთხვევი შობის მღვიმის ძველთაძველ კედლებს, ორიათასი წლის წინანდელი სასწაულის — ქრისტეს შობის უტყუარ მოწმეთ და მადლობას სწირავ უფალს, ამ დღის, ამ მადლის, ამ ბედნიერების მონიჭებისათვის. სულ სხვანაირია ამის შემდეგ ცაც და დედამიწაც. სულ სხვანაირი ხარ შენც და შენი აზრებიც.

მეორე სასწაული, მაშინ მომივლინა უფალმა, როცა მისი ჯვრიდან გარდამოხსნის ადგილზე დაჩოქილი ჩურჩულით შენდობას ვთხოვდი და რომ ყელიდან მოხსნილი ზოდიაქოს ოქროს მედალიონი ჯაჭვიდან გამოძვრა და უკვალოდ გაქრა. ეს ასე მოხდა: მითხრეს, ამ წმიდა ადგილზე დადებული ნებისმიერი ნივთი მადლით იკურთხებაო და მეც მუჭაში მოქცეული გიშრისთვლიანი ჯვარი, ქორწინების ბეჭედი და მედალიონი, ისე, რომ ხელი არ ამიღია, მარმარილოს კუთხეში დავდე. მერე ისევ მუჭაში მოვაქციე და, როცა გაშლილ ხლისგულზე მედალიონის გარდა ყველაფერი ვნახე, ის ოქრის ჯაჭვიც კი, რომლზედაც მედალიონი ეკიდა, უფალი კიდევ ერთხელ მხურვალედ ვადიდე.

ასე მიმანიშნა ღმერთმა იმაზე, რაც არაქრისტიანული იყო.

მართლაც, სულ სხვა მადლი აქვს იქ დანთებული სანთელსა და აღვლენილ ლოცვას.

დიდება უფალს!
ამინ!

რუსუდან ლორთქიფანიძე
საქართველოსა და ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციათა წევრი. ჟურნალისტთა კავშირის ორგზის პრემიის ლაურეატი, ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

ლიტერატურული კონკურსი „წმენა და ახალგაზრდობა“

ამა წლის 5 დეკემბერს, საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდული ცენტრის დარბაზში, ლიტერატურულ კონკურსში გამარჯვებულ მოსწავლეთა დაჯილდოება შედგა. პირველი ადგილი დაიკავა №1 საჯარო სკოლის მოსწავლე ნინო ქურდიანმა (თემა: „და ნათელი იგი ბნელსა შინა სჩანს და ბნელი იგი ვერ ეწია მას“), მეორე ადგილზე გავიდა ლალი ოდოსაშვილი №51-ე საჯარო სკოლის მოსწავლე (თემა: „ნიტა“), ხოლო მესამე ადგილის მფლობელი გახდა №189-ე საჯარო სკოლის მოსწავლე მარიამ კირვალიძე (თემა: „ღმერთს ებარებოდეთ“).

ნომინაციაში: ყველაზე პატარა მონაწილე დაჯილდოვდა საინტერესო ნაშრომისათვის №87-ე საჯარო სკოლის მოსწავლე თამარ ტატულიშვილი (თემა: „ეტევა ნეტავ პატარა გულში...“).

ნომინაციაში: საუკეთესო ანტინარკოტიკული ნაშრომი გაიმარჯვა მარიამ ქურდაძემ №51-ე საჯარო სკოლიდან (თემა: „არ მინდა კედელზე დაკიდებული მამიკო“).

ლიტერატურულ კონკურსში გამარჯვებულ მოსწავლეებს საჩუქრად გადაეცათ პატრიარქისადმი მიძღვნილი ახალგამოცემული წიგნი „მზიანი ღამე“ და „წმიდანთა ცხოვრება“.

ლიტერატურულ კონკურსს ორგანიზებას უწევდა საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის ახალგაზრდული მოძრაობა „დავითიანნი“ და საქართველოს მწერალთა კავშირი.

გარდა ლიტერატურული კონიკურსისა, ამავე დღეს დაჯილდოვდა „დავითიანნის“ მიერ ორგანიზებულ ფრენბურთის შეჯიბრში გამარჯვებული გოგონათა და ვაჟთა გუნდები.

51-ე საჯარო სკოლის გოგონათა ანტინარკოტიკული კლუბის გუნდი „ჯვაროსნები“ და №138-ე საჯარო სკოლის ანტინარკოტიკული კლუბის გუნდი „ერთობა“.

ფრენბურთის ტურნირში და ლიტერატურულ კონკურსში გამარჯვებული ბავშვები ოთხი დღით ესტუმრებიან სტეფანწმინდის ეპარქიას.

ნათია გოგუაძე

ᲛᲘᲢᲠᲝᲞᲝᲚᲘᲢᲘ ᲒᲔᲠᲐᲡᲘᲛᲔ: „ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲕᲔᲪᲐᲓᲝᲗ ᲓᲐᲫᲐᲑᲣᲚᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲣᲚ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲕᲘᲧᲕᲐᲜᲝᲗ“

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ, ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ, ᲛᲘᲢᲠᲝᲞᲝᲚᲘᲢ ᲒᲔᲠᲐᲡᲘᲛᲔᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲗ, ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲨᲘ, ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲗ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ᲘᲛᲧᲝᲤᲔᲑᲝᲓᲐ. ᲐᲛ ᲗᲔᲛᲐᲖᲔ ᲒᲕᲔᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲐ ᲛᲔᲣᲤᲔ ᲒᲔᲠᲐᲡᲘᲛᲔ.

— დაგვლოცეთ მეუფეო, თქვენ, მეუფე ანდრიასთან ერთად, ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდით მოსკოვში. თუ შეიძლება, გვიამბეთ, რა მიზანს ისახავდა მოსკოვში თქვენი ჩასვლა?

ღმერთმა დაგლოცოთ. უპირველეს ყოვლისა, მინდა აღვნიშნო, რომ ვიზიტი განხორციელდა საქართველოს კათოლიკოს- პატრიარქის ილია მეორის ლოცვა- კურთხევით. მოსკოვში ვიზიტი დაგეგმილი იყო ჯერ კიდევ საქართველოში განვითარებული აგვისტოს სამწუხარო მოვლენებამდე. დამატებით ჩვენს დელეგაციაში ბრძანდებოდნენ, დეკანოზი გიორგი ცხადაგიშვილი და ბატონი ზურაბ აბაშიძე, საქართველოს ყოფილი ელჩი რუსეთის ფედერაციაში. ჩვენი მიზანი იყო საქართველოსა და რუსეთის ეკლესიების შეხედულებათა შეჯერება აფხაზეთისა და სამაჩაბლოს საკითხებზე. პირველი თემა ყველაზე მტკივნეული იყო. ეს ეხება ქართველ სასულიერო პირებს, რომლებიც წლების განმავლობაში, ვერ შედიან რუსეთის იურისდიქციის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე.

როგორც ვიცით, რუსეთის ფედერაციამ ცნო აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის „დამოუკიდებლობა“. მაგრამ რუსეთის მართლმადიდებლურმა ეკლესიამ, კიდევ ერთხელ, დაადასტურა, რომ იგი აფხაზეთსა და სამაჩაბლოს ცნობს საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში. მიგვაჩნია, რომ ეს იყო სწორი გადაწყვეტილება. სწორედ ეს გვაძლევდა დიალოგის უფლებასა და საშუალებას, რათა რუსეთის ეკლესიის დახმარებით მომხდარიყო ჩვენი სასულიერო პირების შესვლა აფხაზეთსა და სამაჩაბლოში. უნდა აღინიშნოს, რომ ძალიან დიდი პატივით მიგვიღეს, ძალიან დიდი იყო ინტერესიც.

— ვისთან გქონდათ კონკრეტულად შეხვედრები?

პირველი შეხვედრა მის უწმინდესობასთან ალექსი მეორესთან შედგა, მაცხოვრის სახელობის საკათედრო ტაძარში. აქ საბერძნეთიდან ჩამოაბრძანეს წმინდა დიმიტრი თესალონიკელის წმინდა ნაწილები. მისმა უწმინდესობამ ჩვენი დელეგაცია მიიწვია ამ სიწმინდეთა დახვედრაში მონაწილეობისათვის. ალექსი მეორემ ქადაგებაში აღნიშნა: „ჩვენთან ერთად იმყოფებიან საქართველოს სამოციქულო ეკლესიის დელეგაციის წევრები. რომლებიც ჩამოვიდნენ აქ დიალოგისათვის, ჩვენ ორ ეკლესიას შორის ურთიერთობების შემდგომი განვითარების მიზნით“. მეორე დღეს შეეხვდით ყოვლადუსამღვდელოეს სმოლენსკისა და კალინინგრადის მიტროპოლიტ კირილეს.

იგი არის საგარეო ურთიერთობების განყოფილების თავმჯდომარე. მინდა ვთქვა, რომ ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ვსაუბრობდით ჩვენს შორის არსებულ პრობლემებზე. ყველაზე ძნელი იყო მსჯელობა იმ საკითხზე, თუ როგორ მოვახერხოთ ჩვენი სასულიერო პირების შესვლა აფხაზეთსა და სამაჩაბლოში. რუსეთის მხარე მიიჩნევს, რომ ეს ჯერჯერობით რთულია, საქართველოში მომხდარი მოვლენების გამო. ამასთან აღნიშნეს, რომ შეუძლებელია ამ საკითხებზე საუბარი, როგორც სასულიერო პირებთან, ისე ხელისუფლებასთან. ისიც ითქვა, რომ საჭიროა მუშაობა იმ ადამიანებთან, რომლებიც აფხაზეთსა და სამაჩაბლოში ცხოვრობენ. რადგან ვითარება მძიმეა, შემოგვთავაზეს დროებით მათი სასულიერო პირები შესულიყვნენ და ჩაეტარებინათ იქ წირვა-ლოცვა. ამაზე ჩვენგან კატეგორიული უარი მიიღეს. რამდენიმე წლის წინათ იყო ამგვარი შემოთავაზება, რაზედაც კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ უარი უთხრა. კიდევ ერთხელ დავუდასტურეთ, რომ შეუძლებელია იქ მათი შესვლა. გაუგებარია — ერთის მხრივ აღიარებენ საქართველოს იურისდიქციაში მყოფ ტერიტორიებს, მეორეს მხრივ ითხოვენ იქ თავიანთი სასულიერო პირების შესვლას. სადაც კი გვქონდა შეხვედრა, ყველგან აღვნიშნავდით, რომ ქართველებისათვის სამაჩაბლოსა და აფხაზეთის გარეშე საქართველო წარმოუდგენელია. გვქონდა, ასევე, შეხვედრა მის უწმინდესობა ალექსი მეორესთან, სადაც, ასევე, ღიად ვისაუბრეთ მოსაგვარებელ საკითხებზე. სამწუხაროა, რომ რუსული ტელეარხები ანტიქართული მოწოდებითა და ანტიქართული განწყობით არიან. აუცილებელია მათ ტონი შეცვალონ. უნდა შევეცადოთ დაძაბული ურთიერთობა ქრისტიანულ ურთიერთობაში გადავიყვანოთ. შევხვდით საპატრიარქოს ერთერთი ფონდის თავჯდომარეს ალექსეევს. არაოფიციალური შეხვედრა გვქონდა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან, გრიგოლ პარციმთან. აქ მეუფე ანდრიამ, სხვა საკითხებთან ერთად, ითხოვა რუსეთის ფედერაციის დახმარება მიცვალებულებისა და ტყვეების გადმოყვანაში. ამაზე აღგვითქვეს დახმარება და, მართლაც, მალე მოხდა მიცვალებულთა გადმოსვენება. მოსკოვში წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში პარაკლისი აღვავლინეთ. იქ შევხვდით ქართულ დიასპორას. მინდა ავღნიშნო, რომ ძალიან მძიმეა მათი სულიერი მდგომარეობა, რამეთუ ისინი ცხოვრობენ და მუშაობენ იმ ქვეყანაში, რომელმაც საქართველოს გარკვეული ნაწილის ოკუპაცია მოახდინა. მათი ერთადერთი ნუგეში, როგორც თვითონ აღნიშნავენ, არის ეკლესია. ძირითადად ჩვენი ვიზიტის შეხვედრები ამით შემოიფარგლა.

— რა როლი შეიძლება ითამაშოს ახალგაზრდობამ კონფლიქტების მოგვარებაში?

მე ვფიქრობ, ყველანაირი რესურსი უნდა გამოვიყენოთ იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ ის თბილი ურთიერთობა, რომელიც ჩვენს ორ ხალხს შორის იყო, არის და, იმედია, ყოველთვის იქნება. რუსული მედია ცდილობს წარმოსახოს, თითქოს ამერიკის შემდეგ, მათი ყველაზე დიდი მტერი საქართველოა. ამ ყველაფერს იწვევს მათი ტელე-არხებიდან არასწორად გადაცემული ინფორმაცია. სამწუხაროდ, ამ ინფორმაციას იქ მცხოვრები ახალგაზრდები უყურებენ და უსმენენ. მათ კი არასდროს უნახავთ საქართველო, ქართველი ახალგაზრდობა. ამიტომ, აუცილებელია ახალგაზრდული დელეგაციების გაცვლა, რათა მოხდეს ჩვენი კულტურის, ხელოვნებისა და ტრადიციების უფრო უკეთ გაცნობა. ქართველი ადამიანი არასდროს ყოფილა ბუნებით დამპყრობელი. ყოველთვის მხოლოდ იმას ცდილობდა, თავისი მიწა-წყალი შეენარჩუნებია.

— რა შედეგს შეიძლება ველოდოთ ამ ვიზიტისგან?

იცით, ძალიან ძნელია უცებ ყველაფრის მოგვარება. ამას სჭირდება დრო, ბრძნული და სწორი გადაწყვეტილებების მიღება. ალბათ, ერი და ბერი უნდა გაერთიანდეს და გადაწყვიტოს, როგორ ვიმოქმედოთ. ყველგან, სადაც კი შეხვედრა გვქონდა, ვამბობდით მისი უწმინდესობის, ილია მეორის სიტყვებს:

„რუსეთს უნდა სჭირდებოდეს დამოუკიდებელი, თავისუფალი, ძლიერი საქართველო და საქართველოსაც რუსეთის სახით უნდა ჰყავდეს კეთილი მეზობელი და არა ის, რომ ჩვენ შორის მტრობა იყოს“.

— დიდი მადლობა, მეუფეო, რომ ჩვენთან საუბრის დრო გამონახეთ..

მადლობა თქვენ იმ ინტერესისათვის, რომელიც ჩვენს დელეგაციასთან დაკავშირებით გამოხატეთ. მინდა, ყველამ ყველაფერი გავაკეთოთ, რათა საქართველო ერთიანი და ძლიერი იყოს. გისურვებთ წარმატებებს.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგახაროთ.

ინტერვიუ მოამზადა
ნათია გოგუაძემ

ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრი, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად, ატარებს ინტელექტუალურ თამაშს „ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას“. მასში მონაწილეობისათვის, საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან, ახალგაზრდულ ცენტრში 1000-მდე განაცხადი შემოვიდა.

19 სექტემბერს, ღია კარის დღეზე, ცენტრის ხელმძღვანელი, ეპისკოპოსი სტეფანე სკოლების წარმომადგენლებს ესაუბრა თამაშის ორგანიზებაზე. 9 დეკემბერს მოეწყო შეხვედრა რესურს-ცენტრების ხელმძღვანელებთან. კონკურსის წესების განმარტების შემდეგ, ჩატარდა საჩვენებელი თამაში, რომელშიც მონაწილეობდა 7-7 მოსწავლით დაკომპლექტებული რამდენიმე გუნდი.

თამაში ძალზე საინტერესოდ და დინამიურად წარიმართა. იგი იყო სახალისოც და შემეცნებითიც, როგორც მოთამაშეთათვის, ასევე მსმენელთათვის. ყველა მონაწილე ცდილობდა აქტიურად ჩართულიყო თამაშის პროცესში. კონკურსი არ იყო დროში მომაბეზრებლად გაწელილი და ესთეტიური მხარეც ახლდა — იყო საყურებლად და მოსასმენად სასიამოვნო, დამშვენებული მუსიკალური ნომრებით. თითოეული რაუნდი სრულიად გამჭოლად და ღიად წარიმართა, რაც გამორიცხავდა მიკერძოებას რომელიმე გუნდის მიმართ.

15 დეკემბრიდან 31 იანვრამდე გაიმართება სასკოლო ეტაპი, გამოვლინდება სკოლების გამარჯვებული გუნდები, რომელთა ბაზაზეც ჩამოყალიბდება სკოლების ნაკრებები.

მომდევნო, სარაიონო ეტაპი, დაიწყება მიმდინარე წლის მარტში. მასში მონაწილეობისათვის თითოეული სკოლა წარმოადგენს თითო გამარჯვებულ გუნდს, ასაკობრივი ჯგუფების შესაბამისად.

სარაიონო ეტაპზე გამარჯვებული გუნდები ასპარეზობას განაგრძობენ ზონალურ შეჯიბრში. შემდეგ ნახევარფინალური ეტაპი გამოავლენს შვიდ გამარჯვებულ გუნდს, რომელთა მონაწილეობითაც გაიმართება ფინალი.

ტურნირი ორ ასაკობრივ ჯგუფს მოიცავს, V-VIII კლასელები ცალკე ითამაშებენ, IX-XII კლასელები ცალკე. შესაბამისად, ყველა ეტაპს ისინი თავის ასაკობრივ ჯგუფში გაივლიან და გამარჯვებულებიც ორივე ასაკობრივ ჯგუფში ცალ-ცალკე გამოვლილნდება.

ეკლესიეთო — დედავ!



მარიამი საზარელმა ხმაურმა გამოაღვიძა. გოგონა სწრაფად წამოხტა და ფანჯარასთან მიირბინა. ყველაფერი ცეცხლის ალში იყო გახვეული, მეზობლის სახლიდან კივილი ისმოდა, მაგრამ მშველელი არსაიდან ჩანდა. დედამ გოგონა ფანჯარას მოაშორა და ცრემლიანი თვალებით ჩაცმა დაუწყო. მარიამი ვერ ხვდებოდა, რა მოხდა, ის ხომ ჯერ პატარა იყო, სულ ექვსი წლის.

დედა-შვილმა ჩუმად ჩაირბინა კიბე და ტყისაკენ მიმავალ ბილიკს გაუყვა. ირიჟრაჟა. როდესაც ტყეში შევიდნენ, იქ ბევრი მეზობელი ნახეს. ისინი ტიროდნენ და ერთმანეთს ეხვეოდნენ. მარიამი დედას არ შორდებოდა და თვალებით მამას ეძებდა. ის კი არ ჩანდა. გოგონას ცრემლები მოერია. ძალიან უნდოდა ჩახუტებოდა მამას და მის მკლავებში თავი უშიშრად ეგრძნო.

გათენდა. ყველანი სოფლისაკენ იხედებოდნენ და შორიდან ემშვიდობებოდნენ თავიანთ სახლ-კარს. ეტყობოდა, დიდი ხნით ტოვებდნენ მას.

მარიამს თავისი ასაკი არ აძლევდა საშუალებას რეალობა შეეფასებინა, თამაშის ხასიათზეც კი დადგა, როდესაც თანატოლები დაინახა. ბავშვებმა მინდვრის ყვავილების კრეფა დაიწყეს და ისე გაერთნენ, მარიამს არც შეუმჩნევია, როგორ წავიდა დედა სოფლისაკენ და როგორ დაბრუნდა იქიდან პატარა გოგონათი. მან დაინახა თუ არა გოგონა გახარებულმა შეჰყვირა:

— ასიდა! შენც აქა ხარ?

— ჰო, — ტირილით უპასუხა გოგონამ. ჩემი ძმა, ვიტალი მოკლეს, დედაც დაიკარგა. მე... მე... დედაშენმა წამომიყვანა შენთან.

მარიამი და ასიდა მეზობლები იყვნენ, ერთ ეზოში იზრდებოდნენ და სკოლაშიც ერთად აპირებდნენ წასვლას, მაგრამ არ დასცალდათ. მარიამს შეებრალა ასიდა და ჩაეხუტა.

— მამაჩემიც... დაიკარგა, — ცრემლნარევი ხმით უთხრა მარიამმა ასიდას, მაგრამ ასიდას ბოლო სიტყვა არ გაუგონია, სულ ახლოს, ტყეში, რაღაც აფეთქდა და ხალხი აიშალა. ისინი ტყის სიღრმისაკენ გარბოდნენ. ყველას უჭირდა, რადგან უმრავლესობა მოხუცები, ქალები და ბავშვები იყვნენ. შედარებით ახალგაზრდებს ბავშვები ხელში აყვანილი მიჰყავდათ და მოხუცებს ეხმარებოდნენ. ისინი მთელი ღამე მიდიოდნენ და დილით გავიდნენ გზაზე. ცდილობდნენ, როგორმე გადმოელახათ მდინარე ენგური და სამშვიდობოს გასულიყვნენ. იქნებ მანქანამ გამოიაროს, თქვა ვიღაც მოხუცმა, რომელსაც გზაზე თავის ფეხსაცმელი დაჰკარგვოდა და ფეხიდან სისხლი სდიოდა.

— ღმერთო! დაგვიფარე! — ლოცულობდა მეორე და ჯიბიდან ამოღებულ პურის ნაჭერს სხვებსაც უნაწილებდა.

მარიამი და ასიდა დედას მიხუტებოდნენ და ეძინათ.

— რა მოხდა? ნუთუ არ გვეყოფოდა ყველას ეს მიწა? ხომ ვცხოვრობდით ერთად ტკბილად და ბედნიერად — კითხულობდნენ აქეთ-იქიდან. „მანქანა მოდის, მანქანა“ — დაიძახა ვიღაცამ. მანქანა ბავშ-

ვებით იყო სავსე და მათკენ არც გამოუხედავთ. ასე იყვნენ ჩასაფრებულები საღამომდე, მაგრამ ამაოდ.

ერთი ახალგაზრდა, რომელსაც თავი ჰქონდა შეხვეული, მოხუცებთან რაღაცას ბჭობდა, დრო და დრო მთისკენ იშვერდნენ ხელს და შემდეგ ბავშვებს გადაეხვეოდნენ ხოლმე. ბოლოს გადაიწერეს პირჯვარი და მთისკენ აიღეს გეზი.

მარიამი და ასიდა დედას გვერდიგვერდ მიჰყვებოდნენ. ისინი ჩუმად, მათთვის შეუფერებლად მიდიოდნენ, თითქოს ნაადრევად დაქალდნენ და ბავშვობა სადღაც, შორს დარჩათ. მარიამი დაიღალა, დედამ ხელში აიყვანა და ისე ატარა. „დავიღალე“, — ცრემლები გადმოსცვივდა ასიდას. დედამ ასიდა აიყვანა და მხრებზე შეისვა. მარიამი ხელჩაკიდებული მიჰყვებოდა. ასე მორიგერობით მიიწევდნენ წინ, გზას კი დასასრული არ უჩანდა.

შესვენების შემდეგ, კვლავ მთის ბილიკს მიუყვებოდნენ და არავინ იცოდა, რა მოელოდათ. ერთმანეთის თვალწინ ეცემოდნენ ადამიანები, იყინებოდნენ, შველას ითხოვდნენ, მაგრამ მშველელი არავინ იყო.

— მცივა! — წამოიძახა ასიდამ.

— ვაიმე, შვილო, — ხელებით ათბობდა ასიდას დედა.

— მცივა! — კვნესოდა მარიამი.

— მოგიკვდეს დედა, — ახლა მის გათბობას ცდილობდა დედა. თუმცა, თვითონაც გაყინული და უნუგეშო იყო. ის მუხლებზე დაჩოქილი ევედრებოდა ღმერთს:

— ღმერთო! შენ მომეცი ძალა გადავარჩინო ბავშვები, როგორმე გავიყვანო სამშვიდობოს.

გადაუღებლად თოვდა, სიარული ჭირდა. მარიამის დედა მთელი ღამე ბავშვების გათბობას ცდილობდა, რაც ჰქონდა ყველაფერი მათ დაახურა. არადა, თვითონაც ძლივს იდგა ფეხზე და უფალს გამუდმებით ევედრებოდა ბავშვების გადარჩენას.

გათენდა თუ არა, ყველამ ფაციფუცი დაიწყო. ნამძინარევი და გათოშილი მარიამი წაბარბაცდა, ფეხი დაუსხლტდა და ხევში გადავარდა.

— მარიამ! — დედის კივილმა იქაურობა შეძრა, ინსტინქტურად თვითონაც კლდისკენ გაექანა, მაგრამ...

— დედა! — მოესმა უეცრად. შეჩერდა. ნუთუ შეეშალა, მარიამი ეძახის? — მიბრუნდა — მისკენ ასიდა მორბოდა.

დედის გულმა ასიდას გაუღო კარი: „ვის დავუტოვო ბავშვი? მერე რა რომ აფხაზია? მარიამს და ასიდას ხომ ძალიან უყვარდათ ერთმანეთი? მათი ბრალი ხომ არ არის ომი? — აი, კითხვები, რომლებმაც წამში გაურბინეს გონებაში დედას და განზრახვა, თვითონაც მარიამთან ერთად გადაჩეხილიყო, გადააფიქრებინა. დედამ გულში ჩაიკრა ასიდა. ორივენი დიდხანს ტიროდნენ და მარიამს ეძახდნენ. მარიამს კი მათი არ ესმოდა... ვინ იცის,

რანდენმა დედამ დატოვა თავისი შვილის სხეული თოვლქვეშ და რამდენმა შვილმა დამარხა მოხუცი მშობელი იმ მიუვალ მთებში.

თვითმფრინავის ხმამ გამოაფხიზლა... მათკენ თვითმფრინავი მიფრინავდა. ძლივს აიყვანეს გათოშილი ხალხი.

აი, დადგა ზაფხული. მთებში თოვლი დადნა. შავებში ჩაცმული ქალი და ბავშვი ყვავილებით ხელში დიდხანს ჩასცქეროდნენ ხევს. არა, არ ყოფილა ისეთი ღრმა ეს ხევი, ნუთუ გადარჩა ჩემი გოგონა? იმედი მიეცა დედას.

ასე ხდება ყოველ ზაფხულს, ასიდა და დედა აკითხავენ მარიამს და გულით ნატრობენ იმ დროს, როდესაც ყველანი ერთად იცხოვრებენ და ისეთივე ლაღები იქნებიან, როგორიც ზღვის ტალღებია.

ლამაზად მორთულ ოთახში სუფრაა გაშლილი. იქ აფხაზურ ჰანგზე გოგონა ღიღინებს, რომელსაც ჩვიდმეტი წელი შეუსრულდა და დედამ მისი თანაკურსელები და სხვა მეგობრები მოიწვია. ახალგაზრდები მხიარულობენ, ქართულ-აფხაზურ მელოდიებზე ცეკვავენ და მღერიან. მაგიდაზე მომღიმარი მარიამის სურათი დევს, რომელიც, თითქოსდა, მათ ზეიმს უერთდება. დედა ჩუმად იწმენდს ცრემლებს.

უცებ ზარმა დარეკა. ასიდამ გააღო კარი და დაინახა ყვავილებით ხელში მომღიმარი ყმაწვილი, რომელსაც თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე.

ასიდა გაოცებული იდგა მისი შემოპატიჟებაც კი დაავიწყდა, რადგან ყმაწვილის ლოყაზე ხალი დაინახა. სადღაც უნახავს ეს ხალი, ეს თვალები, ეს ღიმილი... „ვიტალი“, — წამოიძახა მან. ისინი დიდხანს იდგნენ ჩახუტებულები და ცრემლად იღვრებოდნენ. მათთან ერთად ტიროდნენ სხვებიც. ეს იყო ვიტალი, სასწაულებრივად გადარჩენილი, ასიდას ძმა. დედამ კეთილი ადამიანების დახმარებით იპოვა და თავის დას შეახვედრა.

როგორც იქნა გამოერკვა ასიდა. მან თავისი ძმა დედობილთან მიიყვანა და უთხრა: — გმადლობ დედი, ასეთი საჩუქრისათვის.

სამივენი ერთმანეთს გადაეხვივნენ. შორიდან კი მათ მარიამი უღიმოდა, თითქოს ისიც მადლობას ეუბნებოდა დედას, ასიდაზე ზრუნვისთვის.

ლანა ქუთელია
გალის რაიონი სოფელი თაგილონი

ეს მოხდა მაშინ, როდესაც მე დაბადებული არც კი ვიყავი. ერთ ლამაზ სოფელში, რომელიც ჩემი ბებოსა და ბაბუს სოფლთან ახლოსაა, ცხოვრობდნენ ოსური ოჯახები. ისინი ქართველებთან ყოფილან მირონითა და სისხლით დანათესავებულნი, ერთი ჰქონიათ თურმე ჭირიცა და ლხინიც, ერთად უხაროდათ და ერთად სტკიოდათ, მაგრამ უცებ ქვეყანაში დენთის სუნი დატრიალდა, ყველაფერი აირია, აუტანელი გახდა მათი ცხოვრება, მეგობრობა მტრობამ შეცვალა, გამოიკეტა ერთი სახლის კარი, ეზოსა და ბაღვენახში ბალახმა გადაიარა, ამას მეორე მოჰყვა და ასე ნელ-ნელა სოფელი არიშფერანი (ლაგოდეხის რაიონი) თითქმის გაიცალა. ოსები წავიდნენ და თან გაიყოლეს დიდი სიყვარული, სიყვარული იმ მიწისა სადაც დაიბადნენ და გაიზარდნენ.

რომა, თურმე, ძალიან პატარა იყო, როდესაც მშობლებთან ერთად ვლადიკავ-

კაზში გადასახლდა. ენატრებოდა ყველა და ყველაფერი. ოცნებით, თურმე, სულ აქ იყო, ჩვენთან. ნატრობდა... უსაზღვრო იყო მისი მონატრება და იცით რა მოხდა გასულ ზაფხულს? რომა დაბრუნდა!

სოფელმა დიდი სიყვარულით მიიღო, შეხვედრა ცრემლითა და სიხარულით იყო სავსე. ზოგმა ვერ იცნო.

— ეს რომაა? — ისმოდა ირგვლივ. ის კი ყველას ეხვეოდა, ეფერებოდა. მეგონა, მეც ვიცნობდი რომას, რადგან ძალიან ახლობელი მომეჩვენა. ვიდექი ჩემთვის, ვუყურებდი ამ შეხვერას და ვფიქრობდი:

— ნეტავ რატომ? თუ ასე ვუყვარვართ, ნეტავ რატომ?..

პასუხი გაუცემელი დარჩა, დედიკოს ვკითხე და ამიხსნა. მერე კი მივხვდი, რაოდენ დიდ გავლენას ახდენს ქვეყნის ბედი ცალკეული ადამიანების ბედზე.

რომა ხმამაღლა გაიძახოდა ქართულად (მას ქართული ისევ კარგად ახსოვს)

— მე თქვენთან მინდა, მინდა და მოვედი, მოვედი და სულ თქვენთან დავრჩები!

ისევ აყვავდა ქარქუზოვების ბაღ-ვენახი, ისევ წამოიღო ახალი ყლორტი ვაზმა, ისევ გაიმარგლა მათი ეზო სარეველა ბალახისგან, ისევ გაიღო მათი ჭიშკარი.

ეს მიწის ძახილია, ძახილი რომლის ხმამაც რომა ქარქუზოვი დააბრუნა მშობლიურ მიწაზე. დიახ, მშობლიურ მიწაზე. მისი მამა-პაპა აქ დაიბადა და აქვე დაბრუნდა. იმედი მაქვს, მას მალე სხვაც ბევრი მოჰყვება. ჩვენ კი შორეული ექოდან მივაწვდენთ ხმას და ვეტყვით, რომ ჩვენც მათთან გვინდა! ჩვენ ერთად გვინდა! ვიქნებით კიდეც, ეს დროებით შეწყვეტილი ურთიერთობა იყო.

ხშირად ჩამესმის ყურში დაბრუნებული რომას ხმა.

— მე თქვენთან მინდა!

სწორედ ეს ხმა ჩამესმის ახლაც, როდესაც ამას ვწერ, არ მასვენებს ეს ხმა და ჩემს თავს ისევ იმას ვეკითხები:

— რატომ? რა უშლის ხელს? ვინ დგას ყოველივე ამის უკან?

ვისაც ჩვენი სიყვარული შეუძლია — ყველას გიხმობთ, გეძახით, გელით! ჩვენც თქვენთან გვინდა!..

თამარ ხოდელი.
თბილისის 147-ე სკოლა

ქართული უცხო მიწაზე

ძალიან მიყვარს ჩიტები. ყოველი მათგანი თავისებურად ლამაზია და სულაც არ არიან საშიშნი, როგორც ზოგიერთი ბავშვი ფიქრობს. მაგრამ ერთი ჩიტი ვიცი, რომელიც ძალიან მაშინებს. მას დიდი რკინის ფრთები და კარებიც აქვს...

მახსოვს, დილით ადრე ამაყენეს და წინა დღით გამზადებული ჩანთით, რომელშიც ჩემი ნივთები ეწყო, წავედით ამ რკინის ჩიტთან შესახვედრად. მაშინ მეგონა, რომ აუცილებლად დავბრუნდებოდით სახლში, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდებოდა ხოლმე. ამიტომ ჩემი თეთრი მარწყვებიანი კაბა და საყვარელი თოჯინა, ჩემს სხვა ნივთებთან ერთად, დავტოვე ოთახში. ციოდა. გამიგია, ჩიტები თბილ ქვეყნებში მიფრინავენო და ამ რკინის ჩიტმაც მე და ჩემი ოჯახი ერთ ასეთ თბილ ქვეყანაში გადაგვაფრინა. წლინახევრის შემდეგ გავიგე, რომ ამ ქვეყანას ისრაელი ერქვა. ახლა უკვე, როდესაც ყველაფერს ამდენი ხნის შემდეგ ვიხსენებ, პირველი ერთი წელი, როგორც დიდი შავი ლაქა, ისე მახსენდება.

არანაირი სხვა მოგონება. მხოლოდ ერთი სახე მიტრიალებს თავში, რომელიც მთელ ჩემ არსებაში უდიდესი ტკივილის, ნაღველისა და რაღაც ქართულის შეგრძნებას იწვევს.

მიუხედავად იმისა, რომ ისრაელში წასვლამდე საქართველოში ძალიან ცოტა ხანი ვცხოვრობდი, არ დამვიწყებია, რომ მქონდა სამშობლო. ისიც ვიცოდი, რომ დანგრეულ საქართველოში ცხოვრება ჯობდა ისრაელში კარგად ცხოვრებას. პატარა ვიყავი, მაგრამ მე ეს ვიცოდი. ამ ქვეყანაში თავს სტუმარივით ვგრძნობდი, რომელსაც სახლში წასვლა უნდა. უცხო მხარეში ჩემი არაფერი იყო: სულ სხვა ჰაერი, სხვა ხალხი, იქ ყველაფერს სხვა სუნი აქვს, თითქოს ნიავიც სხვა რაღაცას გეჩურჩულება შენთვის გაუგებარ ენაზე, სული გეხუთება და მთელს შენ არსებას იპყრობს ერთი სურვილი — სახლში მინდა!

იმისათვის რომ შვილი გამოიკვებოს, განვითარდეს და იცხოვროს, როგორც სრულფასოვანმა ადამიანმა, უფროსებს ზოგჯერ მშობლიურის დათმობა, მიტოვება უწევთ და სახლიდან შორს, ძალიან შორს მიდიან. მაგრამ ერთადერთი, რაც ყველაზე მეტად გსურს, ისევ სახლია — მონატრებული, საყვარელი, მშობლიური და განუმეორებელი.

მაშინ პატარა ვიყავი და სიტყვებით არ შემეძლო ეს ყოველივე გადმომეცა, მაგრამ ამას მთელი ჩემი არსებით ვგრძნობდი. ყველა სიკეთესთან ერთად, დღის განმავლობაში, არც მშობლები იყვნენ ჩემთან. ისინი დილიდან გვიანობამდე მუშაობდნენ.

შაბათი ებრაელებისთვის წმინდა დღეა და უქმედ ითვლება. ეს დღე ყველაზე მეტად მიყვარდა, რადგან მშობლები არ მუშაობდნენ და მეც სახლში მარტო გამოკეტილს არ მიწევდა ყოფნა. შაბათს თითქმის ყველაფერი გაჩერებულია, ეს ნათლად იგრძნობა ქუჩაში გასვლისას. ჩვეულებრივ, ხმაურიანი იერუსალიმი ამ დღეს ჩუმადაა. კანტიკუნტად თუ ჩაივლის მანქანა და რამდენიმე სწრაფადმოსიარულე „დატიშნიკს“ თუ შეხვდებით ან ტურისტს, თორემ სხვა ყველაფერი დუმს. შაბათს ყველა ერთად დავდიოდით ერთ დროს საქართველოს კუთვნილი მიწის მოსალოცად, ამ უცხო ქვეყანაში.

იაფოდან ჯვრის მონასტერში მიმავალი გზა ვიწრო და მტვრიანია, გზის გაყოლებაზე გადაშლილია ზეთისხილის ბაღი, რომელიც რკინის მესერითაა შემოფარგლული. როგორც აღვნიშნე, გზა მტვრიანია და ჩემი პატარა ნაბიჯის დადგმის დროსაც კი ბუღი ასდიოდა. ეს განსაკუთრებით აუტანელია აგვისტოს სიცხეში. პირველად ამ გზას, სწორედ, აგვისტოს ერთ ასეთ ცხელ შაბათს დავადექით. სიცხეში სიარული რთულია, ამას კიდევ უფრო აუტანელს ხდიდა ჩემი ზურგჩანთა, რომელსაც წყლის ორი ბოთლი ამძიმებდა. რთულია, მაგრამ წყალი სიცხეში აუცილებელია, ეს ხომ იერუსალიმია.

ჯვრის მონასტერში შესასვლელი კარი პატარაა. შესვლისას უფროსებს, ყველას უწევდა თავის დახრა, გამეხარდა ჩემს შემთხვევაში ასე რომ არ მოხდა — მე ხომ ისედაც პატარა ვიყავი. შევდგი თუ არა ფეხი ეზოში, უეცრად სხვა სამყაროში აღმოვჩნ-

დი. ნიავმა გამიგრილა სიცხით გათანგული სხეული, უკან მიხედვისას გზამ, რომელსაც მცხუნვარე მზე აჭერდა, თვალი მომჭრა. შევედით, პატარა რკინის კარი დაიხურა. ეზოში იდგა ლიმონის დიდი ხე, რომელიც დაუღალავად შრიალებდა და აგრილებდა იქაურობას. ირგვლივ ლიმონის საოცარი სურნელი იდგა. ტაძარში შესვლისას, მეგონა, სახლში დავბრუნდი. კედლები ქართული სუნით იყო გაჟღენთილი, მშობლიური მყუდროება და სიწმინდე სუფევდა, სწორედ ისეთი, როგორიც საქართველოს ტაძრებშია. იქ ნამდვილი, პატარა საქართველო იყო. ყოველივე ამას განვიცდიდი, თვალებგაფართოებული შევცქეროდი კედლებს, ჭერს, ირგვლივ ყველაფერს. ამ დროს ერთ სვეტს მოვკარი თვალი და სუნთქვა შემეკრა, — დავინახე პატარა მოხუცის კეთილი, ნათელი სახე, რომელსაც ხელები დიდი მოწიწებითა და სიყვარულით მაღლა აღეპყრო. მისი თვალები და მზერა, ქართული გამოხედვა განსაკუთრებით დამამხსოვდრა.

— დედა, შეხედე, ქართველი! — აღმომხდა მე.

ამდენი უცხო ადამიანის, უცხო სახეს შორის პირველად ვნახე ერთი ქართული გამოხედვა, ეს იყო მთელი ამ გაუცხოების საშინელებაში ერთი ნათელი წერტილი და ეს სწორედ ის სახეა, რომელიც იერუსალიმში გატარებულ პირველ წელს მახსენებს. მონატრება, ტკივილი, ნაღველი, სიხარული ყველაფერი ერთად მომაწვა... მიკვირს ამდენი ემოცია როგორ დაიტია ჩემმა პატარა გულმა, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ეს შევძელი, ყოველივემ მაინც მძიმე დაღი დაასვა მთელს ჩემს არსებას. მივხვდი, რომ სახლში არ დავბრუნდებოდით და იქ, უცხო ქვეყანაში უნდა გვეცხოვრა, გვესუნთქა უცხო ჰაერი. გამახსენდა ის, რაც მაკლდა და ჩემს სულს აფორიაქებდა — ეს ჩემი სახლი იყო. საქართველო და ყველაფერი ქართული მენატრებოდა. მახსოვს, ამ დიდი შთაბეჭდილებების შემდეგ, სახლში დაბრუნებულს სიცხე მომცა, ყოველგვარი გაციების გარეშე. მშობლებს ვერ გაეგოთ რა მჭირდა, მაგრამ მე ვიცი რატომაც ვიყავი ცუდად... რამდენიმე დღე ასე გაგრძელდა, მაშინ ერთადერთი რამ მინდოდა — პასუხი მიმეღო კითხვაზე: რატომ? რატომ არ შეიძლება ვიცხოვროთ და ვიარსებოთ ჩვენს მიწაზე? ვიმეორებდი ამას ჩემს თავში და ბრაზი, იმედგაცრუება მახრჩობდა. რატომ, ხალხო?

გავიზარდე და აღმოვაჩინე, რომ ჩემს გარდა, იქ, საქართველოდან არსებობისთვის წამოსული ბევრი ქართველი იყო. მაგრამ განა რამე აზრი აქვს სამშობლოს გარეშე არსებობას?.. ყველას ერთი რამ სურდა — დაბრუნება... ზოგი როგორ ცდილობდა ამ აუტანელ ნოსტალგიასთან, მონატრებასთან ბრძოლას და ზოგი როგორ, მაგრამ ამის გაქრობა შეუძლებელია, ის იარსებებს მანამ, სანამ შენ ხარ ქართველი უცხო მიწაზე.

ᲨᲝᲠᲔᲜᲐ ᲒᲝᲠᲒᲝᲫᲔ



ღარღმეული პავშვობა

ქუჩის ბავშვები... თემა, რომელიც დღეს უკვე ჩვეულებრივ ბანალურ მოვლენად იქცა. ჩვენი ყოველდღიური ყოფითი ცხოვრებისაგან აბსოლუტურად გამიჯნული სამყარო. სამყარო, რომელიც მათ დანაშაულისა და არაჯანსაღი ცხოვრების წესისაკენ უბიძგებს. სამყარო, სადაც უცხოა სიყვარული, სიკეთე, პატივისცემა, რწმენა, სადაც ყველაფერი თვითგადარჩენასა და ცხოველურ ინსტინქტებზეა დამოკიდებული. სამყარო, რომელსაც ჩვენ ყოველდღიურად ვეხებით, მაგრამ, დანაშაულის შეგრძნების გარეშე გვერდს ვუვლით.

ქუჩის ბავშვების მშობელთა უმეტესობა, უკიდურესი გაჭირვების გამო, გამოსავალს ნარკოტიკებსა და ალკოჰოლურ სასმელში ეძებს. არცთუ იშვიათად ისინი უბიძგებენ და აიძულებენ შვილებს, გავიდნენ ქუჩაში, იმათხოვრონ ან იქურდონ და ამგვარად არჩინონ ოჯახი. საბოლოოდ, ასეთი ბავშვები იმდენად ეჩვევიან ქუჩას, რომ თავიანთი სურვილით ტოვებენ ოჯახებს და ხდებიან უსახლკარონი. ძალიან ძნელია, მოიპოვო მათი ნდობა და, თუ ეს შეძელი, შეგიძლია ჩათვალო, რომ მათი საუკეთესო მეგობარი ხარ.

დღეს თბილისის ქუჩებში 1000-მდე უსახლკარო ბავშვი ცხოვრობს. მათი ზუსტი რიცხვის დადგენა პრობლემაა, რადგან ქუჩის ბავშვების უმრავლესობას არ სურს კონტაქტი სოციალურ სამსახურებთან. თითქმის არცერთ მათგანს არ გააჩნია პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

გარკვეულწილად, ეს ბავშვები საფრთხეს წარმოადგენენ საზოგადოებისათვის, რადგან მის მიმართ განსაკუთრებული აგრესიულობით გამოირჩევიან. მიაჩნიათ, რომ ოჯახთან ერთად თავად საზოგადოებამაც გარიყა ისინი. ქუჩას შეკედლებული ბავშვები შეჩვეულ ყოფას თავს ველარ აღწევენ და მათი ცხოვრების ბოლო, საუკეთესო შემთხვევაში, რკინის გისოსებია. ეს განაჩენი არ არის, ეს — ლოგიკური შედეგია.

ბავშვები, რომელთაც დაარღვიეს კანონი, უფრო მსხვერპლად უნდა მოიაზრებოდნენ, ვიდრე დამნაშავეებად. მათხოვრობასთან ერთად თითქმის ყველა მათგანი ტოქსიკომანია. წებო ყველასთვის იაფფასიანი და ხელმისაწვდომი „კაიფია“.

ქუჩის ბავშვების ცხოვრების სტილის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მახასიათებელს მომთაბარეობა წარმოადგენს. ისინი მუდმივად იცვლიან საცხოვრებელ ადგილს. ცხოვრობენ ჯგუფ-ჯგუფად: სადარბაზოებში, მიტოვებულ შენობებში, სკვერებში, სავაჭრო ცენტრების მიდამოებში. ქუჩის ბავშვების საცხოვრებელ ადგილებში სიბინძურე, სიცივე, უკიდურესი სიღატაკე და ქაოსია. ბუნებრივია, მათ „ბინებში“ არ არის ბავშვის ნორმალური განვითარებისათვის აუცილებელი, ელემენტარული საარსებო პირობები. მათი

ყოფა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს და ნათლად წარმოაჩენს ქუჩის ბავშვების დაუცველობას, უსუსურობას, უიმედობას...

რომ არა ეს სტატია, ალბათ ბევრ ჩვენგანივით, მეც გულგრილად ჩავუვლიდი მათ. გულგრილობა კი ყველაზე იოლი გამოსავალია პრობლემის გვერდის ასავლელად.

ყველაფერი კი ასე დაიწყო:

დეკემბრის რუხი, სუსხიანი საღამო იდგა. გაყინულ გზებზე მანქანები ირეოდნენ და სიგნალებით იკლებდნენ გადატვირთულ ქუჩებს. ყინვანარევი ქარი უცნაურ, სევდიან ფიფქს აყრიდა გირლიანდებით გადანათებულ ქალაქს. ყველას სადღაც ეჩქარებოდა, ალბათ წინასაახალწლო სამზადისის სწრაფად მოსამთავრებლად. მე კი ქუჩის ბავშვებს შუაგულ ქალაქში, „პლეხანოვზე“ ვეძებდი. მეგობრის რჩევა გავითვალისწინე და მარტო არ წავსულვარ. ერთი კვირის განმავლობაში შევეცადე მათი ნდობა მომეპოვებინა. თავდაპირველად საუბარი არ ისურვეს, მაგრამ ნელ-ნელა ზოგიერთი მათგანი მაინც „გაიხსნა“.

ჩემი რესპონდენტი ცხრა წლის გოგონაა, ეროვნებით სომეხი. მას ქნარიკა ჰქვია, თუმცა, რატომღაც, საკუთარი თავი მარიდ გამაცნო. ქნარიკა, ანუ მარი ქუჩაში დაიბადა. ამბობენ, დედამისმა სამშობიარომდე მისვლა ვერ მიასწრო და ეს პატარა არსება შუაგულ „პლეხანოვზე“ მოევლინა ქვეყნიერებასო. ბავშვი ქუჩაში იზრდებოდა; ლოთი დედა მისგან ყოველ საღამოს სასმელის საყიდლად, თანხას ითხოვდა. მალე ქნაროს დედა ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარებისა თუ რეალიზაციისათვის დაიჭირეს და გოგონა აბსოლუტურად უპატრონოდ დარჩა.

გთავაზობთ ინტერვიუს ქნაროსთან, დასკვნების გამოტანა კი თქვენთვის მომინდია:

— რატომ დგახარ ქუჩაში?

— სახლში რა გავაკეთო? დედაჩემი ციხეშია. მამა არ მყავს, თანაც მარტო ეგ არ არის. მომწონს ქუჩაში.

— მოგწონს? აქ რომ ასეთი სიცივეა?..

— სამაგიეროდ, საინტერესოა. აქ ბევრი ადამიანია, რომლებიც ფულსაც მაძლევენ და, ხანდახან, რაღაცეებსაც მჩუქნიან.

— არ გინდა ნორმალური ცხოვრება გქონდეს? ისე, როგორც სხვა ბავშვებს?

— არა, არ მინდა. მომწონს ასეთი ცხოვრება. ახლა რა მიჭირს, ცოტა გამოვსწორდი, წებოს აღარ ვყნოსავ უკვე ერთი წელია.

— დედა რატომ არის ციხეში?

— რა ვიცი, ნარკოტიკებს ღებულობდა, თანაც სახლში კაცები მოჰყავდა. ისინი მაიძულებდნენ მათთანაც ვყოფილიყავი. მერე მეზობლებმა იჩივლეს და დედა ციხეში წაიყვანეს, მე კი ბავშვთა სახლში — საგურამოში.

— მერე იქ არ მოგეწონა? იქ ხომ უკეთესია. ქუჩას და ამ სიბინძურეს



იქ ყოფნა არ გირჩევნია?

— არა, იქ ძალიან ცუდად მექცეოდნენ, არ მინდა იქ წასვლა (როგორც გოგონას ნათესავი ამბობს, საგურამოში გოგონა რამდენჯერმე გააუპატიურეს, რის შედეგადაც ბავშვი ორი თვის განმავლობაში საავადმყოფოში უმძიმეს მდგომარეობაში იწვა).

— აქ სხვა ბავშვებიც არიან. მათაც არ ჰყავთ მშობლები?

— რა ვიცი, ზოგს ჰყავს, ზოგს — არა. ზოგი გამოქცეულია სოფლებიდან და მარტო სახელი ვიცი. აი, მაგალითად, ირაკლის და გიოს მამა ჰყავთ. ის კაცი ლოთია. ღამე ფული თუ არ მიუტანეს, სახლში არ უშვებს და სადარბაზოში სძინავთ. რა ვიცი, კიდე ბევრნი არიან, მაგრამ ზოგი უკვე დიდია და ველარ მათხოვრობს. ისინი ჯიბის ქურდობით ირჩენენ თავს.

— მაინც რამდენი ბავშვია, დაახლოებით?

— აქ, ჩვენთან, თხუთმეტამდე იქნება. ზოგიც სადგურისკენ გადავიდა. იქ უკეთესად არიან. ხალხიც უფრო მეტია. მე წებოს აღარ ვსუნთქავ და აქ დავრჩი.

ეს იყო ის მცირედი, რაც ამ პატარა ადამიანისგან შევიტყვე. ერთს კი ვიტყვი, თვალით ნანახი ბევრად შემაძრწუნებელი იყო, საზოგადოებისგან მათი გარიყვა ადვილია, რადგან ისინი ცუდ, უზრდელ, საშიშ ბავშვებად არიან მიჩნეულნი. სინამდვილეში ვისი ბრალია მათი ასეთი ყოფა? ვინ აგებს პასუხს ამ ბავშვებზე? ვინ ცდილობს გაუგოს მათ და დაეხმაროს?

ისინი ბევრნი არიან...

ᲔᲙᲐ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ

კომპიუტერული თამაშები მოზარდებში



ამდენიმე წლის წინათ ეს თემა არც აქტუალური იყო და არც მსჯელობის საგანი გახლდათ. კომპიუტერული თამაშები არსებობდა, მაგრამ არა იმ რაოდენობით, რამდენიც დღეს არის. ტექნიკურმა განვითარებამ გაზარდა მოთამაშეთა რიცხვიც, რომლებიც დღის უმეტეს ნაწილს, მონიტორს მიჯაჭვულნი, სხვადასხვა თამაშებს უთმობენ მთელ თავის დროს.

დღეს, ყველაზე გავრცელებული და პოპულარულია კომპიუტერული ქსელური თამაში: „Counter-strike“. თამაშის სპეციფიკა მარტივია. არის ორი დანაყოფი: პოლიცია და ტერორისტები. მოთამაშეები ჯგუფებად იყოფიან და გამარჯვებისთვის ერთმანეთს ებრძვიან. მოთამაშეთა რაოდენობა განსაზღვრული არ არის. თამაში ერთი-ერთზე და ათი-ათზეც შეიძლება. იარაღების მრავალფეროვანი არჩევანი, სხვადასხვა საბრძოლო ველები, მიმზიდველი კომპიუტერული გრაფიკა — ეს არასრული ჩამონათვალია იმ თამაშებისა, რომლებიც მოზარდებს დღის უმეტეს ნაწილს კომპიუტერთან ატარებინებს.

14 წლის ნოდარ ბოლაშვილი, რომელიც ამ თამაშის აქტიური მომხმარებელია, ამბობს: „დღეში, ყველაზე მცირე, 5 საათს ვთამაშობ. ზოგჯერ სახლში ვართ, ზოგჯერ კი მეგობრები ვიკრიბებით და ინტერნეტკაფეში ჯგუფებად ვეჯიბრებით ერთმანეთს. მე, პირადად, „მაზიანებზე“ არ ვთამაშობ, მაგრამ ვიცნობ ბიჭებს, ვინც ნიძლავზე თამაშობს ხოლმე“.

ნოდარის თქმით, თითქმის ყველა მისი კლასელი თამაშობს. სკოლის დამთავრებისა შემდეგ, ერთი სული აქვთ, როდის მიუსხდებიან მონიტორებს და დაიწყებენ თამაშს. მეორე დღეს კი განიხილავენ იმას, თუ ვინ, ვისზე უკეთ ითამაშა.

რას აკეთებენ იმ დროს მშობლები, როდესაც მათი შვილები დროის უდიდეს ნაწილს ვირტუალურ სამყაროში ატარებენ? ნოდარის მამა, არჩილ ბოლაშვილი ამბობს: „14 წლისაა, მაგ ასაკში, მეც ვთამაშობდი. მაშინ კომპიუტერი არ იყო, მაგრამ რაც იყო, იმას ვთამაშობდი. დღეს განვითარდა ყველაფერი და ამიტომ, რაც მათთვის საინტერესოა, იმას თამაშობენ. ვიცი, რომ ზედმეტი არაფერი ვარგა, მაგრამ ხელს ვერ ვუშლი. მეც და ჩემი მეუღლეც ვმუშაობთ და ბავშვის გარეთ წანწალსა და ქუჩაში ხეტიალს მირჩევნია, ისევ კომპიუტერთან იჯდეს, ის მაინც მეცოდინება, რომ სახლშია და აღარ ვინერვიულებ. ინტერნეტკაფეშიც დაიპარება ხოლმე, მაგრამ იქ სიარულს ვუშლი. ასეთ კაფეებში კარგს ვერაფერს ისწავლის“.

23 წლის მიხეილ ბუაძე, რომელიც რამდენიმე წელიწადია ინტერნეტკაფეში მუშაობს, ამბობს: „დიდი ხანია, რაც ინტერნეტკაფეში ვმუშაობ, ჩვენი შემოსავლის ძირითადი წყარო, სწორედ, მოზარდები არიან, ისინი ჯგუფებად შემოდიან, დაიყოფიან და იწყებენ შეჯიბრს. როცა ერთმანეთს „ხოცავენ“ ატეხავენ ერთ ამბავს, ყვირიან: „ხომ მოგკალი“ და ა.შ.

3 საათამდე კლიენტების უმრავლესობა სტუდენტია, ძირითადად პირველკურსელები. 3 საათის შემდეგ კაფეს სკოლის მოსწავლეები ავსებენ. 6 საათის შემდეგ კი უმრავლესობას უბნელები შეადგენენ. იმ შემთხვევაში, თუ ათნი შეგროვდებიან, შეუძლიათ, მთელი ღამე ითამაშონ. ასე კი, საკმაოდ ხშირად ხდება, ძირითადად, პარასკევს და შაბათს, ალბათ იმიტომ, რომ მეორე დღეს სკოლაში არ მიდიან“.

ნოდარ ბოლაშვილი კი ამბობს, რომ ინტერნეტკაფეში არასდროს დარჩენილა: „ჩემი მეგობრები ხშირად დადიან კაფეში, მეც დავდივარ, მაგრამ ღამე არ ვრჩები, რად მინდა, სახლში მაქვს კომპიუტერი და აქედან ვთამაშობ. თითქმის ყველას ვიცნობ, ვინც თამაშობს და ეს უფრო აზარტულს მხდის“.

18 წლის ილია ხ-ძემ (მან გვარის გამხელა არ ისურვა) თქვა, რომ თვითონაც გატაცებულია თამაშებით, თუმცა, იცის, სულიერებაზე მათი უარყოფითი გავლენა. „მოზარდი იმდენად ეჩვევა მკვლელობის ინსცენირებას, რომ უკვე არაფრად მიიჩნევს მას. ყველაფერი ძალზე მარტივად ეჩვენება, და შესაძლოა, იგივე ქმედება რეალურ ცხოვრებაშიც ადვილად შესასრულებელი ეგონოს. ვირტუალურ სამყაროში არ ჩანს, მკვლელობის შედეგები — ის ფიზიკური ტანჯვა, რასაც დაჭრილი ადამიანი განიცდის, დედის სასოწარკვეთა, სხვა ახლობელთა მწუხარება, თუნდაც, მკვლელის განცდები. მეტწილად ხომ დამნაშავეს სინანული ეუფლება, ჩადენილის გამო. შემდეგ სასამართლო პროცესები და ა.შ. როცა ყოველივე ამას წარმოიდგენ, ცოტათი მაინც უნდა დამუხრუჭდე. ასეთი რამ კი, თითქმის არ ხდება. თამაშები იმდენად აზარტულია, ყველაფერს გავიწყებს“ — ერთგვარი ტკივილით გვითხრა ილიამ.

რა შედეგები შეიძლება მოყვეს კომპიუტერთან გადაჭარბებული დოზით თამაშს, ამაზე ფსიქოლოგი ნინო ბოლქვაძე საუბრობს: „კომპიუტერის მეშვეობით ზედმეტმა გართობამ შეიძლება უკუშედეგი იქონიოს, როგორც ფიზიკურ, ასევე ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე. შეიძლება გამოიწვიოს მხედველობის დარღვევა, იმუნიტეტის დაქვეითება, უძილობა, თავის ტკივილები და ა.შ. კომპიუტერის, კერძოდ, ქსელური თამაშების მომხმარებელი, რეალურ სამყაროს ისე ეთიშება, რომ თავად ამას ვერ აკონტროლებს. ფსიქოლოგების აზრით, როგორც წესი, კომპიუტერული თამაშებით ავადდებიან ისეთი ადამიანები, ვინც ვერ ეწყობა რეალურ ცხოვრებას. კომპიუტერი კი მათ საშუალებას აძლევს მოახდინონ საკუთარი სურვილების რეალიზაცია, იგრძნონ თავი ძლიერად, განიცადონ ახალი ემოციები“.

ქალბატონი ნინო ამბობს, რომ განსაკუთრებით, მოზარდები ექვემდებარებიან ფსიქოლოგიურ დამოკიდებულებას, ადვილად ეჩვევიან კომპიუტერულ სამყაროს, მშობლები კი, ხშირ შემთხვევაში, მომხდარს ეგუებიან. ჩემი რჩევაა, რომ იმ მშობლებს, რომელთა შვილებიც 2 საათზე მეტს თამაშობენ, ისინი სხვა საშუალებებით დატვირთონ. ენერგიის დასახარჯად და ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად კი საუკეთესო გამოსავალია სპორტი.

ფსიქოლოგის თქმით, გამოყოფილია კომპიუტერისადმი დამოკიდებულების შემდეგი სიმპტომები:

1) კარგი განწყობა ან ეიფორია კომპიუტერთან ჯდომის დროს;

2) გაღიზიანება — კომპიუტერისგან აუცილებელი მოწყვეტის დროს;

3) დროის აღქმის დაკარგვა;

4) ფინანსების უაზრო გაფლანგვა ყოველთვიურად კომპიუტერული ნაწილების განახლებაზე;

5) საოჯახო საქმეების, სამსახურეობრივი დავალებების, სწავლის, შეხვედრების და შეპირებების დავიწყება კომპიუტერთან თამაშის დროს;

6) ჯანმრთელობის, ჰიგიენისა და ძილის ხელყოფა, კომპიუტერთან ჯდომის გახანგრძლივების სასარგებლოდ.

7) ადამიანს ურჩევნია ჭამოს მონიტორთან;

8) საზოგადოებაში სასაუბრო თემების ნაკლებობა.

ჩამონათვალი საკმაოდ დამაფიქრებელია!

რას მოგვიტანს ეს ვითარება თითოეულ ჩვენგანს, ცალკეულ ოჯახებს, საზოგადოებას და მთლიანად ქვეყანას?

მოგვწერეთ, ერთად ვიფიქროთ, ერთად ვეძებოთ გამოსავალი.

ლაშა კიკვილაშვილი

ალპინისტებს — ექსტრემალებსაც უწოდებენ, ისინი საკუთარ სიცოცხლეს, ყოველ წამს, სასწორზე დებენ. მათთვის ეს ჩვეული ამბავია.

გიორგი ჩაჩუა 9 წელია მთაში დადის. პირველი წასვლის შემდეგ, გადაწყვიტა, იქ აღარ წასულიყო. თუმცა, მთაში მაინც დაბრუნდა. თანაც, ჩამოსვლიდან რამდენიმე დღეში. „პირველი ასვლა ძალიან გამიჭირდა. ვიფიქრე, მთაში მეორეჯერ არ წავიდოდი, მაგრამ დამირეკა ჩემმა მეგობარმა და ხდის ხეობაში წასვლა შემომთავაზა. არც დავფიქრებულვარ, სად და როდის მოვიდე-მეთქი“.

იგი 25 წლისაა. მისი ცხოვრება, ამჟამად, მთასთან მჭიდროდაა დაკავშირებული. თავად ფიქრობს, რომ წინააღმდეგობების გადალახვა ყველაზე დიდი შეგრძნებაა. არ იცის, როგორ ბედავს რისკზე წასვლას. ამაზე არ ფიქრობს, უბრალოდ, მიდის. „ხშირად მეკითხებიან — რა გინდა, რომ დადიხარ, რატომ იკლავ თავს, რატომ იყინები. მით უმეტეს, ხშირად, ტრავმებით ჩამოვსულვარ და ზოგიერთიც დაღუპულა. წინააღმდეგობის გადალახვა, დიდი დაბრკოლების შემდეგ მწვერვალზე ასვლა, რაღაც სხვანაირი გრძნობაა“.

ფიქრობს, რომ მთაში პირველი დამაბრკოლებელი ნერვებია. ნერვიულობამ, შეიძლება, სავალალო შედეგიც გამოიღოს. სანამ ალპინისტობას დაიწყებდა, როგორც თავად ამბობს, მსოფლიოში ყველაზე ზარმაცი და მცივანა ადამიანი იყო. მაგრამ, მთაში ხომ საკუთარ „მინუსებს“ ებრძვი და ეს მანკიერებებიც დაძლია.

სიკვდილის ზღვარზე ბევრჯერ ყოფილა. ერთხელ, როდესაც 4500 მეტრზე კარავში 5 მეგობართან ერთად იწვა, ეგონა, იქ დარჩებოდა. ასვლა ჰქონდათ ზამთარში, მყინვარწვერზე. ღამე პლატოზე უნდა გაეთენებინათ. კარავში ერთადერთი იყო, ვინც სიგარეტს ეწეოდა. „ერთი ღერის მოწევის უფლება მომცეს, მაგრამ სანთებელა აღარ ინთებოდა და არც სიგარეტი იწვოდა. მივხ-

ვდით, რომ ჟანგბადი არ იყო... ყველას ეძინა, უჰაერობამ გათიშა... კარავი გავჭერით, რადგან მთლიანად დაფარულები ვიყავით თოვლში. ქარბუქი ისეთი ძალით ურტყამდა, ხუთკაციანს ჯგუფს აქეთ-იქით ფოთოლივით გვაფრიალებდა. მეტეომდე ძლივს ჩამოვედით, ფაქტობრივად შიშვლები“.

ასეთ სირთულეთა გადალახვის შემდეგ, ქალაქის ყოფითი პრობლემები აღარ აშინებს. მისი საყვარელი მთა — უშბაა. „უშბაზე რამდენჯერმე ვცადე ასვლა, მაგრამ უშედეგოდ. ბევრ სირთულეს წავაწყდით, ხალხიც დაიღუპა. არ მიმიშვა მთამ. უშბასთან ჩემი პირადი ანგარიშები მაქვს.“

21 წლის ფოტოგრაფის, დათო ჩიტაიას საყვარელი მთა თეთნულდია. მოსწონს მისი სახელწოდება და მწვერვალის ფორმა. მთაში სამი წლის წინ წავიდა. როგორც თავად ამბობს, თავ-ბედი იწყევლა. ინტერესი გადაცემა „ირაომ“ გაუღვივა. მთაში დაბრუნების სურვილს ვერ ხსნის, მიაჩნია, რომ ინსტინქტია. „როგორც უძღები შვილი უბრუნდება მამას, ისე ვუბრუნდებით ყოველი ჩვენგანი მთას. როგორც ჩვენს საწყისს“.

მთამ აპოვნინა ისეთი ადამიანები, რომლებსაც თბილისში ძნელად იპოვიდა. მათთან განსხვავებული მეგობრობა აკავშირებს. „ასეა, შენს წინ მიმავალ ადამიანს თუ არ ენდობი, მის დაკიდებულ თოკზე ვერ დაეკიდები, სიცოცხლეს ვერ ანდობ...“ — ამბობს დათო.

მაინც, რატომ მიისწრაფის მთისკენ? „საკუთარ თავთან უფრო გულახდილი ხარ. ქალაქიდან რომ გადიხარ, ქალაქის ხმაურსა და სიბინძურეს სცილდები. მეგობრებთან ერთად ხარ და იცი, ერთმანეთის იმედის გარეშე, არაფერი გამოვა. მთაში მოსიარულე ადამიანები თავიანთი ცხოვრების წესითა და აზროვნებით განხვავებულები არიან, მათთან ურთიერთობა ღირს“.

მთამსვლელები დანანებით საუბრობენ მათზე, ვინც მთაში არასდროს ყოფილა. „ახალგაზრდები უნდა გავიდნენ ქალაქიდან და ნახონ, როგორია საქართველო. როცა მწვერვალზე ადიხარ, თითქოს მთას კი არა, საკუთარ თავს მოუგე, შენს თავს აჯობე.“ — ამბობს გიორგი ჩაჩუა.

მაკა ჩინჩალაძე

ფოტო — კოტე გუჯაბიძის

თანამედროვე საზოგადოება მრავალი პრობლემის წინაშე დგას. ახალგაზრდების უმთავრესი პრობლემის გასარკვევად, ჩვენმა სარედაქციო ჯგუფმა 100 ახალგაზრდა გამოკითხა. მათმა უმრავლესობამ უმთავრეს საკითხად ნარკომანია დაასახელა.

საქართველო იმ ქვეყნების რიცხვს განეკუთვნება, სადაც ისტორიულად არასოდეს წარმოებდა ნარკოტიკულ მცენარეთა კულტივირება და რეალიზაცია. ჩვენთან პირველად 70-იან წლებში გამოჩნდა ოპიუმი და მორფინი. 90-იან წლებში კი ჰეროინი და სხვა საშუალებები.

საზოგადოება ხშირად ნაკლებად არის ინფორმირებული, თუ რა სავალალო შედეგები მოჰყვება ნარკოტიკის აქტიურ (თუნდაც პასიურ) მოხმარებას. ჩვენი თაობის ახალგაზრდები, ხშირად, ამ მავნე, მომაკვდინებელი სენით, თვითდამკვიდრებას ცდილობენ.

შემაშფოთებელია სტატისტიკა: ოფიციალური მონაცემებით საქართველოში 17

ათასზე მეტი ნარკოტიკული ნივთიერების მომხმარებელია აღრიცხული. ქართველი და უცხოელი ექსპერტების გათვლით მათი რიცხვი 106-120 ათასს აღწევს. სხვადასხვა შეფასებით კი საქართველოში 200-350 ათასამდე ნარკომანია.

სწორედ, ამ შემაძრწუნებელ სენზე მინდა გავამახვილო საზოგადოების ყურადღება.

ნარკოტიკის ძილისმომგვრელი, ტკივილგამაყუჩებელი და ზოგიერთი სხვა სამკურნალო თვისება უძველესი დროიდან არის ცნობილი. ძველ საბერძნეთსა და რომში მას სწორედ სამედიცინო მიზნით იყენებდნენ; მაგრამ მუსულმანურ ქვეყნებში, სადაც რელიგია ალკოჰოლს კრძალავს, ნარკოტიკს მიმართავდნენ, როგორც თრობის მომგვრელს. მაჰმადიანობის ექსპანსიასთან ერთად, იგი ფართოდ გავრცელდა ევროპასა და აზიაში. მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, ნარკომანიამ მაინც საკმაოდ მყარად მოიკიდა ფეხი.

ნარკოტიკების ეფექტი ძირითადად ერთნაირია: ყველა მათგანი იწვევს ანალგეზიას (ტკივილის გაყუჩებას), ძილიანობას, გუნებაგანწყობილების ცვლილებას, მაღალი დოზით კი ფსიქიკური ფუნქციების მოშლასა და გულ-სისხლძარღვთა სისტემის დარღვევას.

გარეგნულად ეს ეფექტები ვლინდება თვალის გუგების შევიწროვებით, პირის სიმშრალით, ქავილით — სახის, მკერდისა და ზურგის არეში, რაც 1-2 საათს გრძელდება.

ნარკოტიკის მიღებისას ადამიანი ფსიქიურად აღიგზნება, ამ დროს იგი გამოცოცხლებულია, იცინის, ხელებს იქნევს, ადგილზე ვერ ჩერდება, ლაპარაკობს ხმამაღლა, სწრაფად და არათანმიმდევრულად. ასეთი მდგომარეობა 3-4 საათს გრძელდება. შემდეგ ცნობიერება თანდათანობით იბინდება და 2-3 საათის ფხიზელ ძილს უსიამოვნო შეგრძნება, თავის ტკივილი, უმიზეზო ფორიაქი, შფოთიანობა, სევდა მოჰყვება; ზოგჯერ ადამიანს აქვს თავბრუსხვევა, ღებინება, უცახცახებს ხელები, ენა, ქუთუთოები, ოდნავი გაციებისას, ძლიერი ხველა ეწყება. მიჩვევის პირველ სტადიაში ან ცოტა სძინავს, ან — სულ არ სძინავს.



მომხმარებელში სწრაფად ვითარდება წამალზე დამოკიდებულება. ხშირად რამდენიმე ინექციაც კი საკმარისია, რომ მის მიმართ ლტოლვა ჩამოყალიბდეს. ადამიანი ასევე სწრაფად, 1-2 თვეში ეგუება მიღებული წამლის რაოდენობას და სიამოვნების მისაღებად იგი აღარ ჰყოფნის, იძულებულია, თანდათან (3-5 კვირა) გაზარდოს დოზა, ეს კი, ხშირ შემთხვევაში, მოწამვლის რისკთან არის დაკავშირებული. ამ დროს, შესაძლოა, ადამიანმა იმდენი ნარკოტიკი მიიღოს, რომ კომაში ჩავარდეს.

საგულისხმოა, რომ ჯანმრთელობის ნებაყოფლობით ნგრევასთან ერთად, წამალთდამოკიდებულებს ენგრევათ პირადი ურთიერთობები, დამახინჯებულია მათი პიროვნული მე.

წამალთდამოკიდებული ადამიანი — ნარკოტიკის ტყვეა; იგი არც ცოცხლებში წერია, არც მკვდრებში და ფაქტობრივად მოსიარულე ცხედარია. პრობლემებში კისრამდე ჩაფლული - არავის არად არგია, ანუ სოციალურადაც მკვდარია. სრულფასოვანი აღარც ბიოლოგიურადაა.

საშინელებაა, როცა ნარკომანია მასობრივად ითრევს ახალგაზრდებს და მათ წამალზე დამოკიდებულ, არასრულფასოვან ადამიანებად აქცევს. ახალგაზრდობა ხომ ქვეყნის მომავალია, ახალი ძალაა, ახალი იდეები, აზრები და ახალი ფეთქვაა. ვერაფრით გამიგია, თუ რატომ უნდა იყოს მავანთათვის ნარკომანობა მისაბაძი და არა სამარცხვინო ჩვევა?!

ნუთუ არ შეგვიძლია ნარკოტიკის გარეშე დავიმკვიდროთ ადგილი საზოგადოებაში?! ნუთუ ღირს ხანმოკლე სიამოვნების მიღების სანაცვლოდ, მთელი ცხოვრება იწვალოს ადამიანმა?! სიცოცხლე ხომ მართლაც, მშვენიერია და არ შეიძლება თუნდაც ერთი წამი ფუჭად დავკარგოთ. უნდა ვეცადოთ გავარკვიოთ ვინა ვართ და საით მივდივართ, რა არის ადამიანის დანიშნულება და



მისი ამქვეყნად ყოფნის არსი. სწორედ ასეთებად უნდა ჩამოვყალიბდეთ ახალგაზრდები და ნარკოტიკით კი არა — სპორტით, მუსიკით, ლიტერატურით დავკავდეთ. არც ისეთი მძიმეა ცხოვრება, როგორიც ზოგჯერ გვეჩვენება, რადგან, ხშირად, სწორედ ჩვენზეა დამოკიდებული, თუ როგორ გავილამაზებთ მას...

თამარ არზიანი

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის ახალგაზრდული მოძრაობა „დავითიანნის“ ეგიდით რამდენიმე სკოლაში ჩატარდა ლიტერატურული კონკურსი — „რწმენა და ახალგაზრდობა“. გთავაზობთ ერთ-ერთი მონაწილის ნამუშევარს (მცირეოდენი შესწორებებით).

ფერიცცვლება

I თავი

თბილისის ერთ-ერთ გარეუბანში, ცხოვრობდა ორი უახლოესი ნათესავი: ნიკო, რომალსაც უბანში „მკვლელას“ მეტსახელით იცნობდნენ და ზაზა. ისინი ბიძაშვილები იყვნენ, მაგრამ, მიუხედავად მათი ნათესაობისა, სრულიად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. ნიკო სულ უბანში ტრიალებდა, საქმეებს არჩევდა. მას ხშირად ნახავდით ტოტალიზატორებში, ინტერნეტ-კაფეებში, სლოტ-კლუბებშიც, ან რომელიმე მოფარებულ ადგილას, პირში სიგარეტ გარჭობილს. ერთი სიტყვით, ცუდი ცხოვრებით ცხოვრობდა და დილიდან ღამის ორ-სამ საათამდე გარეთ იყო. ზაზა კი სულ სხვანაირი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა: კეთილი, ჭკვიანი და ღვთისმოშიში ბიჭი იყო. ყოველ კვირას ეკლესიაში დადიოდა, აღსარებას ამბობდა, ეზიარებოდა და ლოცულობდა ხოლმე. ორივე ბიძაშვილი ერთმანეთის გვერდიგვერდ ცხოვრობდა და 16 წლისანი იყვნენ. ნიკო ხშირად ეუბნებოდა ზაზას, რომ წესიერად ეცხოვრა. (ამ წესიერებაში იგი საკუთარი ცხოვრების წესს გულისხმობდა) „თავი დაანებე მაგ ეკლესიას და შეეშვი ერთხელ და სამუდამოდ, მოდი ქუჩა გიცდისო“. ზაზა კი უპასუხებდა, რომ იგი უკვე წესიერად ცხოვრობდა და ქუჩაში არაფერი ესაქმებოდა, ეკლესიაზე კი ნიკოს ასე არ უნდა ელაპარაკა.

— არა, რა, ძმაო, მიჭირს დაჯერება, შენ ჩემი ბიძაშვილი როგორ ხარ? — ჰკითხა ერთ დღეს ნიკომ ზაზას.

— კარგი რა, რატომ არ გინდა ერთხელ მაინც წამომყვე ეკლესიაში? — უთხრა ზაზამ ნიკოს.

— ეკლესია არა ტოროლა! მე იქ წამომსვლელი არ ვარ, ხუთი წლის მერე იქ არ ვყოფილვარ.

— იქნება ხვალ წამოხვიდე, ა? სკოლის შემდეგ...

— ისე, არც სკოლაში ვარ წამომსვლელი, ახლა კი საქმე მაქ, ფუუუ, ამის... წამოიძახა ნიკომ, ისევ „გავასხი“ რა, სულ ვაგებ ამ ბოლო დროს, ეს რა ხდება.

ახლა ნიკო ინტერნეტ-კაფეში იყო და „მაზიანზე“ თამაშობდა და ზაზამაც გაკვეთილების შემდეგ მიაკითხა, იცოდა, რომ იქ იქნებოდა.

— აი, ხომ ხედავ, არ გიმართლებს, წამოდი ეკლესიაში და მამაოს დაელაპარაკე,

მოუყევი შენი ცხოვრების შესახებ და ნახავ, როგორ შეიცვლება შენი მომავალი. — უთხრა ზაზამ.

— წადი რა! რა გამიკეთა ერთი შენმა მამაომ და შენმა ღმერთმა? ისევ წავაგე.

— ეჰ, შენ ხო ვერაფერს გთხოვს კაცი.

ერთ დილას ნიკოს ძმაკაცებმა დაურეკეს და ეზოში ჩასვლა სთხოვეს. მორიგი ჩხუბი იყო.

— ჰა, აბა რა ხდება, ა? — იკითხა ნიკომ, როცა ქვემოთ ჩავიდა.

— რა და იმან დარეკა! — უპასუხა ჯაბამ, ნიკოს ძმაკაცმა.

— ვინ იმან?

— ვინ და აი, მაშინ მაზიანი რომ წაგო და დღეს დარეკა ჩამოდით და გავარკვიოთ, რა თავანიაო?

— მერე?

— რა მერე, ტო? უნდა გადავჭრათ ეგ ახვრები, არა?

— კაი, წავიდეთ.

ზაზას სკოლა ზუსტად იქვე მდებარეობდა, სადაც ეს გარჩევა უნდა შემდგარიყო. გარჩევას ჩხუბი მოჰყვა და ზაზაც შემთხვევით აღმოჩნდა იქვე. მან უცებ იყვირა: „ნიკოოო!“ და ჩხუბის ადგილისკენ გაიქცა. სწორედ ამ დროს მას მანქანამ დაარტყა, ზაზას ფეხები მოეკვეთა, დარტყმის სიმძლავრე იმდენად დიდი იყო, რომ ზაზა მანქანის კაპოტზე ავარდა, შემდეგ სახურავზე, საბარგულზე და ბოლოს მიწაზე დაეცა. გონება დაკარგული ჰქონდა და თავიდან ბოლომდე სისხლში ცურავდა.

II თავი

ყველა საავადმყოფოში იყო: სკოლელებიც კლასელებიც, ნათესავებიცა და მშობლებიც, ყველა ერთის გარდა.

ნიკო საავადმყოფოში მოსვლას ვერ ბედავდა, ეგონა, რომ ზაზას უბედური შემთხვევა თავისი ბრალი იყო. ექიმმა ყველას გააცნო ვითარება: „მარჯვენა ფეხის ძვალი სამ ადგილასაა გადატეხილი, მარცხენასი ორ ადგილას. ხელები საერთოდ დამტვრეულია. არა მგონია, ოდესმე ფეხების ამოძრავება შეძლოს, თავის ქალაც გატეხილია. მძიმე ვითარებაა“. ამის შემდეგ ექიმი გავიდა პალატიდან, ზაზა კომადან ვერ გამოდიოდა, მისი დედ-მამა კი ისე ტიროდა, მთელი საავადმყოფო მათ ამშვიდებდა.

როგორც იქნა ნიკო მოვიდა. მოვიდა მაშინ, როცა ძალიან ცოტა ხალხი იყო და ზაზას საწოლთან შედგა, ამ დროს ზაზამ თვალები გაახილა და ძლივს ამოილუღლუღა: სად ვარ?

ნიკოს ძალიან გაუხარდა, რომ ზაზა კომადან გამოვიდა, ყველაფერი აუხსნა და ისიც უთხრა, რომ ყველაფერში დამნაშავე თვითონ იყო.

— შენ არაფერ შუაში ხარ, რახან ღმერთს ასე სურდა, ასეც მოხდა, თავს ნუ იდანაშაულებ.

ნიკო ყოველდღე აკითხავდა ზაზას და მასთან დიდ დროს ატარებდა, რითაც ცოტათი ჩამოშორდა ქუჩას. ცდილობდა მის გამხიარულებას, მაგრამ ზაზას მდგომარეობა უარესობისაკენ მიდიოდა.

ერთ დღეს ზაზამ ნიკოს სთხოვა, რომ წაეყვანა ცოტა შორს და ძნელად მისასვლელ ადგილას, სადაც წმინდა მამები ლოცვით არჩენდნენ ავადმყოფებს. ნიკოს გაუკვირდა, — ახლა შენ ვერსად შეძლებ წასვლასო. მაგრამ, ზაზას დაჟინებული თხოვნის შემდეგ, უარი ვერ უთხრა და წაიყვანა. დიდი მანქანით მიიყვანა ეკლესიაში და ბერებს ჩააბარა. ნიკოს უჭირდა ორი კვირით ბიძაშვილის დატოვება, მაგრამ სხვანაირად არ შეიძლებოდა.

III თავი

გავიდა ორი კვირა, ნიკო მივიდა ეკლესიაში, სადაც ზაზა იყო და მისი ძებნა დაიწყო. როცა მღვდელმა მას უთხრა, რომ აქ ზაზა არავინ იცოდა, ნიკოს ყველა იმედი გადაეწურა და წყაროს წინ ტირილი მორთო. ამ დროს მღვდელმა ჩამოიარა და ყველაფერი გამოკითხა. ნიკომაც უამბო.

— რა გვარია შენი ბიძაშვილი ჩემო ნიკო?

— გელოვანი.

— უი, მაგას ვიცნობ. ეგ ის არაა, მანქანა რომ დაეჯახა?

— დიახ, წამოხტა სიხარულით ნიკო, სადაა?

— სად და ახალი ეკლესიის მშენებლობაში მონაწილეობს, ლოცვებმა ის მთლიანად განკურნა.

ამის გამგონე ნიკომ სიხარულით იყვირა. სწრაფად მონახა ზაზა და გადაეხვია.

ამ სასწაულის შემდეგ ნიკომ ეკლესიური ცხოვრება დაიწყო და სრულიად გამოიცვალა. ღმერთი ირწმუნა.

ყოველ კვირა დილით ამაყად მიაბიჯებდა ეკლესიისაკენ.

გიორგი საბაძე
მეცხრე კლასი

ერთი დღე მონასტერში

ᲒᲗᲘᲫᲕᲐᲛᲘᲐ — ერთი დღეც რომ გაატარო მონასტერში, შენში რაღაც სასიკეთოდ შეიცვლებაო. ამას იქ მიღებული მადლი აკეთებს და ჩვენზეა დამოკიდებული, დიდხანს გაგვყვება თუ არა იგი.

ბევრმა საერთოდ არაფერი იცის მონასტრული ყოფის შესახებ და მასზე უხეირო ფილმებსა და სერიალებში გაკვრით ნაჩვენები ეპიზოდების მიხედვით ექმნება წარმოდგენა. ასეთი ინფორმაციის მქონეს ეცოდება, ან უიღბლო ადამიანებად მიაჩნია მონასტერში წასულნი. ის კი არ იცის, რომ ბევრმა მათგანმა კარგი ცხოვრებაც ნახა და წარმატებებსაც მიაღწია, მაგრამ ბედნიერების ძიებამ, ბოლოს, მაინც, ღმერთამდე მიიყვანა. თითოეულ მათგანს ერთი საერთო აქვს — ღვთის სიყვარული, რომელმაც მათ ცხოვრებაში ყველა საზრუნავი დაჩრდილა და, ღვთისაგან დადგენილ დღეს, შავი კაბითა და მონაზვნური აღთქმით შემოსა.

ერში მცხოვრები მორწმუნენი ხშირად სტუმრობენ მონასტერს და ეს, ძირითადად, მარხვის პერიოდში ხდება. მიზეზი სხვადასხვაა: — ზოგს მადლის მიღება სურს, ზოგს ამა სოფლისგან დროებით განშორება, ახალგაზრდები კი, ძირითადად, ინტერესის გამო მიდიან. ამ წერილის ავტორი იმათ რიცხვს ეკუთვნის, რომელთაც მარხვის კეთილად გატარება და მადლის მიღება სურთ.

ცაგერისკენ გზას საღამოს შევუდექით, თვალი წუთით არ მოგვიხუჭავს. რაც უფრო ვუახლოვდებოდით დანიშნულების ადგილს, მით უფრო მრავლდებოდა მთებსა და მოედნებზე აღმართული მანათობელი ჯვრები, რომელნიც თითქოს იმის მანიშნებელი იყო, რომ უფალი გვიფარავდა და გზას გვინათებდა მონასტრისაკენ. ეს სულიერად გვამხნევებდა და გულს უჩვეულო მოლოდინით გვივსებდა. ისეთი განცდა გვეუფლებოდა, თითქოს ჩვენს ცხოვრებაში ერთი, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი, ნაბიჯი გადავდგით. 5 საათი ვიმგზავრეთ და წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონასტერში დავბინავდით. სტუმრები თბილად მიგვიღეს და მოგვასვენეს. მონასტერს თავისი ტიპიკონი ჰქონდა:

06:30 ადგომა
07:00 ცისკრის ლოცვები
09:00-11:00 თავისუფალი დრო
11:00 ტრაპეზი
12:00-17:00 მორჩილება
17:00-18:00 კითხვის საათი
18:00 მწუხრის ლოცვები
18:30-19:00 კითხვის საათი
20:00 ტრაპეზი
21:00-23:00 თავისუფალი დრო
23:00 ძილი

ტიპიკონის მიხედვით, ყველას საქმე (მორჩილება) ჰქონდა განაწილებული, თუმცა, იქ მყოფთა რიცხობრივი სიმცირის გამო, ხშირად გვიანობამდე ვერ უხერხდებოდათ დაძინება. ჩვენი ჩასვლის შემდგომ კი (5 გოგონა სხვადასხვა დროს ჩავედით) მოვალეობები უკეთ განაწილდა. ერთი სახლს ალაგებდა, მეორე — ეზოს, მესამე — ჭურჭელს რეცხავდა. მე ტრაპეზარის თანაშემწე გახლდით, კერძების მომზადებაში „დავხელოვნდი“. „ტრაპეზარი სამგზის ცხონებულიაო“ — ხუმრობით გვითხრა კეთილმოწესემ.

ტიპიკონის ზემოთ გაკრული იყო სამი წესი:

1. არ განიკითხო.

2. რაჟამს მოყვასი ბრალს გდებდეს, თავს ნუ იმართლებ, შენდობა სთხოვე და განშორდი.

3. დაინახე ადამიანში მხოლოდ კარგი. თუ არ ძალგიძს, ნურაფერს ეტყვი.

აქედან გამომდინარე გასაგებია, რომ შეცდომებზე და ცუდად შესრულებულ მორჩილებაზე მიღებული საყვედურები ყველას უდრტვინველად უნდა აგვეტანა, რათა სულიერად გავზრდილიყავით და მოთმინების უნარი გამოგვემუშავებინა. ერთს კი მივხვდით: ის, რისი გაკეთებაც სახლში გვეზარებოდა, მონასტერში ისეთი ხალისით ვაკეთებდით, თავადაც გვიკვირდა. ტყუილად არაა ნათქვამი — უსაქმურობაა დასაბამი ყოველი ბოროტებისაო, ხოლო როცა საქმე გაქვს, მოწყენილობაც არ გეუფლება. ცალკეული მორჩილების გარდა, საერთო საქმეც გვქონდა. ტაძრისთვის სეფისკვერს ვაცხობდით, ეს ჩვენი საყვარელი საქმიანობა იყო და ზოგჯერ ღამის 1-2 საათამდე არ ვიძინებდით, რომ მცხობელს მივხმარებოდით. ის აბრტყელებდა ჩვენ კი კვერებს ვჭრიდით, პატარებს ღვთისმშობლის ან ჯვრის გამოსახულებით ვბეჭდავდით და დიდებს თავზე ვაწებებდით, ამ ყველაფერს თან ახლდა ჩვენი გალობა. დიდი სიხარულია — ეპისკოპოსსა და მღვდლებს ტრაპეზი მოუმზადო და სეფისკვერი გამოუცხო! — ეს არის წყალობა უფლისა, რომლისგან მოგვრილი ბედნიერებაც არასოდეს ავიწყდება. არც ის უძილო ღამეები ავიწყდება, როცა 2 საათზე დაწოლილები დილის 5-ის ნახევარზე ერთმანეთს დაფეთებულები ვაღვიძებდით, რომ ცისკრის ლოცვებზე არ დაგვეგვიანა. მონასტრის წინ მდებარე სასაფლაოზე იდგა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარი, სადაც წირვა-ლოცვაზე დავდიოდით. ტაძრამდე მიმავალს აუცილებლად ეს სასაფლაო უნდა გაევლო და ჩვენც ღამის 5 საათზე ნახევრად მძინარენი, იდუმალი შიშით, რკინის რიკულებს შორის მივიკვლევდით ტაძრამდე გზას.

დიდებული სანახავი იყო სიბნელეში შიგნიდან გაჩირაღდნებული ეკლესია. კანკელზე სამი მირონმდინარე ხატი იყო დაბრძანებული: მაცხოვრის, ღვთისმშობლისა და მაქსიმე აღმსარებლის. ჩვენი ერთ-ერთი დიდი სიხარული იყო ისიც, რომ წირვა-ლოცვაზე გალობის შესაძლებლობა მოგვეცა. ერთი სიტყვით, ყველა მხრიდან შევეცადეთ არა მარტო დაგვენახა ის საოცარი გარემო, რაც მონასტრულ ცხოვრებას ახლავს, არამედ გაგვეთავისებინა და შეგვეგრძნო კიდეც. 10 დღე ვცდილობდით, ნამდვილ მონაზვნებად ვქცეულიყავ-

ით, სამოსიდან დაწყებული, საქციელით დამთავრებული.

ერთხელ აივნიდან შევამჩნიეთ ჩვენი მონასტრის უკან აღმართულ მთაზე მდებარე ციხე და ჯვარი. ადგილობრივების თქმით, ეს იყო მურის ციხე, რომელსაც ლადო ასათიანმა ლექსი მიუძღვნა:

„მურის ძველ ხიდთან სადაც გორმახებს
თითქოს მდინარემ დანა დაუსვა
სამი ციხე დგას: ციხე „დაჰკარი“
ციხე „დაუხვდი“ და „არ გაუშვა“.

პოეტის სტრიქონებში ნაგულისხმევი ციხეები შიშიანობის პერიოდში მოსახლეობის თავშესაფარი იყო და მათი სახელწოდებებიც აქედან მოდის. მათ შორის ვიწრო გვირაბები ყოფილა გაყვანილი. მდინარის მეორე მხარეს აღმართულ გორაკზე ჯვარი დაუდგამთ ცაგერლებს, რომელიც ღამე ანათებს. გულმა ვერ მოითმინა მათი ახლოდან უნახაობა, მეუფეს კურთხევა გამოვთხოვეთ და სამმა გოგონამ მთას მივაშურეთ. გზად, ტყეში ორჯერ დავიკარგეთ, და ბოლოს, როცა ჯვარზე ავედით, ჩვენ თვალწინ არაჩვეულებრივი სანახაობა გადაიშალა. მთელი ცაგერი ხელისგულივით მოჩანდა. წმ. მაქსიმე აღმსარებლის მონასტერიც და ცაგერის „სიამაყე“ — მწვანე თეატრიც კარგად ჩანდა. ყველაფერი ფირზე აღვბეჭდეთ.

დრო ძალიან სწრაფად გარბოდა, სასაფლაოზე ჯდომას ისე შევეჩვიეთ, რომ სულ მისკენ ვისწრაფოდით. ნათქვამია, ადამიანი სიცოცხლეშივე უნდა ფიქრობდეს სიკვდილზე და არც სასაფლაოსი უნდა ეშინოდესო. ჰოდა, ამ სასაფლაოს შემყურე მეც დავფიქრდი, რომ ეს არ იყო მხოლოდ უსულო ძეგლების უზარმაზარი გროვა. აქ იყო სიცოცხლე, ოღონდ სხვაგვარი. საფლავებზე იასამნისფერი ყვავილები ხარობდა და აღდგომის წითელი კვერცხები იყო მიმობნეული. ყველა ადამიანი, ვისი სახელი და გვარიც წავიკითხე, ახლობლად მიმაჩნდა, რადგან ყოველდღე „ვნახულობდი“ მათ. აქ მუდამ ვიღაც იჯდა და საფლავს ალამაზებდა; სევდიანი განწყობილება სადღაც გამქრალიყო, ყველაფერი მზითა და ჩიტების ჭიკჭიკით იყო გაცოცხლებული და გამთბარი.

ბოლო დღეებში სვანეთიც ვნახეთ. მეუფემ წაგვიყვანა ლენტეხში. ამინდი აქ უფრო გამკაცრდა და მდინარეც მეტად ადიდებული ჩანდა. მწვანე მთებს შორის თოვლიანი მწვერვალიც გამოჩნდა. მეუფემ გვაჩვენა წმ. გიორგის მშენებარე დედათა მონასტერი და თავისი რეზიდენცია. აგრეთვე მაღალ მთაზე მდებარე პატარა ტაძარი, რომელზეც მამათა მონასტრის აშენებას გეგმავს. ათონის მსგავსად მასზე ასვლა ქალებს აკრძალული ექნებათ.

ლენტეხში მამა იოსებს ვესტუმრეთ. მისი შვილები მეუფე სტეფანეს კალთიდან არ ჩამოდიოდნენ. ოჯახში სასიამოვნო, მეგობრული ატმოსფერო და სიმშვიდე სუფევდა. ყველაზე მეტად ხატების კუთხემ გაგვაოცა, მათ უმრავლესობას მირონი სდიოდა. ვიტრაპეზეთ, ცაგერში დავბრუნდით და შემდეგ წმ. მაქსიმე აღმსარებლის მონასტერი მოვინახულეთ. ეს ერთ-ერთი უდიდესი წმიდანი საქართველოში აღესრულა და სწორედ ამ მონასტრის საკურთხეველშია დაკრძალული. ტაძარში ვიგალობეთ, ვილოცეთ და სიხარულით სავსენი წამოვედით იქიდან. მეორე დღეს კი მთელი ცაგერი ემზადებოდა აღდგომის ღამისთვის!

ღამისთევის წინ ჩვენც საგანგებოდ მოვემზადეთ, დღე კარგად გამოვიძინეთ, რომ მსახურებაზე ბოლომდე გვეფხიზლა. მოგვიანებით კი ისევ ნაცნობი სურათი დაიხატა: ღამე სასაფლაოზე და გაჩირაღდნებული ეკლესია; მღვდელთმთავრის სავარძელთან ხალიჩაზე პატარა ანგელოზივით ჩამომსხდარი ბავშვები, წითელი კვერცხებით ხელში და ორად გაყოფილი მრევლი ცალ მხარეს მამაკაცები, ცალ მხარეს ქალები. ნელ-ნელა თენდებოდა ლოცვაში, სარკმლებს შორის მოლურჯო-მოშაო ცის ნათელი მალე მზის პირველმა სხივმა შეცვალა. ქრისტე აღსდგა! ჭეშმარიტად აღსდგა!

P.S. მონასტერში სულ 10 დღე დავყავით, თუმცა დროის ეს მონაკვეთი იმდენად დატვირთული იყო სიახლეებითა და ემოციებით, რომ ერთ დღესავით გაირბინა.

მადლობა უფალს ამ დღეებისათვის!

ნინო ჭინჭარაული

წმიდა იოანე ოქროპირის სწავლება სიმდაბლისათვის

ნურავინ ტრაბახობს და მედიდურობს დიდებულთა შვილობისათვის, არამედ თითოეული ადამიანი უნდა ეცადოს უფრო მეტი პატივი და სახელი სათნოებებით მოიპოვოს. სათნოებების გამოც ნუ დაიქადებ, რათა ფარისევლის განსაცდელი არ შეგემთხვეს. რადგან ვისაც სურს თავისი სათნოებების გაზრდა და გამრავლება, ჩათვალოს ისინი არაფრად და მაშინ უფრო ამაღლდება. თქვას: არაფერი მაქვს მე კეთილი და მოიპოვებს სიკეთეს და სათნოებას, რადგან თუკი ცოდვილი ამხელს საკუთარ თავს, მთელი გულით აღიარებს, რომ ჭეშმარიტად მრავალი ცოდვის ჩამდენია, შეუვრდება უფალს ცრემლით და შენდობის თხოვნით, გამართლდება, როგორც მეზვერე და რამდენად უფრო მეტად გავმართლდებით თუკი მართლები ვიქნებით და ჩვენს თავებს ცოდვილებად მივიჩნევთ? თუკი ცოდვილებს სიმდაბლე გაამართლებს, დაფიქრდით, სიმდაბლე მართლებისა უფრო დიდს და საკვირველს არ იზამს.

ახლა კი მუშაკო სათნოებათაო, ეკრძალე შენს თავს, რათა არ შეგიჩნდეს ამპარტავნება და ავნო შენს შრომას, რათა ამაო არ გახდეს შენი მცდელობა და მრავალი ბრძოლისა და ჭირის შემდეგ წინააღმდგომებთან, ცარიელი არ დარჩე. ნუ მედიდურობ და ნურც ტრაბახობ. უფალმა შენზე უკეთესად იცის, რა გაგიკეთებია, თუკი ვინმეს თუნდაც დასალევ წყალს მისცემ მისი სახელით არც მაგას დაგივიწყებს, თუკი სულ მცირე კეთილი საქმეც კი გაგიკეთებია — ყველაფერს სახიერებით შეიწყნარებს.

ყველაფერი ახსოვს და ყველაფრისთვის სასყიდელს გიმზადებს. შენ კი რატომღა გახსოვს შენი კეთილი საქმეები? რატომ უყვები მათ სხვებს? ან შენს გულში რატომ ამაყობ? არ იცი, რომ თუკი შენს თავს შეიქებ ღმერთი აღარ შეგაქებს? მაგრამ თუ შენს თავს არაფრად ჩათვლი, მან გაქოს და გადიდოს შენ, რადგან არ სურს შენი სათნოებების დამცირება, არამედ უმეტესად ცდილობს, რათა სულ მცირე შრომისათვისაც კი გვირგვინოსანგყოს და ყოველთვის მიზეზებს ეძებს, რომ გიხსნას ჯოჯოხეთისგან და ცათა სასუფევლის მოქალაქე, მკვიდრი გაგხადოს. ამიტომაც, თუმცა მეათერთმეტის ჟამისა ხარ, სრულ სასყიდელს მოგცემს.

ნუ ვიამპარტავნებთ, არამედ უვარგისად მივიჩნიოთ თავები, რათა ვივარგოთ, მაგრამ თუკი ვარგისად ჩათვლი შენს თავს, გახდები უვარგისი. ამიტომაც გვმართებს დავიწყება ჩვენი კეთილი საქმეებისა, ხოლო თუკი ვინმე იკითხავს, როგორ შეიძლება

იმ კეთილი საქმეების დავიწყება, რომლებიც გაგიკეთებია? დაფიქრდეს, რას კითხულობ, ადამიანო?

ყოველდღე სცოდავ ღმერთის წინაშე სიზარმაცითა და განცხრომით და სხვა მრავალი ცოდვით და ეს ყველაფერი დაგივიწყებია და თუკი აღარც გახსოვს, რამდენჯერ შეგიცოდავს, სადაც რამე კეთილი გაგიკეთებია, ვერ დაივიწყებ? არამედ ჰქადაგებ და ყოველთვის თვალწინ გიდგას, ეს დიდი უგუნურებაა, რადგან კეთილი საქმეების დავიწყება მოუპარველი საუნჯეა. ძვირფასი სამკაული გარეთ რომ გამოვფინოთ, ადვილი მოსაპარია, ხოლო თუკი დავმალავთ უხილავ საუნჯეში, უსაფრთხოდ იქნება მპარავებისაგან. ასევეა კეთილ საქმეებზე: თუ მათ ხშირად ვახსენებთ და ვილაპარაკებთ, გავამწარებთ უფალს და აღვჭურავთ მტრებს ჩვენზე და კეთილ საქმეებს წინ დავუფენთ ჩვენგან მოსაპარავად, ხოლო თუკი არავის ვაჩვენებთ, უფლის გარდა, გვექნება საუკუნო საუნჯეში შენახული.

გაფრთხილდი ადამიანო, რათა იგივე არ დაგემართოს, რაც ფარისეველს შეემთხვა, რომელიც ბევრს ლაპარაკობდა თავის კეთილ საქმეებზე და ამის გამო ადვილად წარსტაცა იგი ეშმაკმა. ხშირად ახსენებდა თავის სათნოებებს სიხარულით, ეგონა მადლობას შესწირავდა, მაგრამ არ მოეწონა ეს უფალს, რადგან სხვების ყვედრება, ტრაბახი, ამპარტავნული სიქადული და მედიდურობა შეცოდებულებთან არ არის უფლის მადლობა. გინდა მადლობის სწავლა? ისმინე სამთა მათ ყრმათა: „შეგცოდეთ ჩვენ, ყოველთავე ურჯულო ვიქმნენით და განგიდეგით ჩუენ შენგან. ვცოდეთ ყოვლითურთ, მცნებათა შენთაი არა ვისმინეთ, არცა ვიმარხეთ, არცა ვყავთ, ვითარ იგი შენ მამცენ ჩუენ, რაითამცა კეთილი მეყო ჩუენ შენგან. აწ ყოველი, რავდენი მოავლინე ჩუენ ზედა და ყოველი, რავდენი მიყავ ჩუენ, სამართლისა სასჯელისა ჰყავ“ (დან. 3,29-31). ეს არის ჭეშმარიტი მადლობა უფლისადმი, რათა ადამიანი აღიარებდეს ცოდვებს და ყველაფრისთვის მადლობდეს ღმერთს. ასე ისწავლე ძმაო, მადლობა უფლისა და როცა გენდომება უფლისათვის მადლობის შეწირვა, შეუვრდი მას შემუსვრილი გულით და მდაბალი გონებით. რათა მოიპოვო ღმრთის წყალობა. ნუ ვითხოვთ სასყიდელს, რადგან არაფერი გვაქვს სასყიდლის ღირსი, უსასყიდლოდ ვითხოვდეთ წყალობას. თუ ასე მოვიქცევით მთელი გულით ჩვენი სათნოებებისათვის და სიმდაბლისათვის მოგვცემს მადლს, რადგან ყველა სათნოებაზე უმეტესია სასყიდელი სიმდაბლისათვის და თუკი ეს სათნოება არ გვექნება, სხვები რომც გვქონდეს, აზრი არა აქვს. ამიტომ თუ გვინდა ჩვენი სათნოებების ამაღლება და გაზრდა, მივიჩნიოთ ჩვენი თავები უღირსად და ღმერთი შეგვრაცხავს ღირსად. როგორც ასისთავი იტყოდა: „უფალო არა ღირს ვარ მე, რაითამცა სართულსა ჩემსა ქუეშე შემოხვედ“. ამიტომაც ღირსჰყო იგი უფალმა და მისი სარწმუნოება მოეწონა; და პავლეც იტყოდა: „არა ღირს ვარ წოდებად მოციქულად“. ამის გამო მთავარ მოციქულთა შორის შეირაცხა და მთელი მსოფლიოს მოძღვარი გახდა. აგრეთვე იოანე წინამორბედი იტყოდა: „არა ღირს ვარ განხსნად საბელსა ხამლთა მისთასა“. ამისთვის „სიძის მეგობარი“ ეწოდა და ხელი, რომელზეც თქვა, რომ არ არის ღირსი ხელს შეეხოს, თავზე დაიდო ქრისტემ. ასევე პეტრემ თქვა: „განვედ ჩემგან, რამეთუ კაცი ცოდვილი ვარ მე, უფალო“, ამისთვის ეკლესიის საფუძველი გახდა. რადგანაც ისეთი სათნო არაფერია უფლისათვის, როგორც მდაბალი კაცი, რომელსაც თავისი თავი ყველაზე ცოდვილად მიაჩნია და არის ყოველგვარი სიბრძნის საწყისი. ასეთი მდაბალი ადამიანი არასოდეს მედიდურობს, არ განრისხდება, არ აწუხებს მოყვასის შური, არც სხვა, დანარჩენი ვნებები ეუფლება მას. არამედ ყველაფერი ეს მისმა სიმდაბლემ და აქედან წამოსულმა გლოვამ გაწმინდა სულისაგან. რადგან თუკი ვინმე დაიწყებს გლოვას ხორციელი საქმეებისათვის, თავისიანის სიკვდილისათვის, მონაგების დაკარგვისათვის ან სხვა ამგვარი რამისათვის, ამ გლოვამ მიიზიდოს ყოველგვარი ვნებანი მის სულში. მაგრამ თუკი ვიგლოვებთ ჩვენი ცოდვებისათვის და გახდება ასეთი გლოვა მარადიული საწრთობი ჩვენს შორის, წავლენ ყოველგვარი ვნებანი ჩვენგან. ნახე დავითი, როცა მოიპოვა სიმდაბლე და იგლოვა საკუთარი ცოდვებისათვის, მისი

განსაცდელის ჟამს, როცა განდგომილი ზე სდევნიდა, წამოდგა ერთი ვინმე შეურაცხი და უნდო კაცი, მოურიდებლად აგინებდა და აყვედრებდა მას. ხოლო დავითი არ განრისხებულა, არც არაფერი უთხრა, რადგან სიმდაბლესა და გლოვას მოესპო მრისხანების სული მისგან. და კიდევ რაც საულთან იქნა ერთხელ და ორჯერ... დავითი თავისი სარწმუნეობითა და სიმდაბლით სახარების მცნებებს მიეახლა. არც შურდა, არც განრისხდებოდა, არამედ ყველაფერს მადლობით იღებდა უფლისაგან და ამიტომაც როდესაც აბესალომს ხედავდა ურჯულოს, თავის მამასთან მებრძოლს, ძმის მკვლელს, მაგინებელსა და ბილწს სამეუფო საყდარში მჯომარეს, არ დაბრკოლებულა, არც დრტვინვა დაუწყია, არამედ იტყოდა: „უკეთუ ესე სათნო არს ღმრთისა, რაითა იგი მეფობდეს და იშუებდეს და მე ვიდევნებოდე, მადლიერ ვარ და შემიწყნარებიეს“. იგი არ მოქცეულა ისე, როგორც მრავალი ჩვენგანი მოიქცეოდა: შეემთხვევათ თუ არა მცირედი ჭირი ან განსაცდელი, მაშინვე დრტვინვას იწყებენ და შურთ მათი, რომლებსაც შვებასა და კარგად ცხოვრებაში ხედავენ, დავითი კი ასე არ იყო, არ განრისხდებოდა, და არც იწვებოდა შურით, ამისთვის თქვა ღმერთმა: „ვპოე დავით, ძე იესესი, კაცი გულითადი ჩემი“ ასეთი სიმდაბლე და შემუსვრილება ჩვენც მოვიპოვოთ, ვიყოთ ყველაფერზე მადლის შემწირველნი ღმრთისა, გავხდეთ მშვიდები და მდაბლები, როგორც ამბობს უფალი: „ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშვიდ ვარ და მდაბალ გულითა და ჰპოოთ განსვენებაი სულთა თქუენთაი“. და რათა ამ სოფელში და იმ ქვეყნადაც ვიპოვოთ განსვენება, მოვიპოვოთ სიმდაბლე, ყველა სათნოების დედა, დავნერგოთ იგი ჩვენს სულებში, რათა ამ სოფლიური ზღვა დაუნთქმელად გადავლახოთ და ღირსები გავხდეთ მყუდრო ნავსაყუდელში შესვლისა მაღლითა და კაცთმოყვარეებითა უფლისა ჩვენისა იესუ ქრისთესითა, რომლისა არს დიდებაი და სიმტკიცე თანა მამით და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

როგორ აღნიშნავენ ქრისტეს შობას...

კვიპროსში

კვიპროსში ქრისტეს შობას ეგებებიან უზარმაზარ ფარებზე დამაგრებული ღვთისმშობლის ხატებითა და ქრისტეს შობის მილოცვებით. გზაჯვარედინებზე ამონტაჟებენ პლასტმასის კომპოზიციებს, რომლებიც გამოსახავენ ყრმა იესოს ბაგაში, მარიამს, ცხოველებსა და ვარსკვლავს.

კვიპროსელებიც მარხულობენ ქრისტეს შობის წინ. მათ სახლებში ხშირად ნახავთ ცოცხალ ნაძვის ხეებს. სატყეო მეურბეობის სამინისტრო სპეციალურად გააშენებს ხოლმე მათ და შემდეგ აქირავებს მოსახლეობაში. სადღესასწაულო დღეების დასრულების შემდეგ, მათ უკან აბრუნებენ და მეტყევეები გამოყოფილ ფართობებზე რგავენ.

საშობაო წირვა-ლოცვა 25 დეკემბერს დილაადრიან აღესრულება. ეკლესიაში ოჯახებით მიდიან, შემდეგ კი სადღესასწაულო სუფრა იშლება. სუფრის განუყოფელი ატრიბუტია ქათმის ბულიონი მასში გაზავებული თოხლო კვერცხით, და პურის ფქვილისგან დამზადებული სუპი იოგურტით — „ტრახონასი“. აქვეა ტრადიციული პური — „ცურეკი“, გრძელი, ბრტყელი, რულეტივით, შიგ დევს მოხარშული კვერცხი.

25-26 დეკემბერს, ძირითადად სოფლებში, ეკლესიებთან ახალგაზრდობა იკრიბება და ეჯიბრება ერთმანეთს ბაგირის გადაწევაში და სხვა ასპარეზობებში. დღესასწაული ახალ წლამდე გრძელდება. ახალ წლის ღამეს, შუაღამისას გამორთავენ შუქს, მთელი ოჯახი წრეში დგება, ხელიხელჩაკიდებული და საახალწლო სიმღერას „კალი ქრონია“ მღერის. შემდეგ გადაკოცნიან ერთმანეთს და ბედნიერ ახალ წელს უსურვებენ. შემდეგ შეექცევიან საახალწლო ნამცხვარს, რომელიც გემოთი კექსს წააგავს, ცომში დამატებული ფორთოხლის წვენით.

ᲝᲛᲘᲡ ᲔᲥᲝ

ᲮᲡᲜᲐ ᲦᲕᲗᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲘᲐ!

ღამის 1 საათი იქნებოდა, როდესაც ლოცვების კითხვა დავამთავრე. უფალს ახალგორში მშვიდობით ჩასვლა და უკან დაბრუნება შევთხოვე, რადგან გულის სიღრმეში პატარა შიშს მაინც დაესადგურებინა.

არადა თითქოს არ მეშინოდა... სწორედ ამ დროს ტელევიზორიდან ჩვენი პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ხმა შემომესმა: „ნუ გეშინიათ ღმერთი ჩვენთან არის“. სიხარულისაგან თვალზე ცრემლი მომადგა და გამხნევება-გაძლიერებისთვის უფალს მადლობა შევწირე.

ახალგორში ჩვენ ორნი — მე და ჩემი მეგობარი ნათია — მივდიოდით. მთელი ღამე არ გვეძინა, ერთმანეთს ვუკავშირდებოდით და ვანუგეშებდით.

გათენდა, შევხვდით, ძალიან მხიარულები ვიყავით, თითქოს და არაფერი ხდებოდა ისეთი.

როდესაც რუსების საგუშაგოს მივუახლოვდით, ჩვენში არა მხოლოდ შიშმა იმატა, რისხვაც გაძლიერდა, მაგრამ როდესაც ავტომატიანმა ჯარისკაცმა მიკროავტობუსის კარი გააღო, მაშინვე აზრი შემეცვალა. შევხედე, ის იყო უსუსური არსება ბოროტი ძალის ხელში. ეს ძალა მართავდა და მკვლელად აქცევდა მას. „ადამიანი მკვლელი არ იბადება, ის მკვლელი ხდება ნებით ან იძულებით“, ამ ჯარისკაცში სწორედ იძულება დავინახე. ძალიან სამწუხაროა, რომ ერთი სარწმუნოების ადამიანები ხოცავენ ერთმანეთს.

მიკროავტობუსი შეათვალიერეს და, ასე ვთქვათ, მარტივად გაგვატარეს. ახალგორში ჩასვლისთანავე ტაძარი მოვილოცეთ, იქვე მეუფე ისაიას რეზიდენციაც მოვინახულეთ. ქალაქში გამოვედით, ისევ ვმხიარულობდით, თუმცა ეს შიშის დასაფარი მხიარულობა უფრო იყო. კარგად ვხედავდით, რუსები და ოსები თვალს როგორ გვადევნებდნენ.

ქალაქში შიშის მომგვრელი სიწყნარე სუფევდა. მოსახლეობას ფარულად გავესაუბრეთ. ისინი იმდენად შეშინებულები იყვნენ, ცდილობდნენ „ზედმეტი“ არაფერი წამოსცდენოდათ. თუმცა, დამწუხრებული სახეები მაინც ჰქონდათ და ყველაფერზე მათი სახეები მეტყველებდა.

უკან გამომგზავრებისას რუსთა საგუშაგოზე კვლავ გააჩერეს ჩვენი მიკროავტობუსი, ამჟამად ხალხის ჩასვლა და რეგისტრაციის გავლა მოითხოვეს. ახლა კი ძალიან შემეშინდა, და მივხვდი, რისკი ყოველთვის გამართლებული არ არის. უფლის წყალობით მხოლოდ ვინაობა ჩაიწერეს და გამოგვიშვეს.

ძალიან დიდი ტკივილი დაგვრჩა გულში. მე ახლაც ვფიქრობ, რატომ უნდა იყოს ჩვენს ტერიტორიაზე უფროსი სხვა. სამწუხაროდ, დღემდე მე ამას პასუხს ვერ ვუძებნი. თუმცა ბევრი მოსაზრება არსებობს.

ისევ რწმენამ და ლოცვამ გადაგვარჩინა. ჩვენთვის, ორივე მხარესთვის მთავარია რწმენა და ის, რომ გავუყვეთ უფლის გზას. მუდამ უნდა გვახსოვდეს — უფალი მეფობს!!!

ᲡᲝᲤᲝ ᲭᲐᲕᲭᲐᲜᲘᲫᲔ

გვინდა მოგითხროთ ადამიანებზე, რომელთაც ოკუპირებულ ტერიტორიაზე ცხოვრება უწევთ. ისინი შეწუხებულნი არიან ოსებისა და რუსების თარეშით, მაგრამ მაინც არ ტოვებენ ახალგორს. მათთან საუბრისას, დავინახე, რომ ისინი უკან დახევას არ აპირებენ და ბოლომდე იბრძოლებენ სამშობლოსათვის. ამ ადამიანთა სახელებსა და გვარებს არ ვასახელებთ, მათივე უსაფრთხოების მიზნით.

პირველად აფხაზეთიდან დევნილს, ამჟამად ახალგორში მცხოვრებს გავესაუბრეთ.

ახალგორი — კიდევ ერთი ტკივილი

— როდის იგრძნო ახალგორის მოსახლეობამ საფრთხე?

— ჯერ კიდევ მაშინ, როცა ცხინვალთან სროლები დაიწყო, ახალგორიდან ბავშვები და ქალები გავიდნენ. იმ დროს აქ სიწყნარე იყო, თოფი არ გასროლილა. 8-9 სექტემბრიდან კი, როცა ომი ვითომ დამთავრდა, ჩვენი ტერიტორია რუსებმა და ოსებმა დაიკავეს. დღეს ისინი სოფელ ლამისყანამდე არიან განლაგებული. შემოყვანილია სამხედრო ტექნიკა.

— როგორ ექცევა რუსის ჯარი ადგილობრივებს?

— ქართველების მიმართ აგრესიულად არ არიან განწყობილი. ასეთი ათასში ერთი თუ გამოერევა. ჯერჯერობით არაფერს გვთხოვენ — არც საჭმელს და არც ჩასაცმელს. ახალგორში სიწყნარეა, მაგრამ სიმშვიდე არ ჰქვია იმას, როცა ყველაფერს სხვა აკონტროლებს.

— ოსებზე რას იტყვით?

— გუშინ, მაგალითად, ოსებმა ჩემგან ორმოცდაათ ლარად საქონელი იყიდეს. ვკითხე, რას ფიქრობდნენ დღევანდელ სიტუაციაზე. მიპასუხეს, რომ მათ ომი არ უნდათ ქართველებთან. ნეტავ ყველა ასე ფიქრობდეს. აფხაზეთი რომ დაეცა, მას შემდეგ ახალგორში ვცხოვრობ. თუმცა კვლავ საფრთხეა, რომ მეორედ გავხდე დევნილი.

— რამდენად საიმედო ძალად მიიჩნევთ უცხოელ დამკვირვებლებს?

— დამკვირვებლებს რუსები არ უშვებენ ახალგორში. ამით ისინი ხელშეკრულების პუნქტებს არღვევენ. ყველაზე უმჯობესი კი საკუთარი თავისა და ღვთის იმედით ყოფნაა.

— როდესაც ქვეყანა დამშვიდდება, რომელ კუთხეს აირჩევდით საცხოვრებლად?

— ისევ ჩემი აფხაზეთი მირჩევნია. სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარო — ხომ იცით. აქ რომ რუსებმა შემოსვლა დაიწყეს,

ჩემი შვილები თბილისში წავიდნენ. ვნატრობ იმ დღეს, როცა ყველანი ისევ ერთად ვიქნებით. მინდა, მომავალმა თაობამ მშვიდობიან ქვეყანაში იცხოვროს.

შემდეგი რესპონდენტი ახალგორის ძირძველი მცხოვრები, პროფესიით ისტორიკოსია.

— რაში ხედავთ გამოსავალს? როგორც ისტორიკოსს არ გესწავლებათ, ნებისმიერ ომს დასასრული აქვს.

—მე ვფიქრობ, ოსებმა და ქართველებმა საერთო ენა უნდა გამოვნახოთ, რადგან ჩვენ მაინც ერთად უნდა ვიცხოვროთ. საერთო ცხოვრების წესი თუ არა, თანაცხოვრება მაინც გვქონდეს. მშვიდობა არ ეთქმის იმას, როდესაც შენი ქვეყნის რომელიმე რეგიონი ვიღაცის ტანკების და „ბეტეერების“ როტაციის ადგილი ხდება. ეს არის ჩვენი ქვეყნის შიდა საქმეებში არასამართლებრივი ჩარევა.

— რას იტყვით რუსეთის დამოკიდებულებაზე მსოფლიოს სხვა სახელმწიფოებთან?

— სამარცხვინოა, როცა ქრისტიანული სახელმწიფო, ბარბაროსული მეთოდებით უპირისპირდება მეორე ქრისტიანულ ქვეყანას. რუსეთი არის მესამე ძალა, რომელიც ცუდად ერევა ქართულ—ოსურ ურთიერთობებში. მას თავისი სტრატეგიული მიზნები აქვს. ძველი დიდების დაბრუნება სურს. დღეს, სხვისი ტერიტორიების ხარჯზე, ეს გამორიცხულია. არ შეიძლება ძალის პოზიციიდან ელაპარაკო ყველას, მით უმეტეს — ევროპას.

— ხმა გავრცელდა, თითქოს ახალგორში რუსული მხარე ქართველებს ძალდატანებით იწვევს ჯარში?

— ეს ტყუილია. იმასაც ამბობენ, რომ ქართულ პასპორტებს რუსულით ცვლიდნენ, მაგრამ არც ეს შეესაბამება სინამდვილეს.

ასეთი პროცესები აქ ნამდვილად არ მიმდინარეობს, თორემ ამას ქართველი, ნამდვილად, ვერ მოითმენდა.

— რითი ირჩენთ თავს?

— აქ მოსახლეობის უმრავლესობა უმუშევარია. ძირითადად, თავისი მოყვანილი მოსავლით და საქონლის გაყიდვით ირჩენენ თავს. საკვები აქ ჩვეულებრივად იყიდება როგორც ადრე, მიუხედავად იმისა რომ ახალგორი ოკუპირებულია. ამ დაძაბულობის გამო, ბევრი სოფელი დაიცალა ხალხისგან. მაგალითად: კორინთა, იკოთი, ლარგვისი.

— რითი დაამშვიდებთ ახალგორის მოსახლეობას?

— ჩვენი ქვეყანა ღვთისმშობლის წილხვედრია, ამიტომ უფალი დაგვიფარავს. ჩვენ ყველაფერი გვაქვს წყალი, მზე და ნოყიერი მიწა. სწორედ ამიტომ გვყავს მუდამ მტრები. ძალიან დიდია ჩვენი პასუხისმგებლობა მომავალი თაობის წინაშე. ჩვენთვის საქართველოზე ძვირფასი არაფერია. საქართველოს და ქართულ სულს ვერავინ დაამარცხებს. ვერც ოსი და ვერც რუსი.

ესაუბრნენ
ᲜᲐᲗᲘᲐ ᲒᲝᲒᲣᲐᲫᲔ
ᲓᲐ ᲡᲝᲤᲝ ᲭᲐᲕᲭᲐᲜᲘᲫᲔ

მიტროპოლიტი ისაია:

როცა მძარცველები შემოვიდნენ, მე და მამა ანტონი ბალს ვაფარებდით თავს

— დამლოცეთ, მეუფეო. თუ შეიძლება, კიდევ ერთხელ გაიხსენეთ, როგორი ვითარება იყო ომის დროს თქვენს ეპარქიაში?

— ღმერთმა დაგლოცოთ და წყალობა არ მოგაკლოთ, ჩვენმა ეპარქიამ, მართლაც რომ, რთული დღეები გამოიარა. იყო სროლები, ცვიოდა ჭურვები. ზუსტად რომელი რიცხვი იყო არ მახსოვს, ქართული ჯარი დამარცხდა და ნიქოზიდან გავიდა. ორშაბათ დღეს, დილით ტაძარში მსახურების შემდეგ ჩვენთან მონასტრის ოთახში ვტრაპეზობდით. სწორედ მაშინ დაგვბომბეს. საშინელი განცდა იყო. მადლობა ღმერთს, რომ ყველანი ამ ოთახში ვიყავით, ღვთის მადლითა და წყალობით გადავრჩით.

— სამეუფეო შენობა ამ დროს დაზიანდა?

— სწორედ დაბომბვის შედეგად დაზიანდა სასახლე. მარტო მონასტრის ტერიტორიაზე ოცდათორმეტი ჭურვი ჩამოაგდეს. მართალია, შენობას მანამდეც ჰქონდა დაზიანებული ადგილები, მაგრამ მონასტერი უფრო დაზიანდა, როცა ეზოში მდგარ მანქანას ჩამოგდებული ჭურვებიდან ცეცხლი მოედო. მანქანიდან ცეცხლი მონასტრის საცხოვრებელზე გადავიდა, იქიდან

ოქტომბრის შუა რიცხვებში ნიქოზის ეპარქიაში ჩავედით, რომელიც აგვისტოში განვითარებულმა მოვლენებმა ყველაზე მეტად დააზარალა. ნიქოზში დაგვხვდა გადამწვარი და ნატყვიარევი სახლები, ომის შედეგად დაზარალებული ხალხი, რომელიც ახლად დაბრუნებოდა თავის სოფელს. შორიდან ვხედავდით მწვანეში ჩაფლულ ცხინვალს, მოჩანდა მაღალი შენობები. ვესაუბრეთ მეუფე ისაიას, რომელმაც მოგვითხრო, რა გადაიტანა ომის დროს ეპარქიამ და რა ხდება დღეს.

კი — მეხუთე საუკუნის სასახლეზე. რომელიც შარშან აღვადგინეთ. თუ კი რამე იყო ყველაფერი დაიწვა. ფაქტობრივად, თხუთმეტი წლის ნაშრომი ერთ დღეში განადგურდა.

დიდი განსაცდელის მიუხედავად, ადამიანს მაინც არ ტოვებს იუმორის გრძნობა. სანამ ომი დაიწყებოდა, უამრავი საფიქრალი და საზრუნავი გვქონდა, საიდან და როგორ დაგვწყო საქმე, რა გვეკეთებინა, ბევრს ვფიქრობდით. ამ დაბომბვის შედეგად ყველა საზრუნავი მოგვიხსნეს. იმ დღეებში მანქანისთვის ზეთი იყო გამოსაცვლელი. ეს მე უნდა გამეკეთებინა, ძალიან მეზარებოდა და უცებ ეს საზრუნავიც მომიხსნეს — ერთი მანქანაც დაიწვა და მეორეც. რა თქმა უნდა, ეს იუმორით, სინამდვილეში კი სხვა უამრავი პრობლემა გაგვიჩნდა.

— როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ მონასტრის წევრების მიმართ რუსებს?

— პირადად ჩვენ, რუსების მხრიდან, შევიწროება არ გვქონია. თავდაპირველად როცა დაგვბომბეს, მონასტრის წევრები გავუშვით ახალგორში, მაშინ იქ უფრო უსაფრთხო იყო. მე და მამა ანტონი უწმიდესის ლოცვაკურთხევით, ნიქოზში დავრჩით. ვუყურებდით როგორ იწვოდა ჩვენი მონასტერი, როგორ ჩაიშალა სასახლის ახლად აღდგენილი სახურავი. შემდეგ რამდენიმე დღით სროლები შეწყდა, მომხდურებიც აღარ ჩანდნენ. აქ მხოლოდ მოხუცები იყვნენ

დარჩენილი. სოფელს პატრონი რომ ჰყოლოდა ჩამოსვლა ვთხოვე მონასტრის წევრებს: მამა იოანესა და დედებს — დედა იოანას, დედა სალომესა და მორჩილ ეულალიას.

ჩვენთან იყო ბატონი იასონ მეტრეველიც. მინდა გავიხსენო, როცა უწმიდესი ჩამობრძანდა, პატრიარქს მასზე ვუთხარი: „ბატონ იასონს ძალიან ემადლიერებიან ნიქოზის ძროხები-მეთქი“. მართლაც, როცა ეპარქია განსაცდელში იყო, ამ ადამიანმა დიდი შრომა გასწია. ის უვლიდა მიტოვებულ პირუტყვს, წყალს ასმევდა და საჭმელს უყრიდა.

როცა ჩვენი მონასტრის წევრებმა ჩამოსვლა დააპირეს, სწორედ მაშინ ისევ შემოვიდნენ მძარცველები, სიტუაცია დაიძაბა. ისე ჩანდა, რომ მათი ჩამოსვლა არ შეიძლებოდა. დავუკავშირდი, ვუთხარი, არ წამოსულიყვნენ. მერე კავშირიც გაწყდა. არ ვიცოდი, როგორ იყვნენ ისინი. ერთ დღეს, სანამ უწმიდესი ჩამობრძანდებოდა, მეუფე ანდრიამ რუსი ოფიცრის დახმარებით, მოახერხა, თავისი მანქანით, ჩამოეყვანა მამა იოანე და დედები.

— სად აფარებდით თავს ომის დროს?

პირველ დღეებში, როცა ნიქოზში ბანდიტური ჯგუფები შემოვიდნენ, ახლობლებისგან ვიგებდით, რომ მონასტერში გაჩერება არ შეიძლებოდა. ამიტომ თავს ჩვენს ბაღს ვაფარებდით. სახლის გარეშე რომ დავრჩით, ერთმა ქალბატონმა — ზამირამ შეგვიფარა. ის ჩვენი თანასოფლელია, რომელსაც ომის დროს არ დაუტოვებია ნიქოზი. აქ მარტო ცხოვრობდა. ოჯახის წევრები ეჩხუბებოდნენ, სოფლის დატოვებას სთხოვდნენ. ქალბატონი ზამირა პასუხობდა, რომ აუცილებელი იყო სოფელში ვინმე ყოფილიყო, თუნდაც მარტო ის დარჩენილიყო მთელ ნიქოზში. სწორედ ქალბატონ ზამირას სახლს ვაფარებდით თავს. დაბომბვის დროს, როცა ჩვენი სასახლე დაიწვა, ერთ-ერთი ჭურვი ქალბატონ ზამირას ეზოშიც ჩამოვარდა. სასწაულით გადაურჩა სიკვდილს. როცა მძარცველები შემოვიდნენ ნიქოზში, ორი დღე, მე და მამა ანტონი ბაღს ვაფარებდით თავს. ერთი წიგნი მქონდა სერაფიმ როუზის, სქელყდიანი წიგნია. დიდი ხანია ეს წიგნი მაქვს, მაგრამ ვერასდროს მოვახერხე წაკითხვა. მოკლედ, ეს წიგნი თან წავიღე და დავიწყე კითხვა. ხან ერთ ხის ძირში ვკითხულობდი, ხან — მეორე. მერე პამიდორი შემოვიდა. ცოტა დავეჩვიეთ პამიდვრის მოპარვას. ვამბობდით, როგორი გემრიელი იყო ნაპარავი პამიდორი და, რომ დამთავრდებოდა ეს ყველაფერი, როგორ გადავეჩვევოდით ამ საქმიანობას. მართლა, მამა ანტონზე მინდა გითხრათ, — ბაღში სიარულისას, იპოვა ბურთისმაგვარი, რკინის მრგვალი ნივთი, თავზე ჭანჭიკით. მოინდომა ფეხის დარტყმა. მამა ანტონი ახალგაზრდობაში ფეხბურთს თამაშობდა. მაგრამ რომ დაუკვირდა, იმ ადგილს ფრთხილად მოშორდა. მერე მე მომიხდა იმ ადგილზე გავლა.

მაშინ გორის მიმართულებით ვერტმფრენი დაფრინავდა, ეტყობოდა, რუსებს დაჭრილები გადაჰყავდათ. ერთ-ერთი ხის ძირში ადგილი მოვსინჯე წიგნის წასაკითხად. ისეთი ადგილი იყო შეიძლება თავისუფლად დავენახე. ამიტომ ღობის ძირში გადავინაცვლე, იქ წამოვწექი. თავქვეშ რაღაცები ამოვიდე და წიგნის წასაკითხად მოვემზადე. თავიდან არ დავკვირვებივარ, რაზე მედო თავი.

მერე მაინც დავხედე და დავინახე ის მრგვალი ბურთისხელა ნივთი, რასაც მამა ანტონი ცოტახნის წინ ფეხის დარტყმას უპირებდა. ახლახანს, როცა ნიქოზი რუსის ჯარმა დატოვა, დაიწყო გა-

ნაღვმითი სამუშაოები. ამ პერიოდში მომიხდა ბაღში ჩასვლა, სადაც გამნაღვმელთა ჯგუფი მუშაობდა. ვკითხე იმ ნივთის შესახებ, რომელიც მე და მამა ანტონმა ვნახეთ. მიპასუხეს, რომ ეს ჭურვი იყო. თურმე, ჭურვზე მედო თავი.

— დღეს რა ხდება ნიქოზში, არის კი თქვენს ეპარქიაში სიმშვიდე?

— პირველ ხანებში, ნიქოზში ხალხი ცოტა იყო, ძირითადად, მოხუცები. წირვა-ლოცვას 2-3 კაცი თუ ესწრებოდა. მაგრამ მაშინ, ესეც ბევრს ნიშნავდა. დღეს ხალხი კვლავ დაუბრუნდა სოფელს, თუმცა ბევრი ვერ უბრუნდება თავის საცხოვრებელს, რადგან სახლები გადამწვარია და იქ ცხოვრება შეუძლებელია. ჩვენი პოლიციის შემოსვლის შემდეგ, სოფელში ცხოვრება უფრო უსაფრთხო გახდა. წირვა-ლოცვაზე უფრო მეტი ადამიანი ესწრება, ვიდრე ადრე. სოფელი კვლავ უბრუნდება ცხოვრების ძველ რიტმს. თუმცა არის კვლავ საფრთხე ოსების მხრიდან. ხალხს ეშინია საძოვარზე საქონლის გაყვანის. არის შემთხვევები, როცა ოსები გადმოდიან და ადამიანებს საქონელს ართმევენ. სოფელში გარდაიცვალა ერთ-ერთი კოლორიტი, ქალბატონი შუშანა. მისი დასაფლავებისას დაიწყო სროლები. როგორც გაირკვა, უპილოტო თვითმფრინავი შემოფრინდა ცხინვალიდან და ჩვენებმა დაუწყეს სროლა. რაც შეეხება ახალგორს, დღეს იგი რუსების მიერ არის ოკუპირებული. იმედია, ყველაფერი გამოსწორდება და ხალხს კვლავ შეეძლება მშვიდად ცხოვრება.

— დიდი მადლობა, მეუფეო. რედაქციის სახელით, სიმშვიდეს ვუსურვებთ თქვენს ეპარქიას და მთლიანად საქართველოს.

— ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ.

ზამირა ლომსაძე:

მეუფე ისაია იქ მიდიოდა, სადაც ყველაზე მეტად უჭირდათ

ნიქოზში ყოფნისას, ქალბატონ ზამირა ლომსაძეს გავესაუბრეთ, რომელსაც ომის დროს სოფელი არ დაუტოვებია. გმირობის ტოლფასია, რაც მან და იქ დარჩენილმა მოხუცებმა გადაიტანეს.

— ქალბატონო ზამირა, თქვენი გმირობის შესახებ უკვე ვიცით. როგორ მიიღეთ სოფელში დარჩენის გადაწყვეტილება?

— შინაგანად ვგრძნობდი, რომ არ უნდა წავსულიყავი სოფლიდან. ჩემი აზრით, ასეთ დროს, ვინმე უნდა ყოფილიყო თვითმხილველი.

რუსის ჯარი ტანკებითა და ბეტეერებით ოსებთან ერთად შემოვიდა. ამ დროს მეუფე ისაია და მამა ანტონი ჩემთან იყვნენ. სროლები რომ დაიწყო, ყველანი გავედით სახლიდან და ბაღს ვაფარებდით თავს. ერთ დღეს, ბაღიდან რომ დავბრუნდი, დავინახე ყველაფერი დაბლა ეყარა, მხოლოდ ჩემი პასპორტი და ფული ჰქონდათ წაღებული. მეორე დღეს, სახლში დაბრუნებულს, ორი ოსი ახალგაზრდა დამხ-

ვდა. ქართულად საუბრობდნენ, ვიგრძენი არ ესიამოვნათ ჩემი დანახვა. ღვთის წყალობით გამიმართლა, რომ აგრესიულები არ იყვნენ. იქვე ახლოს ჩემი ძაღლი იყო, მოკვლა უნდოდათ, მაგრამ მერე გადაიფიქრეს. სხვები ხოცავდნენ ხალხს. სოფელში მოკვდა ორი ადამიანი. ერთს ჭურვი დაეცა, ხოლო მეორე მოკლეს ოსებმა. ყველაფერი რომ დამთავრდა და ვითომ სიწყნარემ დაისადგურა, აქ დარჩენილ ხალხს რუსებმა სურსათი შემოუტანეს. მე ხომ ვიცი, რას ნიშნავდა ეს, ჯერ დაგვბომბეს და მერე სურსათი მოგვიტანეს.

— მაინც, რა მოგიტანეს?

— კონსერვები, წვენები და ფქვილი. ამ დროს ხალხს მეტი გზა არ ჰქონდა — უნდა მიეღოთ ეს დახმარება.

უდიდესი სიხარული იყო უწმიდესის ჩამობრძანება. პატრიარქის დანახვით ყველას დიდი ძალა და იმედი მიეცა. კიდევ უფრო დიდი ბედნიერება იყო უწმიდესის მიერ ტაძარში წირვის აღვლენა.

— ეკლესიაში ყოველდღე დადიოდით?

— რა თქმა უნდა, მეუფე ისაია ყოველდღე აღავლენდა წირვა-ლოცვას, დაზიანებას გადარჩენილ ამაღლების ტაძარში. ვლოცულობდით მშვიდობისთვის, ხალხისთვის, რათა სოფელს დაბრუნებოდნენ.

ჩემი სურვილი იყო, რომ ნიქოზში მალე ჩამოსულიყვნენ ბავშვები, მომავალი თაობა, რომელიც ყველაზე ძვირფასია ერისთვის.

სამეუფეო სასახლე რომ დაიწვა, მეუფე ისაია და მამა ანტონი ჩემი სტუმრები გახლნენ. მერე დედებიც ჩამოვიდნენ ახალგორიდან და დღემდე ჩემთან ცხოვრობენ. აქ იშლება ტრაპეზი. მეუფეც ხშირად მობრძანდება ხოლმე.

მინდა მოგიყვეთ, ის, რასაც არავინ გეტყოდათ. ხალხმა ნიქოზში დაბრუნება რომ დაიწყო, მეუფე ისაია წირვას ატარებდა. როცა საკურთხევლიდან გამოსულმა ბევრი ხალხი დაინახა, თავი ჩაღუნა, ხმა აუკანკალდა და თვალებზე ცრემლი მოადგა. იმასაც გეტყვით, ომის დროს აქ დარჩენილი ხალხი გარეთ ვერ გამოდიოდა. ქუჩაში ტანკები დარბოდნენ. ამის მიუხედავად, მეუფე ისაია იქ მიდიოდა, სადაც ყველაზე მეტად უჭირდათ. განდსაცდელის ჟამს არავინ მიუტოვებია.

— ახლა როგორი მდგომარეობაა?

— სოფელი ნელ-ნელა იკრებს ძალას. ძალიან მიხარია, ამდენი ხნის შემდეგ ნიქოზში ბავშვებიც გამოჩდნენ, მალე სწავლაც დაეწყებათ, მაგრამ სანამ ოსები და რუსები საბოლოოდ არ დატოვებენ სოფელს, საფრთხე კვლავ არსებობს. მაინც მჯერა, რომ ყველაფერი კარგად იქნება.

ნათია გოგუაძე
სოფო ჭავჭანიძე

ქაშუეთის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესია

XIX საუკუნის მეორე ნახევარი და XX საუკუნის დასაწყისი არქიტექტურის ისტორიაში სტილიზაციისა და ეკლექტიზმის ხანადაა მიჩნეული. ამ დროისათვის თბილისი უკვე იყო მოქცეული საერთო ევროპული განვითარების პროცესში. ამიტომაც ქალაქის არქიტექტურაში, მსგავსად დასავლეთ ევროპისა და რუსეთის ქალაქებისა, გავრცელდა სხვადასხვა ევროპული სტილები, რომელთა უმეტესობა მანამდე უცნობი იყო საქართველოში.

ამ პერიოდის თბილისის არქიტექტურის განვითარების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და საინტერესო ფურცელია — ქართული ისტორიული არქიტექტურის ფორმებისა და მოტივების გამოყენება, ე.ი. „ქართული სტილის“, როგორც ისტორიული სტილიზაციის ეროვნული ვარიანტის შექმნა. რა თქმა უნდა, ეს ცდები არ სცილდება იმ ეპოქის არქიტექტურის ძირითად პრინციპებს, მაგრამ ამგვარ სტილიზაციას პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა, თუ გავითვალისწინებთ, რომ აქ საქმე გვავქს ეროვნული თვითშეგნებით გამოწვეულ მოვლენასთან.

„ქართული სტილის“ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნიმუშია ქვაშვეთის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესია, რომელიც იმ ადგილას აშენდა, სადაც იდგა ჯერ კიდევ VI საუკუნეში დავით გარეჯელის სახელთან დაკავშირებული ძველი ტაძარი. ეს უკანასკნელი 1754 წელს ამილახვრების მიერ აგებულმა აგურის ეკლესიამ შეცვალა. XIX საუკუნის მიწურულისათვის ეს ეკლესიაც დაზიანებულა, რის გამოც სრულიად ახალი შენობის აგება განუსაზღვრავთ. ახალი ეკლესიის ნიმუშად აიღეს საამილახვროში მდებარე XI საუკუნის დასაწყისის ქართული ხუროთმოძღვრების კარგად ცნობილი ძეგლი — სამთავისის ტაძარი. ახალ ეკლესიას საძირკველი ჩაეყარა 1904 წლის 12 ნოემბერს (ძვ. სტილით), ხოლო მისი მშენებლობა 1910 წელს დამთავრდა. აკურთხეს იგი ამავე წლის 31 ოქტომბერს (ძვ. სტილით). ამ ტაძრის პროექტის ავტორი იყო თბილისელი არქიტექტორი ლეოპოლდ ბილფელდი. ტაძრის მშენებლობა იტვირთა ქვაშვეთის ეკლესიის მამულების გამგე კომიტეტმა, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ი.გ. ამილახორი (თავმჯდომარე), ა.ი. მუხრან-ბატონი, ნ.ი. არჯევანიძე (მდივანი), მღვდელი კალისტრატე ცინცაძე (შემდგომში საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი კალისტრატე), მღვდელი გიორგი ჩაგუნავა, მღვდელი დავით ლაზარაშვილი და მნათე პ. კვირიკაშვილი. მოიჯარადრე-აღმშენებლად კომიტეტმა

მოიწვია თბილისში და საქართველოში კარგად ცნობილი სამშენებლო ფირმების მეპატრონე ინჟინერი, ანჯელო ანდროელეტი, ხოლო აღმშენებელ ხუროთმოზღვრად — არქიტექტორი ედუარდო ანდრეოლეტი, რომლის მიერ მომზადდა ტაძრის კედლების მდიდარი ჩუქურთმა, აგრეთვე კანდელის, სვეტების ბაზისა და კაპიტელების, გარე კიბის პარაპეტის და ა.შ. ნახატები, ტაძრის ბრინჯაოს შესასვლელი კარი გაკეთდა ედუარდო ანდრეოლეტის და თბილისის მხატვარის ჰენრიკ ჰრინევსკის ნახატის მიხედვით. უკანასკნელს, აგრეთვე, ტაძრისთვის ხატები დაუხატავს. ეკლესიის ჩუქურთმა ცნობილმა ქართველმა ქვის ოსტატმა ნეოფიტე აღლაძემ შეასრულა. აღსანიშნავია, რომ, ისე როგორც მრავალი საუკუნის მანძილზე, ახლაც ტაძრის ცალკეული ელემენტები, დეტალები (სარკმლების მორთულობა, ჯვარი, კანკელი და სხვა), ცალკეული პირთა შეწირულობის ხარჯზე გაკეთდა. შენობის „საზოგადო ხელმძღვანელობა და უმახლობელესი მეთვალყურეობა“ კი კომიტეტმა 1904 წლის 16 მარტს (ძვ. სტილით) სხდომაზე ჩააბარა მღვდელ კალისტრატე ცინცაძეს. ამავე სხდომაზე გადაწყდა ტაძრის ცოკოლის ამაღლება რუსთაველის პროსპექტის დონემდე და ქვემო სართულში მეორე ეკლესიის მოწყობა. ქვემო ეკლესია 1909 წლის 19 აპრილს (ძვ. სტილით) აკურთხეს სულიწმინდის სახელობაზე, ხოლო 1945 წელს, ჩატარებული რემონტის შემდეგ, იგი იკურთხა წმიდა მთავარ მოწამე მარინეს სახელობაზე. 1946 წელს ტაძრის საკურთხეველი მოხატა მხატვარმა ლადო გუდიაშვილმა, ხოლო 1991 წელს რუსთაველის პროსპექტის მხრიდან მას მიაშენეს ახალი კარიბჭე.

ᲗᲐᲛᲐᲖ ᲒᲔᲠᲡᲐᲛᲘᲐ

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲔᲜ ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡ ᲨᲝᲑᲐᲡ...

ᲘᲐ�პᲝᲜᲘᲐᲨᲘ

ᲓᲦᲔᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ იაპონიაში 30 ათასამდე მართლმადიდებელი ქრისტიანია. წინასაშობაო 40-დღიან მარხვას „მონოიმი“-ს უწოდებენ. 25 დეკემბერს იაპონიაში სამუშაო დღეა, ამიტომ შობას აღნიშნავენ 25 დეკემბერთან მიახლოებულ შაბათ-კვირას. ბავშვებისთვის სპეციალური სადილი იმართება, რომელსაც ისინი მოუთმენლად ელიან. წირვის შემდეგ ღვთისმსახური ყველა მორწმუნის სახლს სტუმრობს და ულოცავს მათ შობის დღესასწაულს.

ᲘᲜᲓᲝᲜᲔᲖᲘᲐᲨᲘ

ᲘᲜᲓᲝᲜᲔᲖᲘᲘᲡ მართლმადიდებელთა ქრისტეს შობის დღესასწაული ევროპელთა პროტესტანტული ტრადიციების შესაფერია. ეს იმ დროის მემკვიდრეობაა, როცა ინდონეზია ჰოლანდიის კოლონია იყო. მორწმუნე ინდონეზიელები, როგორც ყველა მართლმადიდებელი, შობისწინა მარხვას იცავენ. საშობაო წირვა-ლოცვა ღამით აღესრულება. წირვის შემდეგ მღვდელი ნაძვის ხის ქვევიდან იღებს საჩუქრებს და მრევლს ურიგებს.

საშობაო მაგიდასთან, ქრისტიანებთან ერთად, ხშირად მაჰმადიანებიც სხედან ხოლმე. მიუხედავად რელიგიური კუთვნილებისა, მეზობლები ამ დღეს სტუმრობენ ერთმანეთთან. სადღესასწაულო სუფრაზე აუცილებელი ატრიბუტია შემწვარი ქათამი — „აიამპძონჰანგი“, ხორცის სუპი მწვანილით — „სძოტო“ და „იჰანპ-ანჰანგი“ — შემწვარი თევზი მწარე საწებელათი.

ინდონეზიელი მართლმადიდებლები მღერიან ადგილობრივ ენაზე თარგმნილ სიმღერას „Silente night“ („წყნარი ღამე“). ძირითადად მას ბავშვები ასრულებენ და ტკბილეულსა და ხურდა ფულს ელიან.

ღამეები...

სუსხმა დაუბერა, ბეჭებზე შილიფად მოგდებული შალი მჭიდროდ შემოიხვია და გახურებულ ბუხარს მიეფიცხა. ისევ წავიდა ფიქრებში... ისევ მოგონებები... ღრმად, გულის სიღრმიდან ამოისუნთქა, არა, კი არ ამოისუნთქა, ამოიხვნეშა. სიცივე უკლავდა გულს, გულში ჩაწოლილი სიცივე. სწორედ ეს სიცივე იყო, რომ აწუხებდა, თორემ, გარედან შემოპარულ სუსხს, ბუხარიც უშველიდა, როგორმე. გულის სუსხისთვის კი რა ეშველა, აღარ იცოდა. ეს აღონებდა, აშფოთებდა. ვერასდროს წარმოიდგენდა, თუ, როდესმე, მის გულს სიცივე შეაწუხებდა. იმ გულს, რომელიც დღიდან გაჩენისა და ამ, მიწიერი ჰაერის, პირველი ჩასუნთქვისა, სიყვარულით ფეთქავდა, ახლა კი... „ძნელი არის მარტოობა სულისა...“



მთელი ცხოვრება რაღაცას ელოდა, რაღაცას ეძებდა, რა უნდოდა, რა არ ასვენებდა, რატომ არ ახარა არც ერთი ნერგი გულში? რისი ეშინოდა? გულს ხომ მხოლოდ სიყვარული სჭირდება, მხოლოდ ის კვებავს და ასაზრდოებს. ამდენს ვერ ხვდებოდა, ვერ იაზრებდა მაშინ, ახლა კი... სიყვარულისთვის გაჩენილი პატარა გული, რომელიც საკვების მოლოდინში გაზრდას ელოდა, სიცივის ბუდე გამხდარა და ჩირივით გამომშრალა. სწორედ ეს სიცივე აწუხებს, სიცივე, რომელიც უდაბნოს მცხუნვარე მზის ქვეშაც აგაკანკალებს.

ეხ, წუთით მაინც რომ შეიძლებოდეს დროის უკან დაბრუნება... რას იზამდა მაშინ? ნეტავ რას იზამდა? თავი ჩაღუნა... რა აზრი აქვს ამაზე ფიქრს, ეს ხომ შეუძლებელია... ბუხარში მოგიზგიზე ცეცხლს დააშტერდა... არა, მაინც, რას იზამდი? ისევ აეკვიატა იგივე კითხვა... რატომ გაცვალე სიყვარული ანგარებაზე? ცხოვრებას სჭირდებოდა ასე, ვერ ჩამორჩებოდა. ფეხი ააყოლა და მერე... რა მოუტანა ცხოვრებამ? გგონიათ სიყვარული არ შეეძლო? არა, ეს ღვთიური თვისება ხომ ყველა ადამიანშია ჩადებული, მაგრამ მოცემულს გაფრთხილება სჭირდება. ვერ გაუფრთხილდა და ამ გრძნობამაც სახე იცვალა. სიყვარული შეეძლო კვლავაც, შეეძლო, მაგრამ ვისი? მხოლოდ საკუთარი თავის. რამდენს ატკინა გული, რამდენს აქცია ზურგი. რამდენი დაამცირა და საკუთარ თავზე შეყვარებულმა ვერც კი შეამჩნია, ნელ-ნელა, გარშემო, როგორ შემოეფანტა და შემოეცალა ყველა. აღარავინ დარჩა და სიცივეს ვინღა დააკავებდა? ცივმა სიომ ჯერ ოდნავ შეურხია თმა, შემდეგ როცა დარწმუნდა წინააღმდეგობა არსაიდან შეხვდებოდა, მთელი ძალით ეძგერა... შეამცივნა, ტანში დაბურძგლა. ეს რა უცნაური სიცივეა — გაიფიქრა გაოცებულმა და ირგვლივ მიმოიხედა. ვის დაინახავდა? აღარავინ იყო. გაოცდა, გაბრაზდა, მერე თითქოს მიხვდა შეცდომას, მაგრამ რაღა დროს, მის გულსაც უკვე აღარ შესწევდა ძალა, გაეთბო სხეული. მასშიც შეპარულიყო ჩუმად სუსხი... ახლა კი, უკვე, მარტო დარჩენილს, აღარც სხვისი სიყვარული შეეძლო და საკუთარი თავიც მოსძულებოდა.

დრო კი მიდიოდა და შეცდომებს უკან აღარ აბრუნებდა. შეცდომა შეცდომად რჩე-

ბოდა, მწარე შეცდომად. და მაინც როგორ მოიქცეოდი, სულ ცოტა ხნით დრო რომ უკან დაბრუნებულიყო? კვლავ არ მოასვენა იგივე კითხვამ. მწარედ გაეღიმა. გული, გული ყოფილა ყველაზე მთავარი. სიყვარულით სავსე გული. მეც ამ სიყვარულს გავუფრთხილდებოდი. ახლა? გულგაყინულს ცხელი ღუმელიც აღარ ათბობს. ახლა რაღა ეშველება? აღარავის სჭირედება, არავის უყვარს, აღარც თვითონ შესწევს სხვისი სიყვარულის ძალა. ნუთუ სულ აღარ შეგიძლია სიყვარული? — ჩაეკითხა თავს, ჩაფიქრდა... არავის ვუყვარვარ, ყველას ვძულვარ...

ზარების ხმა ჩაესმა. გაისუსა... ყური მიუგდო, რაღაცა ფიქრმა გაჰკრა, თვალებში იმედის ნაპერწკლები აუციმციმდნენ... ღმერთი? ღმერთს ხომ ვუყვარვარ? — თავისდაუნებურად, გაუელვა თავში, აქამდე რატომ არ გამხსენებია ეს? შეცბა... მიაყურადა, კვლავ მოისმოდა შორიდან ზარების ხმა. თითქოს მას ეძახდა, მას მოუხმობდა... რა სისულელეა! განა ადრე არ მოუსმენია ზარების რეკვა? არა, არა, ეს სხვანაირია, სხვანაირად რეკავს, მას ეძახის თითქოს, სწორედ მას! არა, არ ეჩვენება. ზარების ხმას მასთან თბილი სიოც მოჰქონდა, ნანატრი სითბო. მთვარეულივით შეტორტმანდა...

ღმერთო, როგორ მონატრებია სითბო და სიყვარული.

ᲛᲐᲘᲐ ᲭᲘᲜᲭᲐᲠᲐᲣᲚᲘ

ოპტიმისტი და პესიმისტი...

პესიმისტი: — სიცოცხლე, სიყვარული, მეგობრები, ჰმ... ეს ყველაფერი ხომ ბლეფია, არ არსებობს არაფერი. ნუთუ გჯერა რომ არსებობს სიცოცხლე? მაშინ რატომ კვდებიან ადამიანები? თუნდაც ეს პატარა ყვავილი, ჩვენ რომ ვამბობთ ისიც ცოცხალი არსებაა, მაგრამ... ჭკნება, ლპება და რა... რა რჩება მისგან? არაფერი... ის ხომ რაღაც ერთი თვეც არ არის, რაც სიცოცხლეს შეუერთდა და უკვე დაადგა სიკვდილის გზას. შენ ამას სიცოცხლეს უწოდებ? სიცოცხლეს, რომელიც არ არსებობს...

ოპტიმისტი: — სიყვარული?! ნუთუ არც სიყვარული არ არსებობს შენთვის?!

პესიმისტი: — რა თქმა უნდა, არ არსებობს, ადამიანები მხოლოდ ტკივილს აყენებენ ერთმანეთს, გულებს უფლეთენ, როგორც ძერა მიადგება ლეშს საჯიჯგნად.

ოპტიმისტი: — ტყუილია! შენ არ გინახავს, რა ბედნიერია შეყვარებული ადამიანი.

პესიმისტი: — ბედნიერი?! ჰა, ჰა... რა სასაცილოა. ნუთუ ვერ ხვდები, რომ ეს ყველაფერი დროებითია, შენ რა, არა-

სოდეს ყოფილხარ აცრემლებული?! გულდაწყვეტილი? როგორ არა, მაგრამ გამხელის გეშინია. რატომ იმალები.

ოპტიმისტი: — მე არ ვიმალები, უბრალოდ ყოველთვის მომავლის იმედი მაქვს, მაგრამ უწინარესად უფლის!!! შენ? დაუძლურდი? დაეცი? ადექი და ისევ გაიარე. რატომ გგონია რომ არასოდეს გაგიმართლებს? სიცოცხლეც არსებობს და სიყვარულიც, უბრალოდ ყველაფერს თავისი დრო აქვს.

პესიმისტი: — მეგობრებზე რაღას მეტყვი? ესეც ხომ ყვავილი არ არის, რომ დაჭკნეს, გადააგდო და ახალი შეიძინო, ან სიყვარული, უცებ ვიღაც სხვა, დაინახო და გადაგიყვარდეს.

ოპტიმისტი: — მეგობარი? მეგობრის გარეშე კაცი ხომ საცოდავია.

პესიმისტი: — არსებობს კი ნამდვილი მეგობრები? სულ ღალატი, შური, ბოღმა... და რა... შენ ამას მეგობრობას ეძახი?! განა მეგობარს ეჭვის თვალით უნდა უყურებდე?

ოპტიმისტი: — იცი რაა? შენ ყოველთვის იმას აკეთებ, რაც შენ გინდა გაგიკეთონ? არა!!! რა თქმა უნდა, ვერცერთი ადამიანი ვერ აკეთებს ყოველთვის კარგს. ამიტომ ეცადე, რაც შენ არ გინდა გაგიკეთონ, იმას სხვას ნუ გაუკეთებ და ეცადე, ყოველთვის სხვაში არ დაიწყო ცუდის ძებნა, ცუდი შენშიც არსებობს, მხოლოდ კარგი ეძებე და ძალიან ბედნიერი გახდები, ცამდე იქნები შეყვარებული და, რა თქმა უნდა, მეგობრებიც, ერთგული მეგობრებიც, ძალიან ბევრი გეყოლება.

დატკბი ცხოვრებით!!! სიცოცხლე ძალიან კარგი რამ არის!!!

ამგვარ შეფასებას კი მხოლოდ ის აკეთებს, ვინც მუდმივად ასუფთავებს საკუთარ სულს; ვინც მას მოწამლული სულიერი საზრდოთი არ კვებავს და ღამაზ ტანსაცმელთან ერთად, ღვთიური მადლითაც მოსავს. პესიმისტი გაჩუმდა... მაგრამ ალბათ მაინც დროებით... ოპტიმისტმა კი ამ დიალოგში გაიმარჯვა რწმენით, სიყვარულით, იმედით... გაიმარჯვა, რადგან იცის, ღვთის რწმენა და ჭეშმარიტი სიყვარული სულის მასაზრდოებელი, სასარგებლო საკვებია.

სოფო ჭავჭანიძე

ფოტომასალა — გიორგი ქადაგიშვილის

ჩობოჩ აღნიშნავენ ქრისტეს შობას...

აფრიკაში

ეთიოპიაში ქრისტეს შობას 30 მილიონი მონოფიზიტი დღესასწაულობს. ეთიოპიური ქრისტეს შობა „ჰანნა“ იმით იწყება, რომ ეკლესიაში ყოველ შემსვლელს სანთელს ურიგებენ. ანთებული სანთლით სამჯერ შემოუვლიან ხოლმე ეკლესიას და შემდეგ ესწრებიან წირვას. მამაკაცები, ქალები და გუნდი სამ განცალკევებულ წრეს ქმნიან. წირვის დამთავრების შემდეგ ყველანი მიირთმევენ პურსა და ღვინოს. შობის ღამეს ქუჩები სავსეა მომლოცველებით. ისინი მთელი ღამის განმავლობაში ლოცულობენ ქუჩაში და ფსალმუნებს კითხულობენ. დილით ყველანი ერთ პროცესიაში ეწყობიან და ახლომდებარე ბორცვზე ადიან. იქ აღესრულება წირვა, შემდეგ კი ერთმანეთს ურიგებენ „დორო უოტი“-ს — ჩაშუშული წიწილის თითო ნაჭერს. აგრეთვე ეთიოპელები აფუებული ცომით აცხობენ უზარმაზარ კვერს. მას იყენებენ როგორც თეფშად, ასევე ხელსაწმენდად წიწილის ჭამის დროს.

კენიაში 300 ათასამდე მართლმადიდებელია. ქრისტეს შობისთვის ისინი რთავენ ეკლესიას ფერადი ბუშტებით, ბაფთებით, ყვავილებით, მწვანე მცენარეებით და საშობაო ხეებით. წირვის შემდეგ დადიან სახლიდან სახლში და ულოცავენ დღესასწაულს და გალობენ. ყველაფერს, რასაც მისცემენ — პატარა სუვენირებს, ხშირად, უბრალოდ, ფულს — ეკლესიას სწირავენ. დილით სოფლებსა და ქალაქებში ოჯახებით მიდიან ეკლესიაში. გაჭირვებულთათვის იმართება საშობაო სადილები. ოჯახის წევრები სხვადასხვა მხრიდან იკრიბებიან მამა-პაპისეულ სახლში, რათა ერთად შეხვდნენ ქრისტეს შობას საშობაო სუფრასთან. საშობაო კერძებია „ნაიამა ჩომა“ — შემწვარი ხორცი, ძირითადად თხის, იშვიათად, ქათმის, აგრეთვე, ახალგამომცხვარი აფრიკული ბრტყელი პური — „ჩაპატი“.

ტაო-ტაო

მოგზაურობა ტაო-კლარჯეთში

ტაო-კლარჯეთში მოგზაურობის ამსახველი დღიურის გაცნობამდე, ამ მხარის შესახებ ორიოდ სიტყვას გეტყვით.

ტაო-კლარჯეთი, საქართველოს ისტორიული ტერიტორია, დღეს თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს. იგი აერთიანებს ჭოროხისა და მტკვრის აუზებში არსებულ ისტორიულ, ქართულ პროვინციებს (ტაო; კლარჯეთი; შავშეთი; კოლა; არტაანი; ერუშეთი, ჩრდილი, სამცხის, ჯავახეთისა და აჭარის ნაწილები).

ტაო-კლარჯეთი მდიდარია ქართული ისტორიული ძეგლებით: ბანა, ოშკი, ხახული, იშხანი, ხანძთა, პარხალი, ტბეთი, დოლისყანა, ოთხთა, არტანუჯი... ამ მხარეში, შუა საუკუნეებში კიდევ უფრო მეტი, კულტურული თუ პოლიტიკური ცენტრი არსებობდა.

აქ მიეცა დასაბამი ბაგრატიონთა დინასტიის მეფობას. ამ ტერიტორიაზე აშოტ კურაპალატის გამეფების შემდეგ, აღდგა არაბთა ლაშქრობებით გაპარტახებული მხარე. განსაკუთრებით, ფართო მასშტაბები შეიძინა სამონასტრო ცხოვრებამ. რომელსაც უდიდესი საეკლესიო მოღვაწე, „ზეცისა კაცი და ქუეყანისა ანგელოზი“ — გრიგოლ ხანძთელი ხელმძღვანელობდა. მაშინ როცა, თბილისი არაბებს ეპყრათ, ტაო-კლარჯეთში უძლიერესი ქართული კერები სულიერ და კულტურულ მემკვიდრეობას ქმნიდნენ. ტაოში მოღვაწეობდნენ დიდი საერო და შემდგომ სასულიერო პირები: თორნიკე ერისთავი და იოანე მთაწმინდელი.

დღეს ეს მხარე ქართველი და უცხოელი მოგზაურების, ისტორიკოსების დიდ ინტერესს იწვევს.

მაშ ასე, მოგზაურობა დავიწყოთ...

პარასკევი, 25.10.08

ტაოსაკენ

დილის 05 სთ. და 04 წთ-ია, ტაო-კლარჯეთისაკენ წასასვლელად ვემზადები. უკვე სახლიდან უნდა გავიდე და კიდევ არ მჯერა, რომ მივემგზავრები. მთელი ღამე ველოდებოდი მაღვიძარის ზარს. მაინც დავასწარი. ზარამდე რამდენჯერმე გამელვიძა. წავიხემსე (მგზავრობის წინ სასურველია), ჩანთა ჩავალაგე... ახლა გავიქეცი, თორემ დავაგვიანებ. ექვსი საათისთვის, ყოფილ „რესპუბლიკის მოედანზე,“ ჩემს თანამგზავრებს უნდა შევხვდე და ტაოსაკენ ჰერი-ჰერი...

ტბეთი

საქართველო-თურქეთის საზღვარზე ვალეს საბაჟოდან გადავედით. დაახლოებით 2 საათზე, უკვე ტბეთის ტაძარში, ისტორიულ შავშეთში ვიყავით. ადრე ეს ეკლესია საეპისკოპოსო იყო. ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი X საუკუნეშია აგებული. დღეს მხოლოდ მისი ნანგრევებია შემორჩენილი. კედლები ჩუქურთმების სიუხვით არ გამოირჩევა, თუმცა, ზოგან ორნამენტები, ქვაში ნაქსოვი სილამაზეც, იმზირება.

თავის დროზე ჯვარგუმბათოვანს, დღეს გუმბათი მთლიანად ჩამოშლილი

აქვს, მაგრამ სიდიადე მაინც არ დაუკარგავს. ეკლესიის შიგნით ეკალ-ბარდები ამოსულა, ნანგრევები მიმოფანტულა... ტაძარი მაინც მხნედ, მედგრად იმზირება და მლოცველსა თუ მოგზაურში მხსნელს ელოდება.

იქვე ტაძრის წინ, შავშეთისათვის დამახასიათებელი, ხის სახლი დგას. აივანზე ფერადი სიმინდებია გამოფენილი. აქ მიწაც ქართულია, ცაც და ქვაც, თუმცა, არაქართველები ფლობენ.

ახლა გზას ხანძთისაკენ ვაგრძელებთ. დაღამებამდე უნდა მოვასწროთ გრიგოლ ხანძთელის — უდიდესი წმიდანის მიერ დაარსებული მონასტრის მონახულება.

ხანძთა - იდუმალებით მოცული საოცრება

ხანძთისკენ, ციცაბო კლდეზე, სამანქანო, ვიწრო გზა სახიფათოცაა და ლამაზი სახილველიც. მძღოლმა კარგად გვატარა. ჯერი ახლა ჩვენზეა. ფეხით უნდა გავუყვეთ ორკილომეტრიან აღმართს. ამინდი კარგია, განწყობა — საუკეთესო. შემოდგომა იგრძნობა: ხეები ზოგი ყვითელია, ზოგიც — წითელი. გზად ეს დალოცვილი ვაზიც შემოგვხვდა. „აქ რამ მოგიყვანა, შე მადლიანო, შენა?!“ პირველად გრიგოლ ხანძთელის სახელობის წყარო შემოგვხვდა. წყურვილი მოგვიკლა. მერე ხანძთის ტაძარსაც მივუახლოვდით.

მოწიწებით დავაბიჯებ ხანძთისა და შატბერდის მონასტერთა აღმშენებლის, კლარჯეთის სავანეთა წინამძღვრის, ღირსი გრიგილის ნაკვალევზე. გაფაციცებით ვეძებ მის განსასვენებელს, თუმცა, შედეგი წინასწარ ვიცი — საფლავი დაკარგულია. ღმერთს

ვევედრები, დაკარგულ სიწმიდეთა დაბრუნების ღირსი გაგვხადოს.

გუმბათი ახალი ჩამოშლილია. მიუხედავად ამისა, იდუმალებით მოცულ საოცრებას, დღემდე აქვს შემორჩენილი ძველი სიდიადე. იგი გამაოგნებელ, წარუშლელ კვალს ტოვებს. გარშემო ხის პატარა სახლებია — კოხტა და ლაზათიანი. აქაურობამ ისე მომხიბლა, რომ ჯვარის დაწერის სურვილი აქ გამიჩნდა. მაგრამ ამჟამად საზღვარზე მოძღვრის გადასვლა პრობლემატურია. გონებაში, დარჩენის ფიქრმაც გამიელვა.

ოპიზა - დაჩაგრული მშვენება

ოპიზა იოანე ნათლისმცემლის სახელობისაა. აქ უდიდესი სიწმინდე, ნათლისმცემლის ქვედა ყბის ნაწილი ინახებოდა.

კლარჯეთის 12 სავანეთა შორის ოპიზა პირველობის პატივით სარგებლობდა. იგი ყველა სავანეზე ადრე აუგია ვახტანგ გორგასალს V საუკუნეში.

ამ ტაძარს უკავშირდება გამოჩენილ საეკლესიო მოღვაწეთა და მწიგნობართა: მიქელ პარეხელის, სერაპიონ ზარზმელის, გიორგი მაწყვერელის, ათანასე და იოანე ოპიზელების; ოქრომჭედელთა — ბექა და ბეშქენ ოპიზრების სახელები.

ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ცხადად ვხედავ საქართველოს ხელოვნების მუზეუმში დაცულ რელიეფს ოპიზიდან მეფე აშოტ კურაპალატის პორტრეტით.

ნეტავ, რას იტყოდა მეფე იმ გულსაკლავ მდგომარეობაზე, რომელიც იქ დაგვხვდა...

ტაძარი აუფეთქებიათ და შუაში გზა გაუყვანიათ, დარჩენილი კედლის ერთ ნაწილზე ფეხბურთის კარი მიუხატავთ. იქვე ტუალეტი მიუშენებიათ. მეჩეთიც ორიოდ ნაბიჯზეა. პირველი, სწორედ ეს უკანასკნელი შემოგვეგება. აქაურებს გამოველაპარაკეთ. ერთი დაჟინებით გვიხსნიდა: დედა გურჯი, მამა გურჯი, მე თურქი...

შაბათი, 26.10.08

მეორე დღე ტაოში

გათენდა. მთას ცხვირზე ნისლი აქვს მოხვეული.

მაღვიძარას გაღვიძება ახლაც დავასწარი და ჯგუფის წევრების სანახავად წავედი. წინა საღამოს კალმახით გაგვიმასპინძლდნენ, ახლა ვისაუზმებთ და გზას ოშკისაკენ გავუდგებით.

ოშკი – სულიერების მედგარი კოშკი

ოშკის მშენებლობა, არსებული წარწერების მიხედვით, 969-973 წლებით თარიღდება. მისი აღმშენებლები, ტაოს შტოს ბაგრატიონები, მეფე დავით კურაპალატი და მისი ძმა, ბაგრატ ერისთავთერისთავი ყოფილან.

X საუკუნის ამ ბუმბერაზი ტაძრის კედელებზე უამრავი ჩუქურთმა ამოუკვეთავთ. მთავარი შესასვლელის ზევით მთავარანგელოზებია გამოსახული. იქვე ორი ქართული წარწერაც გვხვდება. ტაძრის ერთ-ერთ სვეტზე ყურძნის მტევნის ორნამენტი მოჩანს. რამდენიმე ფრესკის ფრაგმენტიც გადარჩენილა. გრანდიოზულია ოშკი — ღვთისა და კაცის შეუდარებელი ქმნლება. მახარებს მისი სიდიადე, სილამაზე... მამწუხრებს დაუნდობლობა, გადამწვარის, დანგრეულის ხილვა. იქვე ტაძართან მეჩეთია აგებული.

მიუხედავად ყველაფრისა, ოშკმა დამატყვევა. წამოსვლა აღარ მინდოდა. ვერ ვძღებოდი მისი ცქერით. ახლაც ჟრუანტელი მივლის...

ხახული – მშვენიერება თვალით ნახული

მშვენიერია დავით კურაპალატის მიერ X ს-ში დაარსებული, ხახულის ტაძარი. ყრმობის ჟამს აქ მიუღია განათლება გიორგი მთაწმიდელს.

მონასტრის საგანძურში ინახებოდა ჭედური ხელოვნების იშვიათი ნიმუში — ხახულის ღვთისმშობლის კარედი ხატი. გუმბათი ფერადი კრამიტითაა მოკირწყლული. ჯვარი მოხსნილი აქვს (როგორც ყველა გუმბათშემორჩენილ ტაძარს). ეკლესიის კარი დაკეტილი დაგვხვდა. შიგნით მეჩეთია გახნილი. შესასვლელიც გულდაგულ ჩაურაზავთ.

ტაძრის უკანა კედელზე ჯვრის ორნამენტი ამაყად შემორჩენილა. ფასადზე გამოკვეთილი ლომის ბარელიეფისთვის თავი წაუმტვრევიათ. ტაძრის ეზოში, წინა მხარეს, რამდენიმე ასეული წლის, ორი ხეა, ერთად შეზრდილი. ხახულში იქაური გურჯი ბავშვებიც შეგვხვდნენ, და მათი ქართული მზერა ფოტოზე აღვბეჭდეთ.

გეზი თორთუმის ტბისა და ჩანჩქერისაკენ ავიღეთ. ჯერ, ერთის სიმწვანითა და სიმშვენიერით დავტკბით, მერე — მეორის სითეთრით. ცისარტყელამაც გვიმასპინძლა და გზას იშხნისაკენ გავუყევით...

იშხანი – ქვაში ნაქარგი ტაძარი

იშხანი ქვაში ნაქარგი ტაძარია, VII-X სს-ში აგებული. იგი საეპისკოპოსო ცენტრს წარმოადგენდა. ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია თორმეტ სვეტზე დგას. თითოეულს, ერთმანეთისგან განსხვავებული ჩუქურთმა ამშვენებს.

დიდი და დიადია იშხანი. საბა იშხნელს განუახლებია X ს-ში. ძნელია მისი სიდიადის გადმოცემა.

პატარა ტაძარს სარწყავი არხი ჩაუდის გვერდით. რაც საგრძნობლად აზიანებს. ამ ეკლესიაში ღვთისმშობლის ფრესკას მხოლოდ თვალები შერჩენია. ომის დროს ცრემლი სდიოდაო, გვითხრეს.

მეჩეთი აქაც ახლოსაა, მოლას ლოცვის ხმაც კი გავიგონეთ.

იშხანში ერთ დიდ სვეტზე მტრედებს ბუდე გაუკეთებიათ და აქ დამკვიდრებულან. საამოდ ღუღუნებდნენ თითქოს წინაპართა სულები ჩვენთვის ქართულ საგა-



ლობელს ასრულებდნენ.

ახლა იშხნიდან სასტუმროში, დაბა იუსუფელში ვბრუნდებით, იმერხევის წყლის ნაპირთან. დღევანდელი დღის მარშრუტი იშხნით დავაგვირგვინეთ.

კვირა, 27.10.08

ოთხთა და დოლისყანა

7 საათზე გავდივართ დაბა იუსუფელიდან (ულამზესი და უძველესი დასახლებაა, რომელიც, რამდენიმე ისტორიულ ძეგლთან ერთად, ჭოროხის კაშხალის აგების შემდეგ წყლით დაიფარება). დღეს ოთხთა და დოლისყანა უნდა ვნახოთ და თბილისში დავბრუნდეთ.

ოთხთა მონასტერი ოთხი მახარების სახელობისაა. იგი საგანგებოდ შექმნილ ბაქანზეა აგებული.

ოთხთა, ბაზილიკის საუკეთესო ნიმუშია. მოკრძალებული, მცირედი ჩუქურთმები აქვს. კედლებს ფრესკების ფრაგმენტები ალაგ-ალაგ შემორჩენია. თითქმის მთელ სახურავზე ბალახი ამოსულა, მხოლოდ ერთგან შეიმჩნევა კრამიტის ნარჩენები. ეზოში ორი მცირე ტაძრის ნანგრევია.

შემდეგი გაჩერება დოლისყანაშია. X ს-ში აშენებული ტაძარი ჯვარგუმბათოვანი ნაგებობაა. როგორც ფასადზე განთავსებული ქართული წარწერა გვამცნობს, ეს ეკლესია მეფე სუმბატის მეფობის ხანაშია აგებული — 954-958 წწ-ში.

აქ ცა ცისფერზე ცისფერია. გუმბათზე კიბე მიუდგამთ, თითქოს ზეცაში აპირებენ ასვლასო. ეს ერთი შეხედვით. მეორედ თვალის შევლებით მივხვდი, რომ გუმბათს, დროდადრო, კრამიტს ხსნიდნენ. ტაძარში ფრესკები გადაღებილია. მეჩეთი აქაც ყურის ძირშია.

თუმცა, ქართული სული აქაც იგრძნობა.

...უკვე გზაში ვართ (აქ სულ გზაში ვართ) თბილისისაკენ მოვდივართ. მალე ვალეს საბაჟოს მივუახლოვდებით.

გამოკითხვა მოვაწყე: ვის, რომელი ტაძარი მოეწონა ყველაზე მეტად? დაიწყო — ხანძთა ერთი, ოშკი, ხანძთა ორი, იშხანი...

ბოლოს ოთხ-ოთხი ხმა შეხვდა ხანძთას, ოშკსა და იშხანს... სამმა კაცმა თავი შეიკავა პასუხისაგან. მოკლედ გამოკითხვა „ფრედ“ დასრულდადა მართლაც, რომელი მათგანი უნდა გამოარჩიო?! წარმტაცია თითოეული და ყველა ერთად! გულსაკლავი კი ისაა, რომ ჩვენი არცერთი აღარაა.

დავდარდიანდი... ტაოს ვშორდები. ქართული სულის უკეთ შესაგრძნობად, იქ კიდევ მინდა წასვლა!..

P.S. „მგზავრის წერილები,“ ამ მოგზაურობისას, დასასრულს მიუახლოვდა... ჩვენ კიდევ დავემგზავრებით ერთმანეთს.

გზა გრძელდება...

გიორგი ლიპარიშვილი

ქართული სპორტი 2008 წელს

2008 წელი ქართული სპორტისთვის წინააღმდეგობრივი გამოდგა. ქართველმა სპორტსმენებმა სამშობლო არაერთხელ ასახელეს, თუმცა, მათი პოტენციალიდან გამომდინარე უკეთესის მოლოდინი გვქონდა.

საქართველოში სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობა ფეხბურთია. თუმცა გულშემატკივარი ხშირად ტოვებს სტადიონს გულდაწყვეტილი, საქართველოს ნაკრების უსუსური თამაშის გამო. 2008 წელს ქართული ფეხბურთი არამდგრადობით გამოირჩა. გაზაფხულზე ამხანაგურ შეხვედრებში ნაჩვენები ცუდი თამაშისთვის კლაუს ტოპმიოლერი დაითხოვეს თანამდებობიდან. დაახლოებით 4 თვე არ ცხრებოდა სპეკულაციები ახალი მწვრთნელის თაობაზე. ამ შუალედში ნაკრებს დროებით პეტრ სეგრტი წვრთნიდა. ხორვატმა სპეციალისტმა ნაკრებთან ერთად ორი მატჩი გამართა ესტონეთთან (1:1) და პორტუგალიასთან, სადაც ჩვენი ბიჭები უშანსოდ, 0:2 დამარცხდნენ, პორტუგალიის თითქმის მეორე გუნდთან. ზაფხულის ბოლოს ფედერაციამ მწვრთნელის თანამდებობაზე გამოცდილი არგენტინელი, ჰექტორ რაულ კუპერი მოიწვია. მის ჩამოსვლას ბევრი სპეციალისტი სკეპტიკურად შეხვდა. მიუხედავად ამისა, ქართველი სპეციალისტების ნიჰილიზმი გარკვეულწილად არ გამართლდა. ნაკრებმა, მართალია, ვერ მოახერხა ფუნდამენტური და ძირითადი პრობლემების დაძლევა (მეკარის პრობლემა, შეუთამაშებლობა დაცვაში, თავდამსხმელთა არაკვალიფიციურობა და საგოლე მომენტების ცუდი რეალიზაცია), მაგრამ გუნდური თამაში, ასე თუ ასე, გაიმართა, ნაკრები მატჩიდან მატჩამდე უმატებდა თამაშის ხარისხს. პირველი ამხანაგური მატჩის მოგების შემდეგად უელსთან (2:1), მოხდა ორი უიშვიათესი მოვლენა ბოლო წლების ქართულ ფეხბურთში. გუნდმა მოიგო გასვლით შეხვედრაში და გარდატეხა შეიტანა თამაშში, მოიგო რა სტუმართა დაწინაურების შემდეგ. მართალია, შეხვედრებმა იტალიასთან და ირლანდიასთან, გააშიშვლა ნაკრების სუსტი წერტილები, მაგრამ კუპერის შეგირდებმა ღირსეულად ითამაშეს შინ ბულგარეთთან და კვიპროსთან და ორივე შემთხვევაში ფრედ დაასრულეს თამაში.

ფეხბურთელებისგან განსხვავებით, რაგბისტებმა გაგვახარეს. საქართველოს უძლიერესმა ნაკრებმა ამ წელს უკვე მეორედ დაისაკუთრა ევროპის ერთა თასი. გადამწყვეტ ბრძოლაში 12 აპრილს ციმბირულ სუსხში რუსი „დათვები“ დაალელოვეს და კვლავაც დაამტკიცეს თავიანთი უძლეველობა ევროპის მეორე იარუსის ქვეყნებში. ქართულმა რაგბმა აღიარება ირბ—ს ერთა თასზეც მოიპოვა, სადაც, საქართველოს გარდა, მონაწილეობას რუმინეთის, რუსეთის, იტალიის, ურუგვაისა და სამხრეთ აფრიკის ნაკრებებიც იღებდნენ. ქართველებმა მეორე ადგილი დაიკავეს, ჩამორჩნენ მხოლოდ უძლიერესი სარაგბო ქვეყნის, სამხრეთ აფრიკის ნაკრებს. წლის ბოლოს, შემოდგომაზე ჩვენმა ნაკრებმა პირველი ტესტ-მატჩი ჩაატარა ევროპის პირველი იარუსის ერთ-ერთი ქვეყნის გუნდთან. მართალია, შოტლანდიელები გადახალისებული შემადგენლობით ასპარეზობდნენ, მაგრამ მათ მაინც შეძლეს ჩვენი ბიჭების დიდი ანგარიშით დამარცხება 3:69. ამ თამაშმა დაგვანახა ქართული რაგბის ნაკლოვანებები და, როგორც საქართველოს რაგბის კავშირი იუწყება, ისინი არ დაზოგავენ ენერგიას პრობლემების გადასაჭრელად. მათ კვლავაც შეახსენეს მთავრობას, რომ მათი დახმარების გარეშე დიდ წარმატებებს ქართული რაგბი ვერასდროს მიაღწევს. ერთ-ერთი მთავარი გზა ქართული რაგბის მსოფლიო დონეზე დამკვიდრებისა სერიოზული ინვესტიციებია.

გვერდს ვერ ავუვლით პეკინის 2008 წლის ზაფხულის ოლიმპიადას. ქართველმა ათლეტებმა დამაჯერებლად იასპარეზეს და 3 ოქროსა

და 3 ბრინჯაოს მედლით 200 ქვეყანას შორის 27-ე ადგილი დაიკავეს. საქართველოს ოქროს მედლები ძიუდოისტმა ირაკლი ცირეკიძემ, ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე მანუჩარ კვირკველიამ და ჭიდაობის თავისუფალ სახეობაში მონაწილე რევაზ მინდორაშვილმა მოუტანეს. პეკინში პირველი მედალი და პირველი ბრინჯაო ქალებში 10 მეტრიდან პნევმატური პისტოლეტიდან მსროლელმა ნინო სალუქვაძემ მოიპოვა. თავისუფალ ჭიდაობაში ბრინჯაოს მედლები ოთარ თუშიშვილმა და გიორგი გოგშელიძემ დაიმსახურეს. აღსანიშნავია, გოგშელიძისა და ყაზახ თიბიევს შორის მომხდარი ინციდენტი, როდესაც ყაზახის არასპორტული საქციელით გაღიზიანებულმა გოგშელიძემ ემოცია ვეღარ მოთოკა და, მეტოქისთვის მუშტის ჩარტყმისთვის, მას ტექნიკური დამარცხება ჩაუთვალეს.

საქართველოში შექმნილი მძიმე პოლიტიკური ვითარების გამო, პეკინში ქართველებმა ბოლომდე ვერ გამოავლინეს საკუთარი პოტენციალი. გამარჯვების სერიოზული შანსები ჰქონდათ ძიუდოისტ ზაზა კედელაშვილს, მძლეოსან არსენ კასაბიევს და ა.შ. თუმცა, ოლიმპიადამ სასიამოვნო სიურპრიზი შემოგვთავაზა ქართული პლაჟის ფრენბურთის წყვილ „გეორ-გიას“ სახით. ბრაზილიელებმა, რომლებიც საქართველოს სახელით გამოდიოდნენ ოლიმპიადაზე მეოთხე ადგილი დაიკავეს. მათ მცირედი დააკლდათ ბრინჯაოს მედლამდე.

დატვირთული წელი იყო საქართველოს კალათბუთისთვისაც. ევროპის ჩემპიონატის წინა შესარჩევ ციკლში განცდილი წარუმატებლობის შემდეგ ნაკრების თავკაცად სერბი იგორ კოკოშკოვი დაინიშნა. შესარჩევ ციკლში, სექტემბერ-აგვისტოში გუნდმა 4 შეხვედრა ჩაატარა, სადაც ყველა შეხვედრა მოიგო, გარდა ერთისა. ჩვენებურები შვედეთში დამარცხდნენ მინიმალური სხვაობით 2 ქულით. აღსანიშნავია რომ, გუნდმა ყველა თამაში სტუმრად ჩაატარა, ამიტომ, მომავალ წელს, ყველა შეხვედრას საქართველოში გამართავს. შესაბამისად, დიდი შანსია, გუნდმა ბოლოს-დაბოლოს დაძლიოს ბ ჯგუფი და ევროპის უძლიერეს გუნდებს შეუერთდეს.

შემოდგომა წარმატებული აღმოჩნდა საქართველოს მოჭადრეკე ქალებისთვისაც. მათ დრეზდენში გამართულ საჭადრაკო ოლიმპიადაზე მეოთხეჯერ მოახერხეს პლანეტაზე უძლიერესის სახელის მოპოვება. მათ დაძაბულ ბრძოლაში იმ დროისთვის უძლიერესი ჩინეთის ნაკრები დაამარცხეს, შემდეგ კი შეუფერხებლად განაგრძეს გზა ტრიუმფისკენ. ქართველთა გამარჯვებამ დიდი რეზონანსი გამოიწვია მსოფლიო საჭადრაკო წრეებში. ჩვენმა გოგონებმა დაიბრუნეს ძველი დიდება და პირველად, 1996 წლის შემდეგ, ისევ ჩამოიტანეს ოლიმპიური თასი საქართველოში. ტურნირის საუკეთესო მოჭადრაკე ქალად ჩვენი გუნდის ლიდერი მაია ჩიბურდანიძე დასახელდა, რომელმაც ოლიმპიადზე ყველა ფავორიტი დაამარცხა. იგი მორალურად ამხნევებდა ნაკრების წევრებს.

ჩამოთვლილი წარმატებები მცირე ნაწილია ქართველი სპორტსმენების უანგარო და გმირული თავდადებისა. მძიმე სოციალური თუ პოლიტიკური პირობების მიუხედავად, არაადამიანური ძალისხმევით, მათ საქართველოს სახელი მთელი მსოფლიოს მასშტაბით გააქვთ და ასახელებენ მამულს. სახელმწიფოსგან მწირი დაფინანსებისა და ხელშეწყობის პირობებში, გასაოცარია ქართველთა ასეთი წარმატებული გამოსვლები მსოფლიოს არენაზე. გაჭირვებისა და ხელშეუწყობლობის გამო ბევრი სპორტსმენი იძულებულია დატოვის სამშობლო და ბედი საზღვარგარეთ სცადოს, ასახელოს სხვისი ქვეყანა და უცხო ხალხი გაახაროს. „მამლუქობის“ პრობლემა დღესაც აქტუალური რჩება. აუცილებელია ქართულმა საზოგადოებამ და სახელმწიფომ ამ პრობლემის გამოსწორებაზე იზრუნოს. 21-ე საუკუნეში სპორტი იდეოლოგიური და პოლიტიკური ზემოქმედების მძლავრ იარაღად იქცა. მისი ბრძნულად და სასიკეთოდ გამოყენება კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსთვის.

რატი შუბლაძე

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის ახალგაზრდული მოძრაობა

«დაჯითიანნი»

აცხადებს ფოტო-კონკურსს

საქართველო ლამაზი

1. ქართული სახე; 2. ქართული ტრადიცია (ხასიათი)
3. ხუროთმოძღვრული ძეგლი; 4. საქართველოს ისტორია;
5. საქართველოს ბუნება

სპეციალური ნომინაცია: „ცხოვრება ნარკოტიკების გარეშე“

(არ უნდა იყოს წარმოდგენილი ნარკოტიკული საშუალებების ფოტოები).
კონკურსის I ეტაპისთვის სურათების მოწოდების ბოლო ვადაა 25 დეკემბერი.
ელექტრონულ მისამართზე: davitianni.foto@gmail.com

უმორჩილესად გთხოვთ, მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე არ იქნას გამოგზავნილი პირატული ფოტოები. გამოგზავნილ სურათს თან მიუთითეთ სახელი, გვარი და საკონტაქტო რეკვიზიტები (ე-მაილ და ტელეფონი).